

129
1972/2



საქართველოს საზოგადოებრივი მედიის განვითარების ისტორია



1972

3

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 3 (67)

მბისი—0360სი

11887



შ ი ნ ა პ რ ს ი

ეთერ გუგუშვილი — კოიტის მალალი მოწოდება	3
აკაკი ალექსის-ძე სორავა	8

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

გიგა ლორთქიფანიძე — ცხინვალის თეატრის ოსური დასის სპექტაკლები	11
ალეკო შალუტაშვილი — მცირე რამ რეჟისორისა და რეჟისურის შესახებ	14
ნესტან კვიციანი — სახალხო თეატრის პრემიერა	18

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

გიორგი სამხარაძე — კოტე მარჯანიშვილი ქუთაისში	1
დიმიტრი იოვანავილი — კომედიურ ნაწარმოებში ქალთა პერსონაჟების წარმოსახვის სპეციფიკა	21

ჩვენი იუბილარები

ია ქაბჯინაძე — სახელოვანი იუბილარი	25
მურად ხინიკაძე — მართალი ხელოვანი	26
გურამ ბათიაშვილი — ეტიუდი 70 წლის დრამატურგზე	29
ლევონტი ჩიხლაძე — მსახიობი და რეჟისორი	31

ღვაწლმოსილთა გახსენება

ქეთევან ხუციშვილი — გიორგი არაღელი-იშხნელი	34
პავლე ხმალაძე — ქართული თეატრის მემკვიდრე	35
ლ. ჩხატარაშვილი — ლევან ბუაძე	36
გილოცავთ საპატიო წოდებას	38

ჩვენი პუბლიკაცია

დავით შულღიაშვილი — უცნობი ეპისტოლური მასალები	39
--	----

გამოთხოვება

შალვა შაქავარიანი	42
-----------------------------	----

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში	44
--	----

რედაქტორი — ერაშია ქარელიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო დ. ანთაძე, ვ. გომიანაშვილი, ო. ვაჟაძე, ნ. გურაბანიძე,
დ. მგაღლიძე, ბ. შლენგი, ნ. შვანავიანი, ვ. ტყეშელაშვილი,
კოლეგია: **ბ. სორავა**, დ. ჯანელიძე.

კრიტიკის მალალი მოწოდება

ეთერ გუგუშვილი

გიჟპარტი თქვენ თეატრი ისე, როგორც მე მიყვარს იგი?...“ — ბელინსკის ეს სიტყვები არა მარტო გამოხატავს მის თვითდაიწყოებულ გატაცებას თეატრით, არამედ განსაზღვრავს კიდევ კრიტიკისა და თეატრის იდეალური ურთიერთობის ხასიათსა და ბუნებას.

და მართლაც, უყვარს თუ არა კრიტიკოსს თეატრი? ეს სრულიად არც თუ უმნიშვნელო საკითხი ზოგიერთ ობიექტულს მეტად დაბალ კატეგორიებამდე დაყავს: აქებს — მაშასადამე, უყვარს, არ აქებს — მაშასადამე, არ უყვარს. ასეთ ობიექტულურ, მეშხანურ მსჯელობას არავფერი აქვს საერთო კრიტიკის ნამდვილ ხელოვნებასთან, მის შემოქმედებითს პროცესთან.

ერთ-ერთ თავის გამოცვლაში მ. გორკი ამბობდა, რომ კრიტიკოსი, თუ ის მუშაობს თავისი მაღალი მოწოდების დონეზე, მწერლობასთან შეთანხმებულად და თანამშრომლობით, თვითონ მწერალზე ნაკლებ რაღაც იმსახურებს „აღამიანის სულის ინჟინერის“ ტიტულს. მწერლობასთან, (და აგრეთვე თეატრთანაც) კრიტიკოსის შეთანხმებულობა და თანამშრომლობა განისაზღვრება ლიტერატურისა და ხელოვნების არსში კრიტიკოსის წვდომის ხასიათით და სიღრმით, ცხოვრების ცოდნით, მისი უნარით, რომ არა მარტო გამოავლინოს ნაკლოვანებანი, არამედ უჩვენოს კიდევ მათი გამოსწორების სწორი გზა.

ყოველივე ეს აქსიომებია, ისეთივე აქსიომები. როგორც ის, რომ კრიტიკა უნდა იყოს მეტროპოლი, პრინციპული, მეგობრული. ეს აქსიომები ყვილამ იყის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ივიწყებენ მათ.

გამობობ, კრიტიკა მეტროპოლი უნდა იყოს, მაგრამ ვის უყვარს კრიტიკის მეტროპოლი, შემეტვე ბათოსი? გამობობ: პრინციპული უნდა ვიყოთ, მაგრამ ხშირად გეგშინია, რომ ვისმე აწყყენინოთ და კომპრომისებზე მივდვივართ. აღიარებთ: კრიტიკა მეგობრული უნდა იყოს. მაგრამ ყოველთვის როდი ვიცავთ ამ უბრალო ადამიანურ მოვალეობას.

აღბათ, ძნელია ყოველივე ეს ერთმანეთთან შეათავსო. ძნელია იყო პრინციპულიც და არამკაცრიც, მკაცრიც და ალურსიანიც, შემტევიც და მეგობრულიც; ძნელია მაგრამ ვინ თქვა, რომ კრიტიკოსის გზა იღლი უნდა იყოს? ბელინსკი წერდა: „ცვლიან ის ადამიანები, რომლებსაც კრიტიკოსის ხელობა იოლად და ცოტად თუ ბევრად ყველასათვის ხელმისაწვდომად მიანიხათ: კრიტიკოსის ნიჭიერება იშვიათია. მისი გზა მოლიბულია და სახიფათო“.

ძნელია გადაჭარბებით შეგავსასთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება კრიტიკას ჩვენს ყოველივე კრიტიკებში. მე ახლა მხედველობაში მაქვს არა მარტო ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა, არამედ კრიტიკა საერთოდ. „კრიტიკის გარეშე არ არსებობს წინსვლა“ — გვასწავლის პარტია.

მაგრამ, ვაღიარებთ რა ამ ჭეშმარიტებას, ყოველდღიურს ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ხალისით როდი ვიყენებთ ხოლმე მას პრაქტიკულად. რა დასამალია, კრიტიკული აზრის დონე რომ (ვიმეორებ, ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ კრიტიკას, როგორც საზოგადოებრივ კატეგორიას) თავის სიმძლავზე მდგარიყო, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება უფრო გარკვეულად, პრინციპულად და გაბედულად გამოვლენილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივ-ეთიკური ნორმების ის უხეში დარღვევანი, რომელთა შესახებაც ასე ზუსტად და მკაფიოდ არის ნათქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩვენი დელეგატის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

თეატრი, ლიტერატურა, ხელოვნება — ჩვენი სინამდვილის განუყოფელი ნაწილია. ისინი მოწოდებულია კვალდაკვალ მიჰყებოდნენ ცხოვრებას და თავის საუკეთესო ნაწარმოებებში სიმართლით ასახავდნენ მას. ამიტომაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ — ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია აზრი და არსი კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, ჩვენ უნდა აღვიქვათ და განვიხილოთ, როგორც კიდევ ერთი უაღრესად მკაფიო გამოვლინება ჩვენი პარტიის უდიდესი ზრუნვისა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ეს დოკუმენტი რაზმავს და წარმართავს ჩვენი ქვეყნის კრიტიკოსებს თავისი მაღალი და საპარტიო მისიის განსახორციელებლად. რათა იყვნენ პარტიის ერთგული თანამემშენი ხალხის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ტრადიციების დამკვიდრებასა და განვითარებაში.

პარტიის 24-ე ყრილობამ, მოგვცა რა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საფუძვლიანი ანალიზი, დიდი ადვილი დაუთმო კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობის შეფასებას, დასაზა ამ ყანრის შემდგომი წარმატების პრესპექტივები და შეგვაიარადა არსებული ხარვეზების დასაძლევეი სახელმძღვანელო მითითებებით.

„საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება, ამბობდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თავის საანგარიშო მოხსენებაში, — კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხოლო მისი ნაკლოვანებანი კიდევ უფრო სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რომ უფრო აქტიურად ახორციელებდეს პარტიის ხაზს, იჩინოს მეტ პრინციპულობას, მომთხოვნელობას ახამებდეს ტაქტთან, მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან“.

ჩვენი მსჯელობის საგანი თეატრალური კრიტიკის დღევანდელი დღე წარმოადგენს და მინც კრიტიკის დღევანდელი დღის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება მისი გამოთიშვა იმისაგან, რაც მას წინ უსწრებდა. უსამართლობა იქნებოდა ჩვენი მიღწევების მიჩქმელი თეატრმცოდნეობისა და თეატრალური კრიტიკის სარბიელზე და განა საჭიროა ყოველივე ამის მიჩქმალვა?

თეატრალური ხელოვნების რთული პროცესების გააზრების საბაზო მოვალეობა ქართულ საბჭოთა თეატრმცოდნეობას, ქართულ საბჭოთა თეატრალურ კრიტიკას აწევს მხრებზე. მან თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს თეატრალური ხელოვნების იდეოლოგიისა და რეალიზმისათვის ბრძოლაში. ქართული თეატრის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კრიტიკა ცდილობდა ხაზი გაესვა ყოველივე კარგისა და მნიშვნელოვანისათვის, რაც კი გამოჩნდებოდა მის სარბიელზე, და დროულად მიეთითებინა თეატრისათვის შეცდომებზე. ქართული თეატრი დიდად არის დავალებული თეატრალური კულტურის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეებისაგან, როგორებიც არიან: აკ. ფაღავა, ს. აშალობელი, გ. ქიქოძე, შ. აფხაძე, შ. დუდუჩავა, შ. ბუაჩიძე, დ. ჯანელიძე, ლ. აბათიანი, აკ. ვაწარელია, გ. ჯობაძე, დ. ბენაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ს. გერსამია, ალ. ბურთიკაშვილი, ე. ქარელიშვილი, პ. ბახტურიძე, თ. ევაძე, ბ. აღინტი და სხვები.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შეივსო თეატრმცოდნეობა და თეატრალური კრიტიკისთა რიგები. ბევრი მათგანი მოვიდა თეატრში სპეციალური თეატრალური განათლებით. თეატრმცოდნეობის ეს მეორე და მესამე თაობა აქტიურად მუშაობს თეატრის ასპარეზზე. გვიღონება წიგნებისა და სამეცნიერო შრომების ავტორებად.

თეატრის დარგში დიდ ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას აწარმოებს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. სწორედ ინსტიტუტის კიდლებში თავმოყრილია საქართველოს თეატრმცოდნეობითი აზროვნება. სწორედ აქ იქმნება თეატრალური ხელოვნების ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის უმთავრესი პრობლემებისადმი მიძღვნილი სქელდახიანი შრომები. ქართული საბჭოთა თეატრმცოდნეობა უკანასკნელ წლებში გაძლიერდა მთელი რიგი სპინტირესო მეცნიერული გამოკვლევებით, რომლებიც შეიხებთან რეკოლუციამდელი და საბჭოთა ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიის პრობლემათა თართო წრის, აქტიურული ხელოვნების, რეჟისურის, თეატრალური დეკორაციული მხატვრობის და სხვა ამგვარ საკითხებს.

საკმარისია დავსახელოთ დ. ჯანელიძის შრომები ქართული თეატრის ისტორიის დარგში, მისი კვლავ-ძიებანი ძველ ქართულ თეატრალური სანახაობათა კულტურის საკითხებზე („ქართული თეატრი უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე“, „ქართული თეატრი“, „როსთაველი და სახიობი“ და სხვ.), ნ. შოლუტაშვილის შრომები, რომლებიც ეროვნულ თეატრალურ კულტურათა ურთიერთკავშირის პრობლემებს მიძიებენ (მათ შორის „ოსტროვსკი ქართულ სცენაზე“, „ძმები სანდუნოვებში“, „გაბობაილოვის სახელობის თეატრი“ და „დიადი მეგობრობის ფურცლები“), გ. ბუხნიკაშვილის წიგნები „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“, „საქართველოში რუსული თეატ-

რის 100 წლისთავი“, „გაბრიელ სუნდუქიანი“, ნ. ურუშაძის წიგნები ცალკეულ მსახიობებზე და ქართული თეატრალური კრიტიკის შესახებ, მისი „ვეფხისტყაოსანი და ქართული სასცენო ხელოვნება“, ე. თოფურის წიგნი „ელენორა დუზე“, ნ. შვანგიერაძის „თეატრალური ეტიუდები“, გ. კიკნაძის უკანასკნელი ორი წიგნი ქართველ რეჟისორებზე, მისივე „შილერი ქართულ სცენაზე“, „თეატრმცოდნეობითი ძიებანი“, ნ. გურაბანიძის შესანიშნავი ნაშრომი გიორგი შავგულაძეზე, მისივე „რეჟისორი, მსახიობი, სცენა“, ე. შამათავას, შ. სალუქვაძის, ე. დავითაძის, ლ. დოლონაძის, ლ. ყურულაშვილის და სხვათა წიგნები.

ქართული თეატრის ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპის მაჩვენებელია რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მიერ კ. მარჯანიშვილის მეგვიდრეობის ორტომეულის გამოცემა რუსულ ენაზე.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს თეატრმცოდნეობაში ბევრი რამ არის გაკეთებული კარგი და სასარგებლო.

ამასთანავე კმაყოფილებით უნდა აოინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული თეატრმცოდნეობის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ჩვენი თეატრმცოდნეობი დიდი წარმატებით ათავსობენ თავიანთ მოღვაწეობაში კვლავ-ძიებით მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თეატრმცოდნეობა, ისევე როგორც თეატრალური კრიტიკა, წარმოუდგენელია ესთეტიკური კრიტიკაუმის გარეშე, აზრის ჩამოყალიბების სპეციფიკური, მხატვრული ხიზნების გარეშე, იმის გარეშე, რასაც ხელოვნებაში ოსტატობა იწოდება. ამიტომაც ყოველგვარი თეატრმცოდნეობრივი ნაშრომი, გამოკვლევა, იქნება იგი პრობლემური საჭურწლო სტატია თუ საგაზეთო რეკენზია. უნდა შეიცავდეს ატორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ელემენტებს. გამოხატავდეს მის იდეურ-მხატვრულ პოზიციას.

ძნელი მისახიადრი როია, რომ აქ ლაპარაკია კრიტიკის პროფესიონალიზმზე, იმაზე, რომ კრიტიკა — პროფესია.

თეატრალური კრიტიკა ხელოვნების ისეთივე დარგია, როგორც დრამატურგია, რეჟისურა, მსახიობის ოსტატობა, ამას ისიც ემატება, რომ კრიტიკა ყველა სხვა აზრის გამოცეკვას უპირისპირდება. ასეთ ვარაუდებში კრიტიკოსების მიმართაც ისეთივე მზრუნველნი უნდა იყოს, როგორც მსახიობებისა, რეჟისორებისა და დრამატურგებისადმი ვართ. ნიჭიერი კრიტიკოსი — ეს მოვლენაა. ნიჭიერი კრიტიკოსებიც ისე იზაიებებიან, როგორც მსახიობები და რეჟისორები და ყოველივე ნიჭიერება ერთნაირად იმსახურებს მომთხრობლობასაც და დამხარებასაც.

და, როდისაც ჩვენ გლაპარაკობთ შემთხვევითი აღამიანების შესახებ კრიტიკაში, აქ ლაპარაკია იმის შესახებ კი არა, თუ რატომ წერან ისინი იყოად (მათ ზომ არ შეუძლიათ სწავნარად წერა), არამედ იმის შესახებ, თუ რატომ წერენ ისინი თეატრზე საერთოდ? ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — რატომ ბეჭდავენ განხილვები და ყურწნალები მათ წერალებზე? ეს უმნიშვნელო საკითხი როია.

პროფესიონალიზმის საკითხი თეატრმცოდნეობაში სრულიად თავისებურია. სპეციფიკურად წყდება. პროფესიონალ თეატრმცოდნეებს არაპროფესიონალი თეატრმცოდნეებისაგან განას-

ხევაებს მოვლენათა ხედვის უნარი. თეატრმცოდნეობრივი ხედვის პროცესი — უღარესად შემოქმედებითი და უღარესად ინდივიდუალური პროცესია.

სპექტაკლის განხილვა მრავალგვარი შეიძლება იყოს — სკრუპულოზური-აღწერითობითი, ანალიტიკური, პოლემიკური და კიდევ სხვაგვარიც. რეცენზენტ-კრიტიკოსის უფლება ამ ძირივ განუსაზღვრელია და აქ მისთვის არ არსებობს შემოზღუდული კანონები. მხოლოდ ერთი პირობა უნდა წარმოადგენდეს სავალდებულო კანონს — განხილვა უნდა იყოს დამარწმუნებელი, ლოლიკური, ნათელი, პროფესიონალური. არ კმარა, რომ გარკვეული თვალსაზრისი გქონდეთ ხელოვნების ამა თუ იმ მოვლენაზე, ამასთანავე საჭიროა შეგეძლოს ამ თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება. თვით საშუალო განზრახვები და აზრები დამახინჯებული აღმოჩნდებიან, თუ ისინი ვერ პზოვებენ ნამდვილ მხატვრულ გამოხატულებას.

უქანასხეულ ხანებში სპექტაკლების შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიებიდან მე განსაკუთრებით დაძაბსანოვრდა სამი, ესენია — ნ. ურუშაძის წერილი გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“ „კორიოლანის“ შესახებ „ბერლინერ ანსამბლის“ თეატრში, ნ. გურაბაძის და ე. შაფათაძის სტატიები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკაში“. იმავე სპექტაკლის შესახებ, ეს წერილები არ გვანახებენ ერთმანეთს, ისინი დაწერილია სხვადასხვაგვარი მანერით, მაგრამ თითოეულ მათგანში უარესად ცხადად და მკაფიოდ გამოვლინდა ავტორების არა მარტო პოზიცია, არამედ მათი თეატრმცოდნეობრივი ანალიზის მეთოდიც. ამ რეცენზიებში მკითხველის თვალწინ ცოცხლად წარმოისახება სპექტაკლის არსი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ურუნალ-გაზეთების ფურცლებზე ძლიერ იშვიათად გამოჩნდება ხოლმე პრობლემური ხასიათის წერილები. როგორც სასაიამოვნო გამოჩაქისი, აქ შეიძლება დაგვესახელება ვასილ კიკნაძის წერილი გაზეთ „კომუნისტი“ მომავალი თეატრალური სეზონის შესახებ, თეატრალური სეზონის წერილი „სოფეტსკაია კულტურაში“, და კიდევ ერთი-ორი სხვა სტატია.

თითქმის სრულიად აღარ ქვეყნდება თეორიული ხასიათის წერილები თეატრალური ხელოვნების საკითხებზე.

სკვპ ცკ-ის დადგენილებაში კრიტიკის შესახებ ხანგასმით აღინიშნულია, რომ კრიტიკის მრავალი გამოსვლა მოწმობს განსახილველ ნაწარმოებების ხარისხისადმი მომთხოვნელობის შესუსტებას, იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმის დაბალ დონეს. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იმაზე, რომ ზოგიერთი ავტორის სუსტი თეორიული და მეთოდოლოგიური აღჭურვილობის შედეგად, ცალკეულ სტატიებსა და რეცენზიებში დაკარგულია ცხადი კლასობრივი ორიენტაცია, ადგილი აქვს ხელოვნებისა და ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა წინასწარგანზრახულ სუბიექტივისტურ შეფასებებს.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი ზოგიერთი თეატრმცოდნე სერიოზულად გვარწმუნებდა, რომ თითქმის ახმეტელის სპექტაკლი

„ბერლო ზმანია“ ახალი ეპოქის დასაწყისი იყო ქართული თეატრის ისტორიაში. ასეთი მსჯელობანი, თუ მათ განვიხილავთ სერიოზულად, ღრმად, კლასობრივი თვალსაზრისით, ყოვლად უსაფუძვლო და უნიდადაა. თვით ახმეტელის შემოქმედებაშიც კი იმ ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სპექტაკლ „ბერლო ზმანის“, არავითარი გავრცელება და განვითარება არ უპოვია. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. ქართული თეატრის განახლებისათვის აუცილებელი იყო საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების, ქართველი ხალხის ისტორიული ბედის ძირფესვიანი გარდაქმნა და განახლება. ასეთი გარდატეხა მოხდა 1921 წელს. ამ გარდატეხის შესაბამის ახალ სიტყვას კი ქართულ თეატრში წარმოადგენდა კოტე მარჩანიშვილის „ფუფუნტო ოფენსივა“.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, ზოგიერთმა ქართველმა თეატრმცოდნემ სრულიად სამართიანად დაგვმო ის ყოვლად მცდარი და ცილისმწამებლური შეფასება, რომელიც მიეცა სანდრო ახმეტელს „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ შესავალ წერილში, სადაც გამოჩენილი საბჭოთა რევისორი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტად არის გამოცხადებული.

თეატრმცოდნეობრივი შეფასებები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამამულო ისტორიისა და კულტურის სათავეებისა და გზების საკითხთან. ამასთან გადამწყვეტია კონკრეტული ისტორიული, ერთვლეუბა ლენინური მოძღვრებისა არც კულტურის შესახებ ყოველ ეროვნულ კულტურაში. არ შეგვედები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს თეატრმცოდნეობრივ აზრს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრმცოდნეების მიერ შექმნილია მდიდარი ლიტერატურული პროდუქცია, ზოგჯერ აკლია მტკიცე თეორიული, მეთოდოლოგიური ფუნდამენტი. ეკვბ იმიტიმაც იყო, რომ კამათი ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკული ტრადიციების შესახებ, რომელიც ასე მღელვარედ მიმდინარეობდა ჩვენი პრესის ფურცლებზე 60-იანი წლების შუაგულში, საბოლოო ანგარიშში იქამდე მივიდა, რომ მოკამათენი ერთმანეთს რაღაც წვრილმან ბრალდებებს უყენებდნენ, ზოგიერთი კრიტიკოსი კი ამ პოლემიკის მსვლელობაში სერიოზულად ამტკიცებდა, რომ თურმე დღეს თეატრში საჭირო არ არის ნაბდები და ხანჯლება. ამრიგად, თვით ესთეტიკური პრობლემა ნაბდისა და ხანჯლის დონემდე დაამდაბლეს. სინამდვილეში კი, არსებითად კამათი შეეხებოდა ქართული თეატრის პოზიციის საკითხს, მისი იდეურობის, მისი პარტიულობის, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის საკითხს, რადგან ჩვენთვის საგსებით ცხადია, რომ გმირული დღეს — ეს არის სინონიმი თეატრის მაღალი მოქალაქეობრიობისა, მისი ვაჟკაცობისა, მისი მეგრძოლი ბუნებისა, მისი უნარისა აქტიურად შეიჭრას ცხოვრების წიაღში.

ჩვენმა თეატრმცოდნეობამ და თეატრალურმა კრიტიკამ არსებითად გვერდი აუარეს ისეთ პრობლემებს, როგორცაა, მაგალითად, უგმირო ლიტერატურის, ინტელექტუალური და აბსურდის

¹ ეს სტატია პირველად „თეატრალურ. მოამბეში“ დაიბეჭდა. რედ.

თეატრის პრობლემები. მე ვამბობ, არსებითად, რადგან ცალკეული წერილები ამ საკითხებზე (კერძოდ, ნ. გულბანაძის სტატია აბსურდის თეატრის შესახებ) არ გამგზავნა კამათისა და ფართო განხილვის საგანად.

უკეთ როლი გვაქვს საქმე თეატრის ეროვნული ფორმის საკითხებშიც. ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციების ნივთიერება, ე. წ. საშუალო — ევროპულ ტრაფარეტთან მისადაგების მისწრაფება ბოლოს და ბოლოს წარმოშობს იმის საფრთხეს, რომ ქართულმა თეატრმა დაკარგოს თავისი ეროვნული თავისებურება. ჩვენი შემოქმედებითი პრაქტიკა გვიმტკიცებს, რომ რეალისტურ ხელოვნებაში ეროვნული თავისებურება გამოსახატავი სასიათებისა, ტრადიციებისა, ყოფა-ცხოვრებისა, ისტორიისა, ესთეტიკური მსოფლმხედველობისა, წარმოადგენს აუცილებელ პირობას ნაწარმოების მხატვრული სრულფასოვნებისათვის. და, პირიქით, ყველაფერი ის, რაც მოკლებულია ეროვნულ ნიშანთვისებებს, ყველაფერი, რაც რადიკულ უსახო სივრცეში ხდება, ავტორთა გამოგონებლობისა და დახელოვნების მიუხედავად გამოიყურება არადაპირწმუნებლად, უინტერესოდ, უკარგავს ნაწარმოებს ცხოვრებისეული სიმაართის გრძნობას.

მაგრამ, როდესაც ნაციონალურ სპეციფიკას სამართლიანად ვაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობას ხელოვნებაში, ამასთანავე აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეროვნული თავისებურება არ შეიძლება რაღაც თვითმიზანს წარმოადგენდეს მხატვრულ შემოქმედებაში. საბჭოთა ხელოვნებაში არსებობს საერთო იდეურ-ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც თანაბრად ასრულებენ განმსაზღვრებელ ფუნქციას როგორც ყოველი საბჭოთა ეროვნული მხატვრული ძეგლის განვითარებაში და სწორედ ისინი, — ეს პრინციპები შეადგენენ ჩვენი მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნების ერთიანობის საფუძველს.

საბჭოთა თეატრის პრაქტიკა დამარწმუნებლად მოწმობს, რომ საუკეთესო სპექტაკლები აუცილებლად შეიცავენ დიდ ზოგადსაკაცობრიო იდეებსა და პრობლემებს, რომლებიც გააზრებულმა საბჭოთა ადამიანის პოზიციებიდან, ჩვენი უხეხდულების თვალსაზრისით სოციალურ ბრძოლაზე, ისტორიისა და თანამედროვეობაზე, პიროვნებასა და საზოგადოებაზე, ეროვნული თავისებურება ამ ნაწარმოებებში გამოვლინდება განუყოფელ ერთიანობაში ინტერნაციონალურ მოტივებთან, ჩვენი დროის მოწინავე საზოგადოებრივ კონცეპციებთან და არსებითად გამოხატავს ინტერნაციონალურ საწყისს მკაფიოდ, თვითმყოფ ფორმად.

ყველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში, შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საკავშირო სარბიულზე გამოვიდა ქართული საბჭოთა დრამატურგიის მრავალი ახალი ნაწარმოები. ქართველ დრამატურგთა პიესები წარმატებით იდგმება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნის და საბჭოთა კავშირის სხვა ბევრი ქალაქის თეატრებში. ჩვენი ქვეყნის თითქმის 40 თეატრში იდგმება თ. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, თითქმის ამდენსავე თეატრში იდგმება გ. ნახუციანიშვილის პიესები „ჭინჭარა“, „ნაცარქექია“ და „შაითან ხიზო“. საბჭოთა ქვეყნის თითქმის 20 თეატრში იდგმება ნ. დუმბაძის ნაწარმოებნი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე გზედავ

მზეს“, „ნუ გეშინია, დედა“. 15-დღე თეატრმა განახორციელა ა. ჩხაიძის პიესის „ხიდის“ დადგმა, რამოდენიმე თეატრში მიღის ა. გუგუის პიესები. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ქართული დრამატურგიის ახალი ნიშანთვისებანი, რომლებიც ასე მკაფიოდ გამოვლინდნენ დასახელებულ ნაწარმოებებში, შეიცავენ ჩვენი ხალხის სპეციფიკურ ტიპურ თვისებებს და სწორედ ამ კონკრეტულობისა და ისტორიის მეშვეობით იძენენ ნამდვილ ინტერნაციონალურ ყურებას. მაგრამ რაგინდ სასიხარულოც არ უნდა იყოს ქართულ დრამატურგიაში, კინოსა და თეატრში მიღწეული წარმატებანი, მაინც არ შეიძლება ვაღიაროთ, რომ ცალკეულ შემოქმედების გამარჯვებათა გვერდით ადგილი აქვს ზოგიერთ მარცხსაც, შეცდომებსა და ღაპუსებს.

ჩვენს დრამატურგებს და მათთან ერთად თეატრებსაც დღესდღეობით არ ყოფნით მებრძოლი შემტევი პათოსი, ცხოვრების დამამკვიდრებელი პათოსი სინამდვილის რეკოლუციურ განვითარებაში.

საბჭოთა დრამატურგიას არასოდეს არ ეშინოდა მწვავე კონფლიქტებისა, სიმძაფრისა ცხრერებისეული საკითხების აღძვრასა და გადაწყვეტაში. გაიხსნა მთავრობის „აბანო“, ა. კორნეიჩუკის „ფრონტი“ და მრავალი სხვა. ეს ტრადიცია ძლიერია თავისი ცხოვრებისეული სიმაართით და იგი, ეს ტრადიცია, თავისი საუკეთესო გამოვლინებით დღესაც უნდა შევინარჩუნოთ. შეიძლება დღეს იგი უფრო მეტად გვესაჭიროება, ვიდრე ოდესმე. ამიტომ მე დღესაც მივესალმები თამაშ ქილაძის პიესის გამოჩენას, პიესისა, რომელშიც მწვავედ არის დაყენებული პრობლემა ბრძოლისა ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ, რაც ანაგვიანებს ჩვენს ცხოვრებას. ასეთი ნაწარმოებები დღეს განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენითვის.

ჩვენი კრიტიკა კი სდუმს. იგი არ უთმობს საკმაო ყურადღებას დრამატურგიის საკითხებს. თეატრალური კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების დასახველი მალაღიდურა, მალამხატვრული დრამატურგიისათვის. თეატრალურმა კრიტიკამ სწორად უნდა შეაფასოს ეს დრამატურგია, დაინახოს მასში ის რაციონალური, ახალი, ჯანსაღი, რაც ჩვენს თვალწინ იხადება და შეადგენს ამ დრამატურგიის არსს. კრიტიკა უნდა დაეხმაროს დრამატურგიას, რომ დაძლიოს თავისი ნაკლოვანებანი და მტკიცედ დადგეს ფეხზე. ჩვენი თეატრალური კრიტიკის არსებით ხარვეზს სწორად ის გარემოება წარმოადგენს, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს თანამედროვე დრამატურგიის პრობლემებს. ეს საყვედური შეეხება არა მარტო კრიტიკას, არამედ პრესასაც. თითქმის სრულიად არ ქვეყნდება პრობლემური სტატიები იმ ახალი ტენდენციების შესახებ, რომლებიც თავს იჩენენ ამჟამად ჩვენს დრამატურგიაში. ფაქტებს რომ მივმართოთ, დავინახავთ, რომ ამ ბოლო ხანებში სპეციალურად დრამატურგიის საკითხებისადმი მიძღვნილი, მხოლოდ ორიოდე წერილი გამოქვეყნდა. ესენია გიორგი ციციშვილის სტატია „შაითანში“ და ბ. ჟღენტის წერილი „ყურადღება საბჭოთა ხელოვნებაში“. ეს არის და ეს. მეორე, ბევრი არ უნდა იყოს!

სერიოზულ შემფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე ძლიერ სუსტად და იშვიათად შექედება თანამედროვე ქართული თეატრის ყოველდღიური ცხოვრება. გაზეთებში შეფასება არ ეძლევა ცალკეულ დადგმებს, ბევრი სპექტაკლის შესახებ რეცენზიები არ იბეჭდება. უკვე ჩვეულეზად იქცა, რომ გაზეთები კმაყოფილდებიან მოკლე და მშრალი ინფორმაციებით თეატრალური პრემიერის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეცენზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეატრის ცხოვრებაში. იგი ძირითადი ფორმაა გაზეთის გამოხმაურებისა თეატრალური კოლექტივის მუშაობაზე.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩვენი თეატრალური კრიტიკოსი, რომელსაც არც ნიჭიერება აკლია და არც სათანადო ერუდიცია, რატომღაც ერთგვარ პასიურობას იჩენს და აქტიურად არ მონაწილეობს მიმდინარე თეატრალურ ცხოვრებაში. ესენი არიან: ალექო შალუტაშვილი, ეთერ გალუსტოვა, თენგიზ ჯანელიძე, ლამარა დოლინაძე, ანზორ ტრაპაიძე, დალი მუმლაძე, ნათელა არველაძე, ნაწილობრივ, — ვახტანგ ქართველიშვილი და სხვები.

ჩვენი პრესის ფურცლებზე თითქმის სრულიად არ ქვეყნდება მეტბოლი კრიტიკული აზრით, პოლემიკის სულით გამსჭვალული წერილები. ჩვენი ცხოვრებიდან კი როგორღაც ვაჭრა დისკუსიები, კამათი.

გადავფურცლოთ პრესა. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე თითქმის ვერ შეხვდები: ვერც ერთ კრიტიკულ წერილს. რომელიმე თეატრის, სპექტაკლის, მსახიობის მისამართით.

ხოლო იყო დრო, როცა ჩვენი პრესის ფურცლებზე ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა ჩვენი თეატრის ბედობლის გარშემო, კერძოდ, რუსთაველის თეატრის გარშემო. როცა ამ აზლო წარსულს ვიგონებთ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქართულ თეატრალურ კრიტიკას მაშინ სწორი, პრინციპული, ღრმად პარტიული

პოზიცია ეჭირა. იგი უსაყვედურებდა რუსთაველის თეატრს სპექტაკლების საერთო იდეური და მხატვრული დონის დაქვეითების გამო, აფრთხილებდა თეატრს, რომ მის შემოქმედებაში თავს იჩენდა ფუქსავატი, მსუბუქი გამართობელობის ტენდენციები. სწორედ კრიტიკის, პოლემიკისა და დისკუსიის ზეგავლენით, რაც მაშინ ისე მღელვარედ მიმდინარეობდა, ბევრი რამ შეიცვალა იმავე რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში.

ჩვენმა თეატრალურმა კრიტიკამ თავისი წარმომადგენლების ნ. შვანგირაძის, ბ. ქლენტის, ოთ. ევაძის, ვ. კიკნაძის, ნ. გურაბანიძის, ვ. ქართველიშვილის, მუსიკისმცოდნე ა. წულუკიძის სახით ღირსეულად შეასრულა თავისი საპატიო მისია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელშიც თავისი პრინციპული, მეგობრული, მზრუნველი ტონით მიზნად ისახავს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს და აამაღლოს კრიტიკის, როგორც პროფესიის ავტორიტეტი. ეს ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავიგოთ და თუ ვერ გავიგებთ, მაშინ კრიტიკის ჩამორჩენილობის დაძლევა გავვიჭირებთ. ეს არა მარტო კრიტიკოსებმა უნდა გაიგონ, არამედ იმათაც, ვინც, მართალია, კრიტიკის დარგში უშუალოდ არ მოღვაწეობენ, მაგრამ მოწოდებული არიან ან უხელმძღვანელონ კრიტიკას, ან საკმაოდ ახლოს იდგნენ მასთან.

იმედია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული დადგენილების საფუძველზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება ჩვენი თეატრალური კრიტიკის აღმავლობის გზაზე. ეს კი სასიცოცხლოდ აუცილებელია იმისათვის, რომ რესპუბლიკის თეატრებმა შექმნან ჩვენი ღიდი ეპოქის შესაფერი მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებიც ასახავენ ახალი აღამიანის მდიდარ სულიერ სამყაროს და ხელს შეუწყობენ კომუნიზმის ნათელი იდეების დამკვიდრებას.

აკაკი აღმაშენებელი და ხორავა



საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 1972 წლის 23 ივნისს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ქართული საბჭოთა თეატრის გამო-

ჩენილი მოღვაწე და მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი აკაკი აღმაშენებელი ხორავა.

წაკიდა ჩვენგან თანამედროვე რეალისტური თეატრალური ხელოვნების უდიდესი ოსტატი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული და მთელი მრავალერავეანი საბჭოთა თეატრის განვითარებაში, რომელიც თავისი შემოქმედებით განამტკიცებდა სოციალისტური

რეალიზმის ხელოვნების საუფკვლებსა და პრინციპებს.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია წარმოდგენილია ა. ა. ხორავას მოუხსენიებლად. რუსთაველის სახელობის თეატრის პირველმა, წამყვანმა მსახიობმა, მან თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში არა მარტო ბრწყინვალედ შეასხა ხორცი ამ თეატრის იდეურ-მხატვრულ თავისებურებებს, არამედ თვითონაც ბევრ რამეში განსაზღვრა მისი ესთეტიკური პრინციპები, მთელი მისი ამადლებული, გმირულ-რომანტიკული სტილი.

იმ სახელოვანი რეალისტური ტრადიციების მემკვიდრე, რომლებიც გვიანდერძეს რევოლუციამდელი აქტიორული სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეებმა, ა. ა. ხორავა თავისი შემოქმედებითი საქმიანობით ავითარებდა ამ ტრადიციებს, აძლიერებდა მათ საბჭოთა ეპოქის მოწინავე იდეებით, აიყვანა ისინი ახალ, უმაღლეს საფეხურზე.

ა. ა. ხორავა დაიბადა 1895 წლის 29 აპრილს ჩხორიწყურს რაიონის სოფელ ოჩხომურში გლეხის ოჯახში. ჭერ კადეე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწავიფობის დროს მას შეუყვარდა თეატრი.

კიევის, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლის დროს ა. ა. ხორავას ძლიერ იზიდავდა თეატრი. იგი მონაწილეობას იღებდა სცენის-მოყვარეთა წრეებში, შემდეგ ცენტრალური მუშათა კლუბისა და სახალხო სახლის სპექტაკლებში, რომელსაც შ. დადიანი ხელმძღვანელობდა.

1922 წელს ა. ა. ხორავა შევიდა ა. ნ. ფაღავას თეატრალურ სტუდიაში და სტუდენტობის დროს პირველად გამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე მოსამართლე ხეციას როლში შ. დადიანის პიესაში „გებეჭკორი“. ამ დღიდან იგი აღარ აღკლდება რუსთაველის სახელობის თეატრს. ამ თეატრთან დაკავშირებულია მთელი მისი სიცოცხლე.

ა. ა. ხორავა იყო ქართული სცენის იმ ახალგაზრდა ოსტატთა რიცხვში, რომლებმაც მკიდრად წრე შექმნეს 1922 წელს სამშობლოში დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილის გარშემო და გახდნენ მისი ერთგული თანამოღვაწენი ქართული თეატრის განახლებისა და საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობის საქმეში. კოტე მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნა ა. ა. ხორავამ თავისი პირველი სცენური სახეები — იოკანანი („სალომეა“), ანდუყაფარი („გაყრა“), უსახელი („ადამიანი-მასა“), ლაერთი („ჰამლეტი“), უკვე აქ მის ამ კაბუტურ ქმნილებებში გარკვევით დაისახა ა. ა. ხორავას შემოქმედებითი ინდივიდუალობის ძირითადი ნიშნები, თითქმის უნიკალური აქტიორული

თვისებები — უდიდესი შინაგანი ძალა, ემოციურობა, მდიდარი ხმა, ბუნებრივი წარმოსადგობა, სიდიადე, დიდი ადამიანური სითბო, მიდრეკილება სცენური სიმართლისადმი.

როცა რუსთაველის სახელობის თეატრის სათავეში ჩაუდგა მარჯანიშვილის ნიჭიერი მოწაფე სანდრო ახმეტელი, ა. ა. ხორავამ წამყვანი ადგილი დაიკავა ამ თეატრის ცხოვრებაში და ახმეტელის სპექტაკლებში შექმნა ისეთი თვალსაჩინო სახეები, როგორც არიან ანზორი, ბერსენევი, კარლ მოორი — სახეები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს არა მარტო მსახიობის ბედში, არამედ სპექტაკლების ბედშიც, ხოლო მათ შემდეგ მთელი ქართული თეატრის ბედშიც.

ა. ა. ხორავა იყო გმირულ-რომანტიკული, ტრაგედიული ჰლანის მსახიობი, ტრაგიკული მას ყოველთვის ესმოდა როგორც ბრძოლა, როგორც ადამიანის პიროვნების ძალისა და მამაცობის ერთ-ერთი გამოვლინება, როგორც გმირობა სიცოცხლის დასაძვიდრებლად. გეროიკა და რომანტიკა მისთვის იყო უმაღლესი თეატრალობის გამოვლინების საშუალება და თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეების ხორცშესხმა. იგი არასოდეს არ აზორობდა მათ სიცოცხლის სიმართლეს, ვერ წარმოედგინა ისინი უბრალო, ადამიანური გრძნობებისა და ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლისაგან გამოყოფით.

ა. ა. ხორავას ხელოვნება იყო ღრმად ეროვნული, არაჩვეულებრივად მისაწვდომი ხალხის ფართო მასებისათვის. მასზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სახალხო არტისტი ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი მნიშვნელობით. თავისი ადამიანურობით, სისადავით, გმირის ხასიათში ღრმად ჩაწვდომის და მისი სულიერი სამყაროს ამომწურავად გამოვლინების უნარით ხორავამ მოიხვეჭა მთელი საბჭოთა ხალხის აღიარება და სიყვარული. რამდენჯერ მოუჯადოებია მას თავისი ხელოვნებით მაყურებელი? რამდენი აღფრთოვანებული სტრიქონი დაწერილა მის მძლავრ ნიჭზე!

ა. ა. ხორავას ხელოვნება იყო მასშტაბური, დიდებული, დიადი. მას არასოდეს არ იტაცებდა წვრილმანები სცენაზე. მისთვის უცხო იყო ინტონაციების კამერულობა. მისი გმირები იყვნენ ძლიერი, ნებისყოფიანი ადამიანები და, როგორც თვითონ მას, უყვარდათ სიცოცხლე. მსახიობს მათში იზიდავდა გატაცება, ბუნებრივი საწყისი, ძალის სიდიადე. ასეთად სამუდამოდ აღიბუქდნენ თანამედროვეთა ხსოვნაში მისი გლეხთა ბელები არსენა და ტარიელ გოლუა, შმაგი ანზორი, რომელიც როგორც მრისხანე შურისმაძიებელი თავისი გზიდან იშორებდა რევოლუციის მტრებს, მამაცი კაპიტანი ბერ-

სენევი, რომელიც ვაბედულად მიაბიჯებს ქა-
რიშხლის შესახებდრად, კეთილშობილი საბჭო-
თა ინტელიგენტი პლატონ კუჩუჩეტი, სიღერის
კარლ მთორი, რომელიც უტევს ტირანებს,
ოტელო, რომელიც აღდგა ძალადობისა და ბო-
როტების სამყაროს წინააღმდეგ, მამაცი გენე-
რალი მურავიოვი, ივანე მრისხანე — რუსეთის
ბრძენი მმართველი, სოფოკლეს ოიდიპოს მეფე
— გაუტეხაობისა და ზნეობრივი სიდიადის იდეა-
ლი. ამ როლებმა ა. ა. ხორავა ფართოდ ცნობი-
ლი ვახადა არა მარტო თავის სამშობლოში.
გულდაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ქართუ-
ლი საბჭოთა თეატრის არცერთ სცენურ სახეს
არა ჰქონია ისეთი უდიდესი რეჟონანსი და აღი-
არება, როგორც ოტელოს ა. ა. ხორავას შესრუ-
ლებით. ამ სახეც კემპარტიად მსოფლიო სახელი
მოიხვეჭა. „...თქვენი ოტელოსათვის მდაბლად
ვიკრავთ თავს“, — სწერდა ა. ა. ხორავას დიდი
რუსი მსახიობი ვ. ი. კაჩალოვი. ა. ა. ხორავას
ხელოვნებას დიდად აფასებდა ვ. ი. ნემიროვიჩ-
დანჩენკო.

1949—1955 წლებში ა. ა. ხორავა იყო რუს-
თაველის სახელობის თეატრის დირექტორი, გა-
მოდირდა როგორც დამდგმელი რეჟისორი
(ა. სუშბათაშვილი-იუჟინის „ოლატი“, გ. მდი-
ნის — მოსკოვის ცა“ და სხვ.)

ა. ა. ხორავა იყო საქართველოს თეატრალუ-
რი საზოგადოების შემქმნელი. 1945-47 წლებში
იგი იყო მისი პირველი თავმჯდომარე. 1957-60
წლებში იგი კვლავ სათავეში ედგა ამ საზოგა-
დოებას.

მთელი თავისი სიცოცხლე ა. ა. ხორავამ მო-
ანდომა ახალგაზრდობის აღზრდას. მას ეკუთ-
ვნის პატრივი საქართველოს თეატრალური ინს-
ტიტუტის დაარსებისა. 1939-დან 1949 წლამდე
იგი მუშაობდა ინსტიტუტის დირექტორად და
სიცოცხლის ბოლომდე იყო სამსახიობო ინსტი-
ტობისა და რეჟისურის კათედრის პროფესორი.

ა. ა. ხორავას ხელოვნება მჭიდროდ დაკავში-
რებულია კინემატოგრაფიის განვითარებასთან.
მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს მას კინოში შეს-
რულებულმა როლებმა: გიორგი სააკაძე, სკან-
დერბერგი და სხვ.

1936 წელს ა. ა. ხორავას საბჭოთა თეატრის
პირველ მოღვაწეთა შორის მიენიჭა სსრ კავში-

რის სახალხო არტისტის წოდება. ა. ა. ხორავას
სახელია სახელმწიფო პრემიის პირველ ლაურე-
ატებს შორის, რომელიც მას ითხვევ მიენიჭა,
ა. ა. ხორავა მრავალი წლის მანძილზე იყო სა-
ხელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი.

1939 წლიდან ა. ა. ხორავა სკკპ წევრია.

ა. ა. ხორავა აღჭურვილი იყო თანამედროვე-
ობის მკვეთრი გრძნობით. იგი ყოველთვის საუ-
კუნეს მხარდამხარ მისდებდა. ეს იგრძნობოდა
მის ყოველ სახეში, ყოველ აზრში, ყველაფერ-
ში, რასაც იგი აკეთებდა სცენაზე და ცხოვრე-
ბაში. ფართოდ ცნობილია მისი მჩქეფარე საზო-
გადობრივი ძოღვაწეობა. იგი არჩეული იყო
სსრ კავშირის I, II, III და IV მოწვევის უმაღ-
ლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ
V მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1950 წლიდან ა. ა. ხორავა მშვიდობის დაც-
ვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
უცვლელი თავმჯდომარეა. იგი იყო მშვიდობის
დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, აზიისა და
აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის
წევრი. არაერთხელ წარმომადგენლობდა საერ-
თაშორისო კონგრესებსა და ფორუმებში რო-
გორც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრ-
ძოლი.

ა. ა. ხორავა ბევრს ფიქრობდა თეატრის გან-
ვითარების ბელსა და პერსპექტივებზე. ხშირად
გამოდირდა თეატრის საკითხებზე საკავშირო და
რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე; მისი მრავ-
ალრიცხოვანი სტატეები გამოვიდა ცალკე წიგ-
ნად — „სტატეები თეატრალური ხელოვნების
შესახებ“.

ა. ა. ხორავა დაჯილდოებულია ორი ლენინის
ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორ-
დენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით,
მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამა-
ცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში“ და
სხვ.

მაშინაც კი, როცა ლოგინად იყო მიჯაჭვული
მძიმე ავადმყოფობის გამო, ა. ა. ხორავას სი-
ცოცხლის უკანასკნელ ოღებამდე აინტერესებ-
და თეატრის ბედი. ამათ კოვებდა იგი მოსვენ-
ებასა და სიხარულს.

ქართველ ხალხს სამუდამოდ ე-
ომება ნათე-
ლი სახე თავისი საყვარელი მსახიობისა, რომელ-
მაც მთელი ძალები მოახმარა მშობლიური ხე-
ლოვნების დიდებისა და პრესტიჟის გასა-
ცელებას.

- ბ. ვ. მუხამანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე ე. ა. ფურ-
ცხვა, ა. ნ. ჩუბინი, შ. ი. ზანუშვაძე, მ. ა. გოგინიაშვილი,
ზ. ა. პატარიაძე, შ. დ. პიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვი-
ლი, პ. ვ. მელნიკოვი, რ. ვ. მებრეველი, თ. ი. მოსაშვილი,
ჯ. ი. პატიაშვილი, ნ. ს. ტინონოვი, მ. ი. ცარიოვი, ვ. მ. სირა-
ძე, ი. ნ. ვეკუა, გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, დ. პ. ანთაძე,
შ. ე. ბუხრაშვილი, ა. ა. ვასაძე, დ. ს. მჭედლიძე, ო. ვ. თაძ-
თაძიშვილი, შ. ა. სალარიძე, ო. დ. ჭინჭლაძე, ვ. ი. ანჯა-
ფარიძე, ა. მ. ბალანჩივაძე, ნ. მ. ბურმისტროვა, პ. ს. გამსა-
ხურდია, ვ. დ. გომიაშვილი, ა. ა. დვალისხვილი, შ. მ. ჯაფა-
რიძე, ს. ბ. დოლიძე, ე. ა. მანჯგალაძე, გ. ი. სალარაძე, ს. დ.
თაძაიშვილი, მ. ე. ზიაურელი, ა. ე. ჩხარტიშვილი.

ინსპუვკოპოს

თეატრალური აზიონათან

სხინვალის თეატრის ოსუკილანის სპექტაკლები გიგა ლორთქიფანიძე

ა. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის ოსურმა დასმა ხუთი სპექტაკლი წარმოუდგინა თბილისელ მაყურებელს. მე ვნახე ამ დასის ხუთივე სპექტაკლი და უნდა ვთქვა, რომ ამ სპექტაკლებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამიტომაც თავიდანვე შემიძლია აღვნიშნო, რომ თეატრის ოსური დასის გასტროლებმა ჩვენს დედაქალაქში წარმატებით ჩაიარა.

მთავარი, რაც მე ამ სპექტაკლების ღირსებად მიმაჩნია, ეს არის ის, რომ დამყარდა მკიდრო კონტაქტი სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. მართალია, მაყურებელთა მეტწილს არ ესმოდა ოსური ენა, თარგმანი კი ტექნიკურად არ იყო ყოველთვის გამართული და ჩვენამდე არ აღწევდა, მაგრამ მაყურებელს მაინც ადევნებდა ის, რაც სცენაზე ხდებოდა. ეს კი თეატრის უთუო მიღწევაა.

პირველ სპექტაკლად წარმოდგენილი იქნა „სარმათი და მისი შვილები“. მე მივობს შევებო ამ სპექტაკლის ნაკლოვან მხარეებს. თუმცა მას საქებარიც ბევრი აქვს, მაგრამ რადგან ეს უწინარესად აქტიორულ სახეებს შეეხება, ამაზე ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებ. ამ სპექტაკლის ნაკლოვანებები უწინარესად პიესიდან მომდინარეობს, პიესა აგებულია ცრუ დრამატულ სიტუაციებზე. ეს კი ძალიან უშლიდა ხელს რეჟისორსა და მსახიობებს შეექმნათ მართალი სცენური გარემო. მიუხედავად იმისა, რომ მე ეს პიესა არ წამიკითხავს, მასში იმდენი რამ არის ნაცნობი და მოძველებული, რომ წამეკითხა კიდევ, ვერაფერს ახალს ვერ აღმოვაჩენდი შიგ.

წლები წლებს მისდევენ, იცვლება ჩვენი დამოკიდებულება საგნებისადმი. მოვლენები ახალი ფორმით წარმოჩინდებიან ხოლმე. ამიტომ პიესა, რომელიც 20-იან წლებში შეიძლება აღებური გჩვენებოდათ, დღეს სულ სხვაგვარად აღიქმება. ამიტომ იმ მოვლენებზე დღეს უნდა დაიწეროს სრულყოფილად. „სარმათსა და მის შვილებში“ ბევრი რამ გამოგონილია, არ შეიძლება გვაროდეს ამ სიტუაციების“. მე, მაგალი-

თად, ვერ დავიჯერე, რომ შეიძლება ასე გამძაფრდეს სარმათისა და მისი შვილების ურთიერთობა. მათ აღარ შერჩენიათ არაფერი ადამიანური, აბსოლუტურად უარყოფენ ერთმანეთს. ყველაფერმა ამან ხელი შეუშალა მსახიობებსა და რეჟისორს. თუმცა მე უთუოდ გამოვყოფ უმარბისა (მსახიობი დ. გაბრავეი) და ესირაბის (რ. გასიევა) როლების ჩინებულ შესრულებას.

არ დამაკმაყოფილა ორჯონიკიძის როლის შემსრულებელმა ს. ტოლგაზოვმა. სხვა სპექტაკლებში ტოლგაზოვი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და მომეწონა კიდევ, მაგრამ ამ როლში იგი სუსტი იყო და სქემატური.

მეორე სპექტაკლმა „ამირანმა“ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა. მე მგონია, ეს არის ადამიანის განთავისუფლების, გმირისა და ხალხის ურთიერთკავშირის იდეა. მხატვრული ხერხის თვალსაზრისით ამ სპექტაკლში ყველაზე საინტერესოა ის, რომ სცენაზე არ არის ამირანი, მაგრამ ყოველთვის იგრძნობა მისი იდეა. მან ადამიანებს მოუტანა ცეცხლი და ჩაუნერგა ბრძოლის სულისკვეთება.

ძალიან საინტერესოდ აქვს ჩაფიქრებელი და შესრულებული დურდუნის როლი მსახიობ მ. თალგაზოვს, ეს არის სიახლით, სიმძაფრით აღბეჭდილი როლი.

მშვენიერია ბესოს როლში მსახიობი გ. ბეკოევი. ეს არის ძლიერი მსახიობი, რომელიც ამავე დროს მეტად პერსპექტიულადაც მომეჩვენა.

ძალიან მომეწონა ჩოხბაქაძის როლის შემსრულებელი ე. გუჟაევა. აქვე უნდა აღვნიშნო— ამ მსახიობმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა სხვა სპექტაკლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ გ. ბეკოევა და ე. გუჟაევა უკვე გამოცდილი მსახიობები არიან, ისინი კიდევ უფრო გაიზრდებიან შემოქმედებითად და ბევრ საინტერესო სცენურ სახეს შექმნიან თეატრში. კარგი იყო ჩაქუჩიანი მუშის როლში ე. გუჟაევი.

ვიმეორებ, „ამირანი“ საინტერესო სპექტაკ-

ლია, თუმცა მის საბოლოო სრულყოფილებას ხელს უშლის ოდნავ ზერელე გადაწყვეტა უარყოფითი და მისი მოპირისპირე სახეებისა.

მე არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პიესას არა აქვს ფინალი. ძალიან კარგია, რომ პიესა ჩვეულებრივად არ მთავრდება, როცა უთუოდ ელოდები რაიმე წერტილს.

რა შეიძლება ითქვას სპექტაკლზე „სადა ხარ, ბედნიერებავ“? ამ სპექტაკლის პირველმა ორმა მოქმედებამ ჩემზე ჩინებული შთაბეჭდილება დასტოვა. ამ სპექტაკლის მონაპოვრად მიმაჩნია ალინას როლის შესრულება რ. ვასიევას მიერ.

უნდა ვთქვა, რომ რ. ვასიევა, გარდა გარეგნული მონახაზისა, „სარბათსა და მის შვილებში“ არაფერ მნიშვნელობას არ ქნის, მაგრამ აი, ამ სპექტაკლში, ალინას როლში იგი ჩინებულად გამოიკვეთა. გამოჩნდა მისი ნამდვილი ტრაგიკული პათოსი. ეს როლი ღირსია მაღალი შეფასებისა. რ. ვასიევა ამ როლს თამაშობს არა ცალმხრივად და პრიმიტიულად, არა სქემით, არამედ მრავალი პლანით. მასში გაერთიანებულია სიმსუბუქე და ადამიანური განცდების სიღრმეც; ნამდვილი გატაცებაც და საკუთარი ბედნიერების რწმენაც. ძალიან საინტერესოდ აქვს გააზრებული მსახიობს შეცდომების შეცნობის პროცესიც. მე მგონია, სპექტაკლი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ინალის ხაზი უფრო ღრმად ჰქონდეს დამუშავებული დრამატურგს. ინალის სახის არასრულყოფილება დაბლა სწევს თვით ალინას იდეასაც. საქმე იმაშია, რომ ალინას სახე მრავამხრივია, ინალისა კი პრიმიტიული, სქემატური. არ შეიძლება საინტერესო პიროვნება იყოს აღამიანი, რომელიც ქალს ეუბნება: „გაიხადე ეს პალტო, იგი ჩემი ნაყილია“.

ამას გარდა, მე მომეწონა მსახიობები: რ. ძაგოვი და ალ. თედევი. ამ უკანასკნელს შეეძლო გაცილებით უკეთ თამაშონა, დრამატურგს რომ რთულ და ყალბ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა. ა. თედევი საინტერესო მსახიობია, მაგრამ მან თავი უნდა დააღწიოს გარეგნული მონახაზით ზედმეტ გატაცებას.

მე მიმაჩნია, რომ ეს არის სპექტაკლი სიმართლესა და ადამიანურობაზე და მიუხედავად იმიისა, რომ პრობლემა ძალზე ლოკალურ გარემოშია გადაწყვეტილი, სპექტაკლი გადელვებს, განსაკუთრებით კი პირველი ორი მოქმედება. მესამე მოქმედება კი ძალზე უსახურია, მისი ცქერაც კი ჭირს.

ამ თეატრის ხელმძღვანელობა, რეჟისურა, მსახიობები უნდა დაფიქრდნენ ერთ რაიმეზე — ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთსა და იგივე საკითხს, რომელიც ჩვენთვის კარგა ხნის წინათ გახდა ნათელი, უკვე ვიცით, დრამატურგი და რეჟისორი კვლავ და კვლავ ამუშავებენ. ამ შემ-

თხვევაში ჩვენ, დარბაზში მსხდომნი, მაყურებელი თეატრს წინ ვუსწრებთ, თეატრზე მეტი ვიცით, რადგან პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ასე დაუმთავრებელი გვთავაზობს თეატრი, ჩვენთვის უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ თანამედროვე თეატრზე, თამაშის თანამედროვე მანერაზე. ყველაფერი ეს აბსტრაქტული მტენებები როდია. შეიძლება ითამაშო გრიმის, კოსტუმებისა და დეკორაციის გარეშე და არ იყო თანამედროვე, ითამაშო გრიმით, კოსტიუმებით, დეკორაციით და მინც უაღრესად თანამედროვე იყო. რა მანქან მხედველობაში? მე მგონია, თეატრის თანამედროვეობა მდგომარეობს ინფორმაციის ვანუწყვეტელ მიწოდებაში. სპექტაკლის დროს თეატრი მაყურებელს წინ უნდა უსწრებდეს, როგორც კი თეატრი ჩამორჩება, ე. ი. როგორც კი მე, მაყურებელი ყველაფერს გავიგებ, მაგრამ სცენიდან მინც ერთსა და იგივეზე მეათედ მელაპარაკებთან, გინდათ დამიმტკიცოთ უკვე დამტკიცებული, აღმომაჩენილთ დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი, მე, მაყურებელი მომამბეზრებელ წუთებად გადაექცევა დარბაზში გატარებული დრო.

ასეა სპექტაკლშიც „სადა ხარ, ბედნიერებავ“. ბოლო, მესამე მოქმედებას არაფერი უთქვამს ახალი, მაგრამ თეატრი მინც გვთავაზობს ფინალს, მერე კიდევ როგორ ფინალს? ყურადღებას ამახვილებს ისეთ რამეზე, რაც ჩვენ უკვე ვიცით, და ასეა დაუსრულებლად.

აი, ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ამ სპექტაკლის მესამე მოქმედება.

მე საერთოდ ვაფასებ და მიყვარს, როცა სცენაზე რამდენიმე მოქმედი პირია, როცა თეატრი არ ერიდება აჩვენოს ცხოვრების მდინარება სცენაზე. ასეთი პიესები სჭირდება თეატრსაც და მაყურებელსაც... ასეთ პიესებს შორის მოვიხსენიებ ალ. ჩხაიძის „ხიდს“.

ცხინვალის თეატრში ეს სპექტაკლი რეჟისორმა მ. მაგაევმა დადგა. რეჟისორულად სპექტაკლი კარგადაა გადაწყვეტილი. მე ვერც წარმომიდგენია „ხიდის“ სხვაგვარი გადაწყვეტა. ამ სპექტაკლში რეჟისორის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს შინაგან აღამიანურ ურთიერთობათა გამოვლენა. რეჟისორმა მაგაევმა კარგად შეასრულა ეს სამუშაო. მაგრამ სპექტაკლის დონეს აქვეითებს „სუსტი მუსიკალური გაფორმება და შუქის არა თანაბარი გამოყენება. ნახევრად ჩაბნელებული სცენა დამღვლელად მოქმედებს მაყურებელზე. დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს მუსიკა, რადგან იგი გაუგებარია და პიესისთვის სრულიად შეუფერებელი.

ხოლო, რაც შეეხება აქტიორულ შესრულებას, კარგად არის გადაწყვეტილი ირაკლი რაზმაძე — სახე (გ. თავაზოვი). ეს არის პატიოსანი

და საკმაოდ შრომისმოყვარე ადამიანი, რომელიც მართალია, სიმართლეს ემსახურება, მაგრამ უკვე დაჰკარგა რწმენა ადამიანში. იგი თითქოს ხელახლა იმუხტება მარცხი ჩოდრიშვილისაგან.

ცხინვალელებს ჰყავთ კარგი მსახიობი ს. გუკაევა. მისი მარცხი ჩოდრიშვილი ძლიერი პიროვნებაა. ეს უადრესად ქალური და ღრმად საინტერესო სახეა, რომელმაც მე გამახარა.

არჩილ სავანელის რთულ როლს გ. გეკოევი ასრულებს. ამ როლში იგრძნობა მოჩვენებითი ინტელექტი, ცინიზმი და ეგოიზმი.

კარგია აგრეთვე ცხოვრებოვის სართანია. დამაჯერებელი იყო ა. თედევი ანზორ გუჯაბიძის როლში, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

პირდაპირ ვიტყვი — ვ. ვაგლოვის პიესის „თქმულება დედაზე“-ს მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა ჩემზე დასტოვა რთული, ერთობ ეკლექტიკური შთაბეჭდილება. ზოგადი თვალსაზრისით ბევრა საინტერესოა, მაგრამ იგი ერთგვარად მოქმედდა. ეს პიესა რომ ახლა, ამ ეტაპზე დაეწერა ვაგლოვს, იგი ბევრ რამეს შესცვლიდა. ეს განსაკუთრებით შეეხება პირველ მოქმედებას. აქაც თავს იჩენს ის მთავარი უბედურება, რომელიც, ვფიქრობ, ყოველ სპექტაკლში თან სდევს თეატრს — ეს არის ზომიერების გრძნობის ლალატი. ეს არის გრძელი, ურიტმო მოქმედება. მეორე მოქმედებასაც გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებანი, მაგრამ პირველ მოქმედებაში სპექტაკლს ლალატობს რიტმის გრძნობა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევეხო დედის როლის შემსრულებელს ე. გუკაევას. ეს მსახიობები, რომლის თამაშსაც სხვა სპექტაკლებში დადებითად ვაფასებთ, ამ სპექტაკლში შენიშვნებს იმსახურებს. მან ვერ შეძლო დაეძლია საკუთარი პიროვნება. მოხუცი ქალის ისეთ პარკს, რომელსაც იგი ატარებს, ახლა ქალიშვილები იკეთებენ რომ ლამაზი გამოჩნდნენ. მსახიობმა ისიც კი არ მოინდომა, რომ თანამედროვე ფეხსაცმელები გაეხადა. ამიტომ ლამაზი, შავგვრემანი ქალი, ფრანგული პარკი რომ გაუკეთებია, არ სტოვებს ოსი, სოფლელი მოხუცი ქალის შთაბეჭდილებას. ამიტომაცაა, რომ ერთი შვილი

(მსახიობი ს. ტალგოზოვი) მამად შეჰყვრის ამ დედას.

შეიძლება ამაზე ვინმემ შემნიშნოს — სპექტაკლი პირობითობაზეა დაფუძნებული და ყველაფერი ასე უნდა იქნას გაგებული, მაგრამ პირობითობასაც გააჩნია.

მე მგონია, ამ სპექტაკლის სასიწჯ ქვას მაინც წარმოადგენს ქესირხანის როლის ამოღებები. თამაში მსახიობ გ. ჩოჩიევის მიერ. ეს არის მშვენიერი, ორიგინალური, უბრალოებითა და იუმორით აღბეჭდილი სახე.

ვფიქრობ, სპექტაკლში დიდი დრო ეთმობა ავტორის ტექსტს, რომელსაც ი. ჯიკოევი კითხულობს. ეს აფერხებს სპექტაკლის რიტმს. ამ სპექტაკლში მე მომეწონა ბატრუხის როლის შემსრულებელი ო. ჩაბიევი, არ დამაკმაყოფილა ავსტაგის როლში გ. ბეკიევა. ამას თავისი მიზეზიც აქვს — მისი სცენაზე შემოსვლისთანავე მივხვდი, რომ სწორედ მას მოჰკლავდნენ პირველად, მას გრძიმოც არა ჰქონდა გაკეთებული.

სპექტაკლის ყველაზე საინტერესო სცენად მიმაჩნია რძლებთან გამოთხოვების ეპიზოდი. ძალიან სახიფათო სცენაა — ყოველ რძალს აცვია თეთრი კაბა, დედამთილს კი შავი. კონსტრუქტიულადც ძალიან კარგადაა ეს სცენა მოფიქრებული, ამის შემდეგ პიესა უნდა მთავრდებოდეს კიდევ.

ცხინვალის თეატრის ოსური დასის ვასტროლებმა თბილისში წარმატებით ჩაიარა. მე დავუმეგობრდი ამ თეატრს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — ჩვენ უფრო ახლოს უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, რადგან ეს არის საინტერესო თეატრი. ამ თეატრს აქვს თავისი პოზიცია. ამიტომაც არ მინდა გვერდი ავუარო ერთ საკითხს, მინდა სწორედ „თეატრალური მოამბის“ ფურცლებზე გამოვთქვა ერთი შენიშვნა.

ვფიქრობ, თეატრმა უნდა იფიქროს იმაზე თუ როგორ უნდა მოთავსდეს ერთ ჭერქვეშ ისეთი სხვადასხვა სულისკვეთებითა და სტილისტურად სრულიად განსხვავებული სპექტაკლები როგორცაა: „ამირანი“, „თქმულება დედაზე“, „ხიდი“ და სხვა. სტილისტურად ასეთი განსხვავებული სპექტაკლები უთუოდ შეჰქმნიან ეკლექტიკის საშიშროებას. მე ამას ვამბობ, რადგან მჯერა ამ ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებითი ძალებისა.

მხიარ რამ რეჟისორისა და რეჟისურის შესახებ

ალეკო ფალუტაშვილი

რუსთაველის თეატრის ბოლოდროინდელი სპექტაკლებიდან შ. დადიანის „გუშინდელი“ და თ. ჭილაძის „მოულოდნელი სტუმარი“ გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი განსაკუთრებით შეინიშნება თეატრალურ წრეებში. ახალგაზრდა რეჟისორის თ. ჩხეიძის სპექტაკლები სცილდება ჩვეულებრივი, რიგითი წარმოდგენების ჩარჩოებს და ბევრ პრობლემურ, სადღეისო საჭირობათა საკითხს აყენებს.

აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა არა იმდენად თავად სპექტაკლები, როგორც მხატვრული ფაქტი, არამედ ის ტენდენციები და გზები, რომლებიც ამ სპექტაკლებშიც ისახება თანამედროვე სარეჟისორო ხელოვნების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ახალი გზების ძიება გუშინ არ დაწყებულა და არც დღეს შეიძლება მივიჩნიოთ მიზანი მიღწეულად.

თეატრში (და განა მართო თეატრში) განახლებისადმი სწრაფვა დაუსრულებელი პროცესია, ამას საფუძველი ჩაუყარეს ახალგაზრდა რეჟისორების პედაგოგებმა, წინა თაობის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა თავიანთი გაბედული ძიებებითა და თვალსაჩინო მონაპოვრებით.

გვახარებს, რომ ამგვარმა ძიებებმა ფეხი მოიკიდეს და მყარი ნიადაგი ჰპოვეს ახალგაზრდობაში. ეს უკვე ქართულ რეჟისურის ხვლინდელ დღეზე ფეჭრისა და განსჯის საბაზს იძლევა, რაც თავის მხრივ თეატრის პერსპექტივაზე მოგვანიშნებს.

სხვებზე სპექტაკლები ერთი იმათგანია, რომლებიც ამკვიდრებენ, ცხასაყოფელს ხდიან მოსაზრებას — თანამედროვე თეატრი რეჟისორის თეატრია. დღესდღეობით ქართულ თეატრში ეს პროცესი შეინიშნება. მას წინა პლანზე გამოაქვს სარეჟისორო ხელოვნება, განსაკუთრებულად წარმოაჩენს მის როლს და ადგილს.

რეჟისორული ინტერპრეტაცია, ლიტერატურული პირველწყაროს თეატრალურ ენაზე გადმოტან-გადმოღება დღეს უკვე აღარავის ჩათვლება აქტივში. პეისა უკვე თვითმიზანს აღარ წარმოადგენს. იგი ხშირად საშუალება უფრო ავიდრე მიზანი, საშუალებაა თეატრის კოლექტივის აქტიური პოზიტიური აზრის, ან მძაფრი მოქალაქეობრივი მსჯავრის გამოსატანად, რაც სპექტაკლის რეჟისორულ გადაწყვეტაში პოულობს თავის უმთავრეს გამოხატულებას.

ამგვარ რეჟისორულ რედაქციას ეძეგმდება რეკლამის მემკვიდრეობის („გუშინდელი“) ათვისების საქმე და თანამედროვეობის თემაზე დაწერილი პეისის („მოულოდნელი სტუმარი“) მოდიფიკაცია. პეისის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სხვადაცვის“ ეს ტენდენცია თანამედროვე თეატრალური ძიებებისათვის უცხო როდია — ხშირ შემთხვევაში საუკეთესო მონაპოვართა თანხმებია.

რეჟისორ-დამდგმლის „ფანქრის“ ძალა სულ უფრო საცნაური გახდა. დღეს რეჟისორის ფუნქცია თეატრში სპექტაკლის ავტორის უფლებამოსილებაშია გადაზრდილი.

თეატრში რეჟისორული აზროვნების გააქტიურებაზე, მის ავანგარდულ როლზე ბევრგან გა-

ისმის ლაპარაკი. ეს აზრი მკვიდრად იკიდებს ფეხს ჩვენშიც. საყარადღებოა, რომ იგი, თუ საბოლოოდ არა, დიდხანს მაინც განაპირობებს სათეატრო ხელოვნების დონეს, უახლეს მონაპოვართა საუკეთესო თვისებებს. სწორია ტრადიციული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება თანამედროვე მსოფლიო თეატრალური მოვლენების გაუთვალისწინებლად, მისგან მოწყვეტით მშობლიური თეატრალური კულტურის მონაპოვართა განსჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება გამოვინდოთ ველოსიპედის ხელახლად აღმოაჩენად ამოდ გავისარჯოდ და დაეშვრეთ.

მაგრამ ახლის შეფასება არც ძველის გაუთვალისწინებლად (იმავე მასშტაბით) არის სწორი. ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ბრეხტის დრამატურგიაზე, როგორც მეოცე საუკუნის თვალსაჩინო სიახლეზე, ის კი გვაფიქვამს, რომ დრამატურგული აზროვნების ბრეხტისეული პრინციპები უკვე მთავრდება პიესებში იყო მოქცეული. ისიც გვაფიქვამს რომ ყველასგან მოძულებული და ყბადღებული პროლეტარულტობის პერიოდის მუშათა ახალგაზრდობის თეატრი — ე.წ. „ტრამაი“, „ბერლინელ ანსამბლის“ წინამორბედი თეატრი იყო. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის უდღეურ „ტრამაის“ მსოფლიოს ერთ-ერთ უპირველეს თეატრს — ბრეხტის თეატრს ვადრიდ. საქმე ეხება მხოლოდ გარკვეულ მსოფლმხედველობით ნიადაგზე აღმოცენებული თეატრალური პრინციპების ერთიანობას. „უიკიური თეატრის იდეა, „ვანსხვისების“ ხერხიც მართალია, ულახათოდ და მოუხერხებლად, მაგრამ მაინც პირველად „ტრამაისტებმა“ მოიშველიეს სასცენო პრაქტიკაში. ზოგიერთ თეატრის პრაქტიკული მოღვაწისათვის კი ერთი უშვილო შთაგონების სათავედ იქცა (რუსთაველის თეატრში საცნაური გახდა ბრეხტისეული ხერხების გამოყენება სამისანიონო შესრულებაში), მეორე კი პირიქით „ირონიის საგნად (იმავე რუსთაველის თეატრში, სპექტაკლ „მუხის შეილებაში“ პაროდირებულ იქნა პროლეტარულტის თეატრი).

დავუბრუნდეთ ისევ ძირითადს — თანამედროვე თეატრი რეჟისორის თეატრია. მაგრამ ყოველი მოვლენა ხომ თანამედროვე მიღწევების საერთო მასშტაბშია ასანწონ-გასაწონი. თანამედროვეობის სიახლეებთან ერთად, თუ ჩვენ ასევე მართებულად, ვარსულსაც გავითვალისწინებთ, ვნახათ, რომ ფორმულირებაში „თანამედროვე თეატრი რეჟისორის თეატრია“, „სიტყვა თანამედროვე“ უფრო იქით გადაიწეოს.

თუ ამქამდ ეასახლებთ ტოვსტონოვოვის, ახლოპოვის, ლიუბმოვის, და სხვათა თეატრებს, უახლეს წარსულში იყო მეიჩობოლის, ვახტანგოვის, ტაიროვის, აკიმოვის, მარკანიშვილის და ახმეტელის თეატრები. ამიტომ ფრაზა — „თანამედროვე თეატრი რეჟისორის თეატრია“ თავისუფლად შეგვიძლია შევცვალოთ უფრო მართებული ფორმულირებით — „მეოცე საუკუნის თეატრი რეჟისორის თეატრია“. მაგრამ აქ ყველა საუკუნის დღი თეატრის აზრდილი თვალწინ წარმოვვიდგება და უკან ვიხევთ მისი ავტორიტეტის წინაშე. ეს სტანისლავსკია, ვინც სახატ-

ვრო თეატრის რეჟისორის ან მსახიობის კი არა—
დრამატურგის თეატრი უწოდება.

ვიხვეთ უკან და ისევ ძველ ფორმულირებაზე
ვჩერდებით. მაშ ასე: „თანამედროვე თეატრი
რეჟისორის თეატრია“, უფრო ზუსტი იქნებო-
და თუ ვიტყვოდით, რომ განვითარების თანამედ-
როვე ეტაპზე რეჟისორი თეატრის უმთავრესი
კომპონენტი გახდა.

რამ განაპირობა რეჟისორის გაბატონებული
მდგომარეობა თეატრში? რატომ მოხდა მონაც-
ვლებმა, დრამატურგიამ რატომ დასთმო მოწი-
ნავე პოზიციები? როგორადაც არ უნდა გვიმ-
ძიმდეს პირდაპირი პასუხის გაცემა, მაინც უნდა
ითქვას, რომ ეს გარემოება თანამედროვე დრა-
მატურგის არასახარბილო მდგომარეობამ გან-
ნაპირობა.

ოსტრავისკის, გორკის, ჩეხოვის პიესები გან-
საზღვრავდნენ არა მარტო სპექტაკლის შინაარსს,
არამედ მის ფორმასაც, აქედან მომდინარე კი
თეატრის მხატვრულ სტილს, მსახიობთა განსა-
ხიერების მანერას.

თანამედროვე თეატრზე დრამატურგია ამ
სახის ზემოქმედებას იგი ახდენს. ეს ფუნქცია
რეჟისორმა იტვირთა. იგი არ დალოდება დრა-
მატურგიაში ნოვატორების, ახალი ტალანტების
მოზღვავენას, თავად გარჯილა, თავად გაუნსაზ-
ღვრავს თეატრის სახე, მხატვრული მიმართულებ-
ა, სტილი, მსახიობური სკოლა. რეჟისორის
პირველობა თეატრში მულტიმედიური ძალა
რეჟისორია. ეს პროცესი გარემოებათა ისეთი სუ-
რათია, როდესაც მოცემულ პერიოდში რეჟი-
სორის ავანგარდიზმი აშკარად შესამჩნევი ფაქ-
ტია. ამჟამად თეატრისათვის რეჟისურა აღარ
არის ნომერ პირველი პრიორიტეტი. ასეთად დრა-
მატურგია მოსჩანს. მისი წამოწევა და კუთვნი-
ლი ადგილის დაკავება უფრო დამაჯერებელსა
და ბუნებრივს განხილავს საბჭოთა თეატრის შე-
დგომი ზრდისა და განვითარების საქმეს; მის
ხელაწინდელ დღეზე, მის პერსპექტივაზე უფრო
გულდაჯერებული და მიმნდობი ვიქნებოდით.
ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა, ინიციატივა
კვლავ რეჟისორთა ხელში იქნება.

რეჟისორთა წარმოჩინებას დიდად შეუწყო
ხელი ტექნიკურმა გამოგონებებმაც, სცენურმა
სიხალეებმა. რიგი რეჟისორებისათვის იგი იქცა
შთაგონების, ფანტაზიის გაშლის მიდირარ საშუა-
ლებად. ტექნიკური სიხალეებიდან მომდინარე
თეატრალური აზროვნების თავისებურება, მისი
ლიაბაზონი და შესაძლებლობები პირველად რე-
ჟისურამ (და ეს არც არის გასაკვირი) იგრძნო.

დრამაში მხოლოდ ახლა, და ისიც აქა-იქ, შეი-
წინებდა სცენის ახალ ტექნოლოგიაზე დაყრდნო-
ბით ორიგინალური სახიერებით აზროვნების
კონტურები. თეატრისა და დრამატურგიის ურ-
თიერთობა და კონტაქტი ამ მხრივ მოპოვებული
გამოცდილების გაზიარებასაც უნდა გულისხმობ-
დეს უსაათოდ.

მოწინავე აზრის დასამკვიდრებლად პიროვნე-
ბის ინიციატივის, პასუხისმგებლობის, მოვალეო-
ბის გრძობის ამოღებამაც დიდად შეუწყო ხე-
ლი რეჟისურის გააქტიურებას. რა თქმა უნდა,
ეს ეხება ყველას, მაგრამ რეჟისორმა, როგორც
სპექტაკლის უმთავრესმა მესვეურმა და ორგა-
ნიზატორმა, თეატრის კომპონენტთაგან პირველ-
მა იგრძნო ღრმად და სერიოზულად პიროვნების
როლი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა თუ
გარდაქმნის საქმეში; იგრძნო და გამოხატა კი-
დეც. მათი სითამამე და გაბედულება ამ მხრივ
სამაგალითია.

განსხვავებული სახის, განსხვავებული მიმარ-
თულების თეატრი ასეთივე განსხვავებული სკო-
ლისა და მიმართულების მსახიობს საჭიროებს.
ასეთი სკოლის შექმნის ინიციატივა კვლავ რეჟი-
სორმა ითავა. ამდღა, გაიზარდა რეჟისორ-პე-
დაგოგის ფუნქცია თეატრში. ახალი მსახიობუ-
რი ტიპის შესაქმნელად მისი როლი და მანუშენ-
ლობა აშკარა საცნაური გახდა. დიდი სივრცე
დაეთმო მსახიობის შესრულებაში კრიტიკულ
აზროვნებას, თანამედროვე მოწინავე მოქალაქის
თვალსაზრისით მოვლენისადმი დამოკიდებულე-
ბას, მათ განსჯა-შეფასების საკითხებს.

განსახიერებაში ნიშანდობრივი გახდა გარე-
მოძველ წრესა თუ ვარემოზე, როლზე, საკუ-
თარ პროფესიაზეც კი „მალა“ დადგომის ტენ-
დენციები. მათ თამაშად უჩინათ სცენურს ცხოვ-
რება. მოვლენები, ადამიანთა შორის ურთიერ-
ობები კრიტიკულ პრიზმაში გატარებული. სი-
ნამდვილე იუმორისა და ირონიის საფარქვეშა
მოქცეული, რამდენადაც ამის საშუალებას იძ-
ლევს განსახიერებელი მასალა. უნარი კრიტი-
კულად შეხედო ყველაზე მახლობელ ადამიან-
ებს, მოვლენებს, შეგვევდეს ძალა დადგე სა-
კუთარ თავზე მალა და უმზეროდ მას გარეშე
კაცის თვლით, ადამიანური არსების მაღალი
ფორმაც. ეს ბევრის მომსწრე და მნახველის
ცოტა არ იყოს ფილოსოფიურად განწყობილი,
დამოუკიდებლად მოაზროვნე კაცის თვისებაა.
მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ თანამედ-
როვე მსახიობის ეს ახალი ტიპი ქართულ თე-
ატრსაც ეწვია. იგი დიდად უწყობს ხელს არ-
ტისტს მსახიობ-როლიდან გამოყოს მსახიობ-მო-
ქალაქის სახე, რათა ნებისმიერი დრამატურგიუ-
ლი მასალის მომარჯვებით, ნიშნული საუბარი
გამართოს თანამედროვე აუდიტორიასთან.

ასეთია ზოგადი მოსაზრებები და ფიქრები თე-
ატრის ირგვლივ, რომელსაც ახალგაზრდა რეჟი-
სორის სპექტაკლები აღძრავენ.

მაგრამ ეს როდია სპექტაკლების ერთადერ-
თი ღირსება, რომ აქ შეეჩიოდეთ. ზოგადს თავ-
ისი კონკრეტული მხატვრული სახიერება გააჩ-
ნია. და თავად სპექტაკლების მხატვრული უერ-
სახე ვგაძლევს უფლებამოსილებას ვმსჯელობ-
დეთ ზოგად პირობლებზე. თუ არა დივე მხატ-
ვრულობისა, მსგავსი მსჯელობა, ალბათ, არც
შედეგბოდა.

შ. დადიანის „გუშინდელი“ ისეა დადგმული
ო. ჩხეიძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენა-
ზე, რომ თავისთავად ისმება საკითხი კლასიკუ-
რი მემკვიდრეობის გამოყენებისა და ათვისების
შესახებ. ეს ორი სიტყვა — გამოყენება, ათვი-
სება ზუსტად გამოხატავს რეჟისორის დამოკი-
დებულებას დრამატურგიული მასალისადმი.
შ. დადიანის პიესა „გუშინდელი“ გამოყენებუ-
ლია, ათვისებულია ახალი თეატრალური სინამ-
დილის — სპექტაკლის შესაქმნელად. სპექტაკ-
ლის რეჟისორული ჩანაფიქრია პირველადი გან-
მსაზღვრელი, მას მორჩილებს სხვა დანარჩენი.
აზრი, რა თქმა უნდა, პიესიდან იღებს სათავეს,
მაგრამ სპექტაკლში მას იმდენი შენაგადი ერ-
თობის და ისეა გამაფრებულ, აგორებულ-ახვევი-
ბული, რომ წამოიკავი ძალა გააჩნია. სპექტაკლ-
ში მოხსნილია ის ლირიკული ინტონაციები, რაც
შ. დადიანს „თოლიას“ და „სამი დის“ ავტო-
რის განწყობილებებთან ანათესავებს. სამაგიერ-
ოდ, სპექტაკლში ვხედავთ უსიტყუო პერსონაჟს
— პოეტური სილამაზით აღსავსე პატარა გოგო-
ნას ლირიკულ ეტიუდს დაუცველი უმწეობის
სევდა რომ სდევს თან. იგი ადრე თუ გვიან ვი-

ლაცის ან რაღაცის მსხვერპლი უნდა გახდეს. მანამდე კი გოგონა შესტყერის სხვებს და გერ გაუგია რა ხდება მის გარშემო, რას დამსჯავსებია ადამიანები, რამ დააჯარჯებიათ ადამიანური სახე ასე რიგად ძნელად სცინობი ანდა — სასაცილო და თავშესაქცევი რომ გამხდარან, ვისი ან რისი შემხედვარე უნდა გაიზარდოს ყველასგან მიტოვებული იგი უბარი ბავშვი, რომლისთვისაც ფორავის ვერ მოუცლია გარდა გრენგოლისა, ფორიანი კამფეტის, რომ უსინჯავს კბილს მომავალ მსხვერპლს.

თანამედროვეობის გარეშე არ გაიზრდება თეატრი. თეატრისათვის არ შეიძლება არსებობდეს ისტორიული და თანამედროვე თემა. ასეთი დაცოფა მისთვის პირობითია. არსებობს მხოლოდ კარგი და ცუდი პიესა, ჭეშმარიტი მწერლური ნაფიქრ-ნაფიქრი ან ლიტერატურული მაკულატურა. ეს სპექტაკლიც ამ აზრს მიგვიანიშნებს, რის გაცვალვასაც აწინდელი რეჟისურა ცდილობს.

ეს სპექტაკლი კვლავ აყენებს ჩვენს წინაშე ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხს. ნოვატორობა, სიასლე შეუთავსებელია ტრადიციულობასთან. უკანასკნელი მტრობს პირველს. სიასლე უარყოფის, აზრის ვაბედულების გარეშე არ არსებობს, მაგრამ შეგნებულად თუ ინსტიტუტრად იგი მინც ძეგლს, ტრადიციულს შემოინახავს თავის თავში როგორც საყრდენ ბურჯს, ცარიელ, მოტალიებულ ადგილზე არავის არაფერი შეუქმნია.

მეუ ასე, რა სული ტრიალებს ამ სპექტაკლში ისეთი, რაც რუსთაველის თეატრის ტრადიციანზე მიგვიანიშნებს. არაფერი, თითქმის არაფერი! მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

როგორადაც არ უნდა გაიკოცოს მკითხველმა „დადიანის სოფლის“ (ეს მარჯვე ტერმინი აკბაქრადემ მოუხანხა თავის სათქმელს) სურათების გადმოცემაში რომანტიკული თეატრის ხედევა. ეს ამაღლებული, პოეტური აზრებისა და გრძნობების მქონე ადამიანის სულის ყვილია: მღელვარე, ემოციური დამოკიდებულების შედეგია და არა მხოლოდ ანალიტიკური ცივი გონების კარნახი. სპექტაკლის გარეგნულ სახორებასაც ამ სულის დადი ამჩნევია. რეჟისორული აზროვნების ფორმები რომანტიკული თეატრის არსენალიდანაა წამოდებული, უფრო ზუსტად — შთაგონებული.

ფართო პლასტებით, სიმბოლური, მეტაფორული აზროვნებითა ხელსევაიანობით ხასიათდება სპექტაკლი, რაც მის პირველ წყაროს — რომანტიკულ თეატრს უკავშირდება.

ვერ ვინახავთ ბუნებაში ჩვენ ისეთ ხეს, როგორიც რუსთაველის თეატრის „ყჩაღებში“ იყო და ვერც ისეთ მაგიდას შეგხვდებით ცხოვრებაში, როგორც „გუშინდელში“. ორივე მხატვრული სახეა, სცენური პიპერბოლა. „გუშინდელში“ მაგიდა რეკვიზიტაც არის და ერთადერთი დეკორაციაც. ამ დეკორაციაზე ეწყობა სპექტაკლის სიმბოლური, ღრმა სოციალური მინიშნებითა და კონკრეტული მისამართებით აღსავსე მიზანსცენები.

წრის მოძრაობაც, რომელიც წათმა-უკულობა ამოძრავებს მაგიდას, მრავალშრიანიან ხდის „დეკორაციულ დანადგარს“. დეკორაციული ასკეტიზმი, ლაკონიურობა, მინიშნებები, ნაგულისხმევი აზრი, საერთოდ სპექტაკლის მთელი აზრობრივ-ემოციური მხარე, თუ შეიძლება ასე ითქვას კვალდითადაც მაყურებელზე, თეატრალურა ნაგარაუდღევი. ეს მაყურებლისადმი დიდი

ნდობის გამოცხადებაა, მაყურებლისა, რომელიც უნდა უხვდებოდეს, განიცდიდეს არა მარტო ჩანაფიქრს, სათქმელის მრავალმნიშვნელობას, არამედ ამ სათქმელის, ამ ჩანაფიქრის გამოხატვის ფორმის სილამაზესაც.

რა თქმა უნდა, უმთავრესი და მნიშვნელოვანია, რა არის ნაგულისხმები სპექტაკლში? მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორ არის იგი გამოხატული. აი ეს „რა“ და „როგორ“ არის სწორედ რომ აქტიურებს აუდიტორიას და ზრდის ჩვეულებრივ მაყურებელში თეატრალს. ახალი თეატრალური სინამდვილის აღსაქმელად ახალი მაყურებლის შეზადება ამ გზაზე ხდება.

მაგრამ როგორ უნდა აღწევდეს ამას თეატრი ისეთ კონკრეტულ შემთხვევაში როდესაც მის ხელთაა პოპულარული სიუჟეტი („გუშინდელნი“ საქმოდ პოპულარული ნაწარმოებია) ყველაზე პოპულარულ ქანრში — კომედიაში გადატანით? უჩვეულო ფორმით, ორიგინალური ჩანაფიქრით, მოვლენების იმგვარი განვითარებით, აზრის ისეთი მოულოდნელი შებრუნებით, საიდანაც პიესის სულ სხვა სიღრმეები და სიმადლებები მოჩანს.

სპექტაკლი მხიარული და ხალისიანია, კომედიური სილოითა და სიმსუბუქით სავსე. მაგრამ ეს თავშესაქცევი უდარდელი სიცილი როდია. მაძლარ სტომამქს საქმელის მონელებაში რომ უწყობს ხელს. აქ ბეგრისათვის ძნელად მოსანელებელი საფანელია შემხედვებელი. ასეთ სიუჟარხებებს, ამგვარ გამასპინძლებს ზოგ-ზოგნი არ არიან ჩვეული და შესაძლოა, დიდადაც ეუცხოოთ. რა ვუყოთ მერე. მით უარესი მათთვის.

რუსთაველის თეატრის სცენაზე შ. დადიანის „გუშინდელნი“ დადგმულია დღევანდელი დღის დიდი სიყვარულით, მოჭირნახულებით და თანამდგომობით. სპექტაკლის პოზიციური მხარე კარგად ავლენს მათი აქტორების მიღეღარე, რომანტიკულ სულს, მოქალაქეობრივ უკომპრომისობასა და ახალგაზრდულ ქედფიცხელობას.

რუსთაველის სცენაზე წინათ დადგმულ ერთ დიდებულ სპექტაკლში რეჟისორთათვის ბრძნულ შეგონებლად ისმოდა კოპოუტის სიტყვაები — „ადამიანები მარტო გასართობად როდი დადიან თეატრში“. ანალოგიური აზრის ღრმა შეგნება უძლოდა წინ რეჟისორი თ. ჩხეიძეს, როცა მან დააწყვიტა მხარისალი, ხალისიანი ჟანრის მოშველებით სერითხულად გასაუბრებოდა, გაპაექრებოდა თანამედროვე აუდიტორიას.

რუსთაველის სცენაზე თანამედროვე აუდიტორიასთან მცირე სცენიდანაც გაუმართიათ დიდი, სერიოზული საუბარი. ეს სცენა ამ თეატრში საექსპერიმენტო ლაბორატორიას მოგვავიანებს. აქ ბევრი გაბედული ცდა დაგვირგვინებულა გამარჯვებით. ამასწინათ კიდევ ერთი ექსპერიმენტი შედგა. სერიოზული, ღრმა მიზანდასახულობით მუშაობა იქნა გაწეული თ. ჭილაძის პიესაზე „სურათები საოჯახო ალბომიდან“. ჩვენ მივიღეთ შემოქმედებითი აზრითა და რეჟისორული გადაწყვეტის სიასლით აღბეჭდილი წარმოდგენა.

მაგრამ ამ სიასლემ, ლიტერატურული პირველწყაროს „სხვადაქცევის“ ტენდენციამ გადიაციოლა არა მარტო პიესის სათაური (რუსთაველის თეატრის აფიშებში იგი იწოდება „მოულოდნელ სტუმრად“) არამედ შეიწირა პიესის სახეც. ღრამატული თეატრის პიესა, რადიო პიესად გადასხვავერდა. ამ სახესხვაობის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს. პირიქით, პიესაში

დასმულია ისეთი საკითხები, რომლის შესახებ, მართლაც რომ რუპორში უნდა ჩაეძახოთ, საქვეყნო რადიოში უნდა ვაცხადებდეთ. ამ გადაწყვეტაში ნავთუსმბებია პიესის მოქალაქეობრივი პათოსი, ხმის ამაღლების საჭიროება.

რეჟისორ თ. ჩხეიძის მიერ შემოთავაზებული სპექტაკლის გადაწყვეტაც მეტაფორული სახეა ამ დღემცხრალი ვნებასა, რაც ავტორს ამოძრავებს. მაგრამ ჩვენ ვიქნებოდით ცალმხრივი, ზერულე და ზედამართულიც, რომ მხოლოდ ეს ერთი მეტაფორული აზრი გამოგვეცხადებინა პიესის მოღივრების მიზნად.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს გადაწყვეტა სამუშაოებს აწვდის თეატრს უფრო მეტად ამოიზიდა უნაგავსოებათა წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოების შემტევი ძალა. შესაძლებლობები სრულიად რომ ყოფილიყო გამოყენებული და საქმე ბოლომდე მიყვანილია, სპექტაკლი აღიჭურვებოდა ორსაფეხურიანი რაკეტის სიძლიერით. ერთი ის, რასაც თავად პიესა წარმოადგენს, მეორე კი ამ პიესის რადიო გადაცემის გარემოცვის დასურათება. არა მისი სიზუსტის, არა ექვმოუტანლობის თვალსაზრისით, არამედ აღაშინებია, ჩვენს თანამედროვეთა სულური ავლადიდების, მოქალაქეობრივი მორალური სახის დასურათებას მხრივ. ეს მეორე მხარე არანაკლებ ჩაგვახედებდა სინამდვილის სიღრმეებში. არანაკლებ ინტერესს აღძრავდა და შესაძლოა, უფრო მეტი იდეურ-ემოციური დატვირთვითაც აღჭურვილიყო თეატრის ჩანაფქრის კვალობაზე პიესას რომ ხელახლა მიბრუნებოდა ავტორი. ეს არ მოხდა. არ ვიცი არ სცენის საჭიროდ თუ საკითხის გამწვავებას განვირგნენ.

ერთი კი აშკარა გახდა, პიესის დაძაბული ატ-

მოსვრო შენედა, მყურებელზე სახეების უშუალო შემოქმედების, სინამდვილისეული რეალობის შეგრძნების ძალა შემცირდა. სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი. სპექტაკლში ასეთი საფეხურიები შეინიშნება, რუსთაველის თეატრის მსახიობი თამაშობს მსახიობს, რომელიც თავის მხრივ ანსახიურებს თ. ჭილაძის პიესის გმირს. როლთან მისასვლელ გაზაზე როლის (რადიო მსახიობი) გაჩენა, რომელიც თავისთავად ბევრს არაფერს გვეუბნება და არ ხსნის უფრო ღრმად და მძაფრად ავტორის ჩანაფქრს, პიესაში დატრიალებული ამბებისადმი თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულებას საქმის სასარგებლო არ აღმოჩნდა. ამ არამკითხე უშუამავლმა სცენური მოქმედების საშუალებებიდან მსახიობს დაუტოვა მხოლოდ სიტყვიერი მოქმედება. ეს კი, თავის მხრივ, სარისკო და სათუთი იყო მყურებლის, სპექტაკლის ემოციური აღქმის თვალსაზრისით. ამიტომ რეჟისორი იძულებული ხდება დასურათების მსახიობის ნებას და სახეების გახსნის ისეთი საშუალებები შემოგვთავაზოს, რომელიც მის მიერ არჩეულ სცენური სინამდვილისათვის უცხოა და დისონანსურიც.

არა გვეგონია, მაღალი მომთხვენლობის საზომიდან გამომდინარე (სხვანაირად შეურაცხყოფილი იქნებოდა) ეს შენიშვნები გახდეს უცხო და გაუგებარი. პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ თეატრიც იმას ფიქრობს, რასაც ჩვენ ვამბობთ. მხოლოდ ეგ არის, რომ ჩვენთვის გაურკვეველია გარემოებათა ის მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა რეჟისორს უდავოდ სანტრალსო, გარკვეული აზრით თანამედროვე თეატრალური კულტურის დონის მაუწყებელ სპექტაკლში ბოლომდე მიყვანა საუკეთესო ჩანაფქრით.

შეხვედრა მსახიობის სახლში

11887

10 მაისს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლმა შეხვედრა მოუწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. მან აღნიშნა, რომ ადრე მეცნიერთა და თეატრის მოღვაწეთა შორის ურთიერთობის კარგი ტრადიცია არსებობდა, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც ეს ტრადიცია შესუსტდა. სასიამოვნოა, რომ მსახიობის სახლმა თოსონობა გამოიჩინა და დღეს ასეთი კარგი შეხვედრა მოაწყო. ეს ღონისძიებები უნდა გახდეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და თეატრალურ მოღვაწეთა მომავალი სისტემატური საქმიანი შეხვედრების დასაწყისი. გულახდლად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს ჩვენი ხელოვნებისა და მეცნიერების საჭირობოტო საკითხებზე.

თეატრისა და მყურებლის ურთიერთობაზე ილაპარაკეს უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა დავით ჭიჭიამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა არჩილ ჩხარტიშვილმა,

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ და უნივერსიტეტის თანამშრომელმა თინა კაკუშაძემ.

დასასრულს უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი კ. გუცოვის „ურთელ აკოსტა“, რომელიც დიდი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სპექტაკლი კ. მარჯანიშვილის დადგმის მიხედვით აღადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის მუზეუმის გამგემ გიორგი კობიაშვილმა. ბ. ოცხლის მხატვრობა აღადგინა საქ. სსრ დამსახურებულმა მხატვარმა გ. ქვლივიძემ, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თ. ვახვახიშვილს, ცეკვებს დამდგმელია დ. მაჭავარიანი, კოსტუმების მოდელიორი — ე. აბაკელია.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ჟრიელი გ. კობიაშვილი, ივლითი — თ. ნუცუბიძე, დე სილვა — თ. ქემაშვილი, დე სანტოსი — ა. გვიმრაძე, ბენ იოხაი — თ. ყანდარელი, ესთერი — ლ. უქმაჭურიძე, ბენ აცაბა — ლ. ცხივილიძე, მანასე — ბ. კახანაძე.

სპექტაკლმა მოწონება დასახსნა



სახალხო თეატრის პრემიერა

ნახტან კვიციანი

საკმაოდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლენინური კომკავშირის სახელობის ქუთაისის მოზარდ მსახურებელთა სახალხო თეატრი, რომელიც თავისი არსებობის ათ წელს ითვლის. ამ დღეებში თეატრმა მოზარდილებს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. იმერელის ორნაწილიანი ახალი დრამა „დედის ვარაში“. საკითხი, რომელიც პიესაში ავტორს აქვს გაშუქებული, ძალზე საინტერესოა აღმზრდელობითი თვალსაზრისით. იგი ერთნაირად აწუხებს ყველას: მშობლებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, მილიციის ორგანოებს და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეში.

ავტორმა კარგად იცის, რომ ეს ფრიად საჭირობოროტო საკითხია. ახალგაზრდის აღზრდას ყველა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, რადგან ის ჩვენი მომავალია, ხვალ მან უნდა ჩაიბაროს წინაპართა სისხლით და ბრძოლით მოპოვებული ქვეყნის საქე და საქმენი.

ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, ცხოვრებაში შესვლას იწყებს, და სწორედ მაშინ არის საჭირო ამა თვალი და ასა ყური, გონიერული გზის მრჩეველი, თორემ ერთი დაუკვირვებელი ნაბიჯი და ცხოვრება გაუმრუდდება სამუდამოდ.

დამდგმელ რეჟისორს მ. ფურცხვანიძესა და რეჟისორს ვ. კანდელაკის სწორად ამოუცვნიათ პიესის დედა-აზრი, მოქმედ პირთა ხასიათები და ლამაზად მოფიქრებული მიზანსცენებით შეუქსიათ ავტორის ჩანაფიქრი.

დრამის ცენტრში ტრიალებს დედა, რომლის ფიქრი ერთია, — შვილის სიხარული და ბედნიერება. ი. აბრამიძის თეო — ეს ის დედაა, შვილის ბედნიერებაზე ფიქრში რომ ათენებს და აღამებს, გულისყურით ზრდის ერთადერთ ვაჟს. იგი პედაგოგია, საბჭოს დებუტატი და მისი გავრდილი შვილი ხომ მაგალითი უნდა იყოს სიმართლის, პატრონების, რადგან იგი გამადიდებელ მუშაში ჩანს მთელი საზოგადოების წინაშე, როგორც ამას პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირი, ლექსო ეუბნება მას. მაგრამ შვილის — გურის დაუკვირვებლობამ, ცუდ წრეში ჩათრევამ დედას დარდი, ვარაში გაუჩინა და იმსხვერპლა კიდევ იგი. ი. აბრამიძე საკმაო ტაქტიკითა და ზომიერების დიდი გრძნობით თამაშობს და მსახურებლის სიმპათიასაც იმსახურებს. როგორც გარეგნული, ისე შინაგანი ძალით იგრძნობ მის კარგ ქალობას, კარგ დედობას.

პიესის მთავარი მოქმედი პირია გური. გური გაიტაცა მარიეტას სიყვარულმა და მისდაუნებურად აღმოჩნდა იმ წრეში, რომელმაც ციხის კარამდე მიიყვანა. სიმართლე და უშუალობა დაჰყვება ვ. მარტიელის გურის. დამაჯერებლად, აზრით მიჰყავს სცენები მარიეტასთან და ლექსოსთან საუბრისას. განსაკუთრებით ძლიერია ბოლო სურათში, როცა სასჯელმთხოვნილი გამოცარიელებულ სახლ-კარსა და დედის მოჩვენებას ებაახება.

არანაკლებ საინტერესოა მსახურებლისათვის მარიეტას როლი, რომელსაც კარგად ასრულებს ლ. ფეროიძე. მარიეტამ ბრწყინვალედ შეასრულა ჯიშისა და ტიკოს დავალება, მოახერხა თეოს მოწამულა, მაგრამ სიმართლე არ დაიკარგა და ვერც იგი გაექცა მართლმსაჯულებას.

ღიწკი, დაკვირვებული და ყურადღებიანი ლექსო გ. გიორგაძის შესრულებით. სწორედ ისეთი, როგორც უნდა იყოს მილიციის ორგანოს მუშაი, რომელიც ყველას კარგად იცნობს არამართო თავის უბანში, თითქმის მთელ ქალაქშიც და ამიტომაც წინასწარ დროულად აფრთხილებს თეოს, რათა ბოლოს სანანებელი არ გაუხდეს...

გულუბრყვილო გოგონას სახე შექმნა მერვე კლასელმა ზ. დვალიშვილმა.

დაბეჩავებული მამის გაბრეღის როლი კარგად განასახიერა ელ. ბეროძემ.

ერთმანეთისაგან მაკვიოდ განსხვავებული სახეები შექმნეს ჯიშისა და ტიკოს როლების შემსრულებლებმა — ვ. ქუთათელმა და გ. კვერნაძემ.

მშვენივრად დაგვიხატა ვ. ქუთათელმა ყალბანდი, ფუქსავატურ ცხოვრებას, ტვისტსა და კონიაკს გადაყოლილი ჯიში.

ჯიშის კალთას ამოფარებულია უსაქმური ტიკო, თვალეში შესტიკინებს, ცდილობს არაფერი ეწყინოს, თან ტიკოს არ უღებს, არ უნდა ჩამორჩეს მას. ასეთია ტიკო, რომლის როლსაც საინტერესოდ ასრულებს ვ. კვერნაძე. იგი კარგად იყენებს იუმორს და მსახურებლის გულწრფელ სიცილსაც იწყევს.

სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის გ. ბერეჩიკიძის სადად და ორიგინალურად გადაწყვეტილმა მხატვრობამ, ხოლო გ. პატარიძის მიერ კარგად შერჩეულმა მუსიკამ წარმოდგენას თავისებური ელფერი შემატა.

კოტე მარჯანიშვილი ქუთაისში

გიორგი სამხარაძე

როცა კოტე მარჯანიშვილზე, მის გენიასა და შთავონებაზე ლაპარაკობენ, როცა მის პიროვნებასა და ადამიანურ ღირსებებზე წერენ, მხოლოდ ასეთ ამბობებულ ეპითეტებს მიმართავენ: სცენის ჯადოქარი, ქართული საბჭოთა ხელოვნების მებარიახტრე და ორგანიზატორი, მაძიებელი, რეფორმატორი, დიდოსტატი, უდიდესი რეჟისორი და კეთილი მასწავლებელი. ამ სახატბო ფრაზებში გულწრფელი სიმართლით არის გამოთქმული კოტე მარჯანიშვილის ფასდაუდებელი როლი საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში, ახალი ხანის დაწყებასა და აღორძინებაში.

კარგად ამბობდა გამოჩენილი მოღვაწე ანატოლ ლუნჩარსკი: „... მარჯანიშვილის შემოქმედების აზრი იმით არის შესანიშნავი, რომ მან გამოვლენილ ქართული თეატრის მიღწევებს მოახმარა თავისი გენია. თვალსაჩინო უფრო ის არის ჩვენთვის დღეს, რომ მარჯანიშვილმა მხოლოდ ნაციონალური თეატრი კი არ გაშალა, მან შექმნა რევოლუციური, პროლეტარული თეატრი“. სანდრო ახმეტელი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს: „მარჯანიშვილს მე ვთვლი ძალიან დიდ რეჟისორად, დიდი კულტურის ადამიანად კოლოსალური თეატრალური გამოცდილებით“.

ქართული კინოს ვარსკვლავმა ნატო ვაჩნაძემ კოტე მარჯანიშვილს ხელოვნებაში მემამბოხე უწოდა. მისი სანუკვარი მხატვრული სახე პროტესტანტია, მებრძოლი ბედნიერებისათვის, კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისათვის. კოტე იმით არის ბედნიერი, რომ ის მუდამ ცოცხალა მათთვის, ვისაც ხელოვნებასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, კოტე ცოცხლობს თეატრში, ყოველ მსახიობში, ვინც მასთან მუშაობდა ან თვალს ადევნებდა მის მოქმედებას, რადგან კოტე თავის დიდ ნიჭს ყველას უწილადებდა უხვად და მიღვანად. ეს დიდი ადამიანი ყოველთვის აღძრავდა სიყვარულს შრომისა და ცხოვრებისადმი.

უშანგი ჩხეიძე უთუოდ სწორად აფასებს კ. მარჯანიშვილის ღვაწლს, როცა მღელვარედ წერს: „მთელი თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ამ იშვიათმა ხელოვნამა განვლო ყველა არსებული თეატრალური მიმართულება და ვერც ერთმა ვერ დაეკმაყოფილა მისი მუდამ მოუსვენარი, მუდამ ახლის მაძიებელი ბუნტარული ბუნება. რომელ თეატრშიც გამოჩნდებო-

და მარჯანიშვილი, ის ყველგან, ამსხვრევდა და ანადგურებდა მოძველებულ თეატრალურ ხერხებსა და ტრადიციებს, ამდიდრებდა თეატრალურ ხელოვნებას ახალ-ახალი მიღწევებით, მოუსვენებლად მიექანებოდა ისევ წინ, მონაპოვრით არასოდეს არ კმაყოფილდებოდა“.

ჩვენი ბრწყინვალე ხელოვნანის ნიჭით აღფრთოვანებული იოსებ გრიშაშვილი აღმაფრენით ოქროპირობდა:

**ააგო ოქროს სრა-ასპარეზი
ჯერ არახული, ჯერ არსად თქმული,
ნარნარი, როგორც ანჯაფარიძე,
ელვარე, როგორც უშანგის გული.**

და ასეთი უსაზღვროდ დიდი სახელისა და ნიჭიერების რეჟისორი 1928 წელს ჩამოდის ქუთაისში. აარსებს და ხელმძღვანელობს თეატრს.

ჯადოქარი რეჟისორის ქუთაისში გატარებული სუზონი სამუდამოდ დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში, თეატრალური ხელოვნების საგანძურში.

მაშინ მე მეთვრამეტე წელში ვიყავი გადამდგარი და კარგად მახსოვს კოტეს ჩამოსვლა, დიდი ხმაური, შეხვედრები, პირველი აფიშები, სალაროსთან გაკრული განცხადება: „ყველა ბილეთი გაყიდულა“.

ჩამოვიდა კოტე და მას ჩამოყვენენ ქართული სცენის ოსტატები, შემოიკრიბა დიდი არტისტული მომავლის ახალგაზრდები, ჩინებული კომპოზიტორები, რეჟისორები და მხატვრები.

ქუთაისის სასტუმროს ვესტიბიულში, ქუჩებში, ბაღში, სცენაზე კერძო მობინადრეთა ეზოებში გამოჩნდნენ ვერცხო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე ჟორჯოლიანი, თამარ ჭავჭავაძე, ელენე დონაური, სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, შაქრო გომელაური, ბუხუტი მალაქელიძე, დავით ჩხეიძე. მათ შეუერთდნენ ქუთაისის მკვიდრი მსახიობები — შალვა ხონელი, იუზა ზარდალიშვილი, ანდრო მურუსიძე, კაპია აბესაძე, ვარლამ ჩხეიკაძე, ნინო წინამძღვარი, გამოჩნდნენ ახალგაზრდა არტისტები სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე გომელაური, კაკო კვანტალიანი, ირინე დონაური, პეტრე ჭიჭინაძე, ივლიტა ჯორჯაძე, გრიგოლ კოსტავა, მერი დავითაშვილი, ხათუნა ჭიჭინაძე, ცეცილია წუწუნავა და სხვ. მუდამ კოტეს გვერდით ტრიალებდნენ დოღო ანთაძე, პეტრე ოც-

ხელი, ელენე ახვლედიანი, თამარ ვახვახიშვილი. ჩვენ, დამწყებ მწერლებს, თეატრთან გვახლოებდა ხელოვნებით გატაცება, მაღალბოეტური სპექტაკლები, ხილვა უპირველესი მსახიობებისა და ისიც, რომ თეატრის ღირებურობად მუშაობდა პოეტი კარლო კალაძე, ხოლო ადგილობრივი თავმჯდომარე იყო პოეტი ბონდო ქეშელავა, მათი და დიდო ანთაძის წყალობით ვანიონ დარბაჯი, მამია ასათიანი, პეტრე ბახტურიძე, სერგო ფხაკაძე, ვლადიმერ ხობისპირელი, დიმიტრი კვიციანი, სევერიან ისიანი და ამ ასაკის სხვა ყმაწვილები თითქმის სისტემატურად ვესწრებოდით გენერალურ რეპეტიციებსა და პრემიერებს. ყოველ წარმოდგენას გაჟღერილი დარბაზი უსმენდა. ბოლო არ უჩანდა ოვაციებს, სცენაზე ყვავილების ცვენას, არაჩვეულებრივ აღმაფრენასა და სიხარულს.

როგორც ვერიყო ანჯაფარიძე წერს, მარჯანიშვილმა თეატრში შემოიტანა ახალი შინაარსი, ჩვენი სცენა გახდა სადღესასწაულოდ მორთული, აივსო მუსიკის ხმებით, აელვარდა ათასგვარი ფერებით. ცხოველყოფილობა, სიცოცხლის სიყვარული — აი, რა შეიტანა მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში. თეატრს გარს შემოერთებენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მაღალი კულტურის ადამიანები. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ხალხი ჩაება ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში. მარჯანიშვილის მუშაობის წლები ქართულ თეატრში იყო დაუსრულებელი მღელვარებისა და წარმატების წლები.

მხოლოდ ათი წელი დაჰყო კოტე მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში. მაგრამ ეს იყო მთელი ეპოქა ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიაში და ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სცენის მატანიეში. უშანგი ჩხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშვენიერი, ღამაზი ზღაპარივით განვლო ამ ათმა წელმა. ათმა წელმა ახალ საბჭოთა ქართულ თეატრში, რომელსაც ეწოდება მარჯანიშვილის ხანა და ქართული ხელოვნების აღორძინების პერიოდი“.

ჩვენი თეატრის ბედი წაღმართი გზით შეატრიალა კოტეს ბრწყინვალე ნიჭით განათებულმა სპექტაკლებმა, როგორცაა „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ბეატრიჩე“, „უჩიელ აკოსტა“, „კაკალ გულში“, „წმინდა ქალწული“, „მზეთამზე“, „როგორ“, „ხატიჯე“, „ჰობლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და სხვ. აქედან უმეტესობა პირველად ქუთაისის თეატრის სცენაზე განხორციელდა.

ჩვენი ქალაქის სცენაზე პირველ სპექტაკლად კ. მარჯანიშვილმა დადგა ერნესტ ტოლერის პიესა „ჰობლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომელმაც ხალხი დაიპყრო გასაოცარი ორიგინალობით, აქტივობითა ოსტატობით (უ. ჩხეიძე, ს. ზაქარიაძე,

გ. შავგულიძე), მხატვრობითა და ანსამბლურობით. „ცხვრის წყარომ“ ხომ სასწაულებრივი გავლენა მოახდინა მაყურებელზე. თითქოს ახლაც ესმის ყურს თამარ ჭავჭავაძის და სხვათა სიტყვები, მგზნებარე ემოციების ქარიშხლის გრიალი.

კარლ გუცოვის „უჩიელ აკოსტას“ ხილვით ქუთაისის თეატრის სცენაზე ხალხი ვაგონებულნი, აღტაცებულნი, გულის სიღრმემდე მოხიბლულნი იყო. ეს იყო არტისტული განცდისა და შესრულების უმადლესი კლასი.

ქუთაისელმა მაყურებელმა პირველად იხილა პანტომიმა. კოტემ დადგა უსიტყვო სპექტაკლი „ხანძარი“ თამარ ვახვახიშვილის მუსიკალური გაფორმებით. მთელი ოთხი მოქმედების მანძილზე სცენიდან არც ერთი სიტყვა არ თქმულა, მაგრამ მსახიობთა მოქმედებით, მომიჯნა და მუსიკალური ფერადობით, შუქისა და ჩრდილის ურთიერთშენაცვლებით ჩვენთვის გასაგები იყო ამ რევოლუციური სპექტაკლის აზრი და შინაარსი.

კოტე მარჯანიშვილის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მან დიდად შეუწყო ხელი ქართული დრამატურგის განვითარებას და დიდებულ ტრადიციას დაუღო სათავე. ეს ვახლავთ მწერლისა და თეატრის შემოქმედებითი თანამშრომლობა. 1929 წელს წარმატებით დაიდგა შალვა დადიანის „კაკალ გულში“, რომელშიც ახალი სახით გამოჩნდა უ. ჩხეიძის, შაქრო გომელაურის, შალვა ხონელის, პეტრე ჭიჭინაძის, შ. ღამბაშიძის და სხვათა ნიჭიერება.

მრავალი თანამედროვე მწერლის, როგორც დრამატურგის, შენაირი ქუთაისში კოტეს ხელმძღვანელობით არსებულ თეატრს უკავშირდება. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები თბილისიდან ქუთაისში მოეშურებოდნენ, მოჰქონდათ პიესები, კოტე კითხულობდა, შენიშვნებს აძლევდა. ეს მარებოდა დახვეწასა და მხატვრულ სრულყოფაში. აქ დაიდგა ალექსანდრე ქუთათელის „შუალამე გადიარა“, დემნა შენგელიას „თეთრები“, კარლო კალაძის — „ხატიჯე“, „როგორ“ და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს პოლიკარპე კაკაბაძის შესანიშნავი კომედიის „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმის შესახებ. განსაკვირვებელი იყო უშანგი ჩხეიძე ყვარყვარეს როლში. კოტეს ვარაუდი გამართლდა, უშანგი კომიკურ როლშიც შეუდარებელი აღმოჩნდა.

ქუთაისში მარჯანიშვილის მოღვაწეობის პერიოდი ქართული თეატრის აღორძინების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო.

კოტე მარჯანიშვილს არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი ქუთაისი, მთელი ქართველი ხალხი, მან უდიდესი ამაგი დასდო თაობათა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას.

კომედიურ ნაწარმოებში ქალთა პერსონაჟების ნაჩვენებების სპეციფიკა

ლიმიტი იოვანოვილი

რა ადგილი უჭირავს ქალს კომედიურ ნაწარმოებში? — ამ საკითხს როცა ვეხებით, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ შეხედულება, რომელიც ქალის ხასიათში კომედიური მონაცემების ერთგვარ, განსაზღვრულობას გვაჩვენებს.

ყველაზე მკაფიოდ და ნათლად ასეთი შეხედულება ჩამოყალიბებულია რაბინდრანათ თაგორის „ბენგალიაში“. აი რას ამბობს თაგორი აღნიშნული საკითხის თაობაზე: „ქალი, რომელიც ცდილობს მახვილგონიერი იყოს, მაგრამ სიმკვახლეში გადადის, აუტანელია. რაც შეეხება მის კომიკურობას, ეს ცდები ქალში ყოველთვის საზოგადოებას, სულერთია, გამოუდის, თუ არა მას ეს“...

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე რ. თაგორი ურჩევს ქალს მამათა სქესს დაუთმოს სასაცილო!

უნდა შევნიშნოთ, რომ რ. თაგორის ციტირებულ განცხადება დამყარებულია არა მარტო კომიკურის მართებულ გაგებაზე, (გადაამეტებული ყველაფერი სასაცილოა“), არამედ იმ ღირსებების გათვალისწინებაზეც, რომელთაც დღი იწოდებოდა მწერალი დედათა სქესს მიპყრობდა. იმავე „ბენგალიაში“, მაგალითად, თაგორი შემდეგნაირად ახსიათებდა ქალს: „ქალში არის რაღაცნაირი მთლიანობა და შეთანხმებულობა მანერებს, ჩვევებს, ლაპარაკსა და მორთულობაში. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ბუნება ქალს ერთ გააკვეთს როლს ანიჭებდა და მას უგუებდა მდებარის არსებას. არავითარ კატაკლოზებში, არავითარ რევოლუციებში, სოციალური იდეალების არავითარ ცვალებადობას არ მოუცდენიათ ქალი თავისი სპეციალური დანიშნულებისათვის და ხელი არ შეუშლიათ მისი თვითგამორკვევისათვის. მისი საქმე იყო სიყვარული, ბავშვის გაზრდა, აღერისი. ქალი მეტს არაფერს აკეთებდა და იმ დახვეწილი ოსტატობით, რომელიც მან ამ სფეროში მოხვეჭა, გაუღწეოთლია ყველა მისი საქმე და მთელი მისი არსება, მისი მიღრეკლება და მოღვაწეობა, ყვავილისა და მისი სურნელის მსგავსად, მთლიან და განუყოფელია“.

რ. თაგორის შეხედულება ქალზე და კომიკურთან ქალის დამოკიდებულებაზე გადაუჭარბებელი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ ჭეშმარიტებაც მასში საგრძნობია. ხომ ფაქტია, რომ მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის საყოველთაოდ აღიარებული ქალთა კომედიური სახეები, მაშინ, როცა არიან ქალები ტრაგედიის სწორუ-

ბოვარი გმირები (მედეა, ელექტრა და სხვ. — ანტიკურ ტრაგედიებში, ლეო მაკბერტი, კლეოპატრა და ა. შ. — შექსპირთან).

მოკლედ რომ ითქვას, ქალი კომედიის უაღრესად სპეციფიკური მასალაა, და, რამდენადაც ასეა, იგი გამოსახვის თავისებური ფორმების გამოყენებას მოითხოვს.

რომელია მხატვრული გამოსახვის ის ფორმა, ყველაზე მეტად რომ ამართლებს ქალის დაკავშირებას კომიკურ სიტუაციებთან? ქართული საბჭოთა კომედიის ზოგიერთ ნიმუშზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ერთ-ერთ ასეთ ფორმალ მივიჩნით ვითარებას, როცა ქალი, როგორც მოქმედი პირი, თვითონ ნაკლებად არის, ან სრულებით არ არის კომიკური, სამაგიეროდ იგი კომიკურ სიტუაციათა აღმოცენების, კომიკური კონფლიქტის განვითარების საბაზი ხდება, და ამით არის კიდევ მიზანშეწონილი კომედიამო მიხი გათვალისწინება.

აღნიშნულის საილუსტრაციოა სიუჟეტები პ. კაკაბაძის ისეთი კომედიებისა, როგორცაა „კოლმეურნის ქორწინება“ („ხილდონელი სპანტარლო“) და „დავით მერვე“ („კახაბერის ხმალი“). ორივე ამ ნაწარმოებში ქალები (გვირისტინე და გულქანა) მართალია თავად ვერ მოქმედებენ კომიკურად, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაკლებად ხუმრობენ, ნაკლებად ოხუნჯობენ, მაგრამ ისინი გამოთიშული არ არიან იმ კომედიური სიტუაციებისაგან, რასაც კაკაბაძის პიესები შეიცავს. თითოეული ზემოხსენებული პერსონაჟი (მათთან ერთად გულთამაზიც კი „ყვარყვარე თუთაბერიდან“) წარმოადგენს საბაზს, მიზეზს იმისათვის, რომ კომიკური სიტუაცია აღმოცენდეს და განვითარდეს. ამ აზრით კომედიოგრაფი არა მარტო შეუბღალავად იცავს ქალსათვის დამახასიათებელ კლემამოსილებას, ე. ი. არ ლალატობს ცხოვრების მოგვიკას, არამედ ოსტატურად არიდებს თავს კომედიური ელემენტის დასუსტების საფრთხეს.

დაიწყეთ იმის აღნიშვნით, რასაც ჩვენ „კოლმეურნის ქორწინებაში“ შევნიშნავთ. გვირისტინე აქ ერთობ სერიოზული, ხუმრობის გარეშე მოქმედი გმირია. მიუხედავად ამისა იგი სხვათა კომიკური ჯიბრის ობიექტია. ხახულას ქალიშვილის „მოსატყებლად“ ხომ ცალ-ცალკე „ლაშქრობენ“ ჯერ მანუჩარი და ვატა, მერე ბექუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარტონი. კაკაბა და ლომკაცა მის შესახებ ჭორაობენ. მიოიანი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უჭვიანობს... ერთი სიტყვით, გვირისტინეს გარშემო კომიკურ გაუგებრობათა ერთგვარი ქსელი იხლართება. თუმცა თვითონ გვირისტინე აინუნშიც არ არის.

გულქანა? ეს მეტად საინტერესო ხასიათი არა თუ კომედიას, არამედ ეპიკურ გვარს, რომელიც გნებავთ, ნაწარმოებს დამშვენებდა. და-

1 რ. თაგორი, ბენგალია, თარგმ. თ. ჩხენკელის, თბილისი, 1970, გვ. 192.
2 იქვე, გვ. 192.
3 იქვე, გვ. 143—144.

კვირდით, რაოდენ წარმატები გახდა იგი, უბრალო გლეხის ქართული ქალი, როცა ბატონიშვილის ძვირფასი სამოსით მორთეს და ბახტანგ ხანის ბანაკში გასამგზავრებლად გაამზადეს. ამის შემდეგ დაინახეთ, რომ გულქანა უღარესად სათნო და ფაქიზი დედაკაცია, მაგრამ მას შეუქალი იყოს ძუ ვეფხვით მკინვარე და ყოვლად უღმობელი, მაშინ, როცა ბახტანგ ხანისა და მასზე მიმხრობილი თავად-მთავრების ანტიპატრიოტოზსა და სიარეს დაინახავს. როგორც აღენიშნეთ, ასეთი მიმართულებასა და ხასიათის მოქმედება გულქანასი ნაკლებად კომიკურია. სამაგიეროდ უღარესად კომიკურია ის სიტუაციები, რომლებიც ასახვენ სხვადასხვა სასაცილო პირობების გულქანასთან დამოკიდებულებას. გოსტაშაბი, რომელიც მანამდე ცოლს არად ავადებდა, გულქანას უფლისწულად აღიარების შემდეგ, ისე გახელდა მისი ტრფობი, რომ სარდალ კახბერის შესადარი გმირობის ჩაღენა მოინდომა და შემთხვევითი გარემოების შემწეობით კიდევ მიაღწია თავისას. მოშკობამ ცალკე დაიასხა მიზნად გულქანას გულის მონადირება. ბახტანგ ხანმა ურჩულო მბრძანებელთან დაუპირა გაგზავნა „თავის ქალიშვილს“. აღნიშნულის ნიდაგზე კომედიამი სასაცილო სიტუაციათა თითქმის ყველა ძაფი რაღაცნაირად დაუკავშირდა გულქანას... პიესით წარმოჩენილ გარემოებაში გოსტაშაბის ცოლი ერთი რჩება რომანტიკულად აძლიერებული. ამავე დროს საკუთარი ხასიათის სიმტკიცის გამოვლენებით იგი იქცა კომიკურ ძალთა შემართების პირობად.

ახლოვდება გმირი ქალიშვილებს მიმართება კომიკურისადმი კ. ბუაჩიძის პიესაში „მკაცრი ქალიშვილები“. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწარმოებში „პროვინციული გოგონა“ ფოსინე დაახლოებით ისეთივეა, როგორც გვირგვინი („კოლმეურნის ქორწინება“). ის მოკლებული არ არის ქალურ მომხიბვლელობას, მაგრამ რამდენადაც ასეა, თითქმის იმდენადვე ფოსინე არ არის კომედიური. იგი არ ოხუნჯობს, არავის ამასხრებს და განსაკუთრებულ მხიარულებას არ იწვევს. მიუხედავად ამისა, ამ პერსონაჟის მონაწილეობა „მკაცრი ქალიშვილები“ ასახულ მოქმედებაში, როგორც იტყვიან, არაპირდაპირი გზით მინც ხელს უწყობს სიცილს. იუმორის აღმოცენებასა და გავითარებას.

კომედიურ სიტუაციებთან ქალთა პერსონაჟების ის ფორმა, რომელიც ჩვენ, რამდენადაც მოსახერხებელი იყო, მოკლედ დაგახსიათეთ, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საქმე ეხება ქალის ჩვენებას კომიკურად პასიურ მდგომარეობაში.

მაგრამ არის იმგვარი ფორმებიც, რომელთა მეშვეობით დრამატურგი ახერხებს წარმოდგინოს ქალი, როგორც წამყვანი კომიკური ძალა, რომლის მოქმედება ტონის მიმცემი და წარმმართველია პიესით ასახული კომიკური სიტუაციების შემართებისათვის. ასეთ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ცრუმარქვიანობა¹.

¹ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადასტურებული, ცრუმარქვიანობა, როგორც კომიკური ანეკდოტის (путаница) ერთ-ერთი სახეობა, პირველად პლატონა (III საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე) გამოიყენა, რითაც ფრიად ვაფართოვა კომედიური გამომხატვის საშუალებათა დიპაზონი (იხ. В. Сахновский — Папков, о Комедии, М. Л., 1964, გვ. 14).

ქალები კომედიური მოქმედების წამყვანის როლში, რომლებიც სხვებზე დაცივნას იწვევენ. ან თვითონ არიან სასაცილონი გადამეტებული გულუბრყვილობის გამო, წარმოგვიდგებიან მხოლოდ ისეთი პირობით, როცა ისინი მამაკაცის მაგიერ გვესახებიან, როგორც ცრუმარქვიები. ასეთია, მაგალითად, ქალები შექსპირის არაერთ კომედიამი. კერძოდ ბორცია — „ვენეციელ ვაქარი“; კომიკური შინაარსის ძირითადი მოქმედება, რასაც პორცია ასრულებს (შაილოვის გასამართლება და მსჯავრდება) გაბედულ და, ამასთან ერთად, უღარესად განსწავლოლ და გამოცდილ მამაკაცს უფრო შეეფერება, ვინემ ერთობ სათნო ხასიათის ქალიშვილს. ამიტომაც აღნიშნულ შემთხვევაში პორცია მამაკაცად გადაცმული ცრუმარქვიანა. აქ იგი სხვის მაგიერად მოქმედებს. აღნიშნული ხერხის გარეშე თვითონ, როგორც ქალიშვილი, შაილოვის გასამართლებას მნლად თუ მოახამდა თავს. ვინაიდან ასეთი მოქმედება-ხუმრობა მეტისმეტად არ შეეფერება ქალიშვილს, თუ ქალს.

ცრუმარქვიანობის ხერხის მომარჯვებით არა მდლწული ქალის მიერ კომიკური სახის წარმოსახვა აგრეთვე აქ წერეთლის „კინტოში“².

ქალი — კომედიის დადებითი პერსონაჟი, შემთხვევითი ხერხის საშუალებით ვლინდება თანამედროვე ქართული კომედიის ისეთ ნიმუშებში, როგორცაა ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“. მათე-ბიჭის სახელით რომ არ მოქმედებდეს, მაია წყნეთელი მნლად თუ ელირსებოდა იმ სიმპათიას და სიყვარულს, რითაც ამ გმირს მკითხველი და მკურებელი აჯილდოებს. ცრუ სახელის შემწეობით მაია საკუთარ ქალურ სიფაქიზესაც შეუბღალავად ინარჩუნებს, ერთი მხრივ, და შინაგანი სოციალური ხასიათის ყინის დაცხრომასაც ახერხებს. მეორე მხრივ, ამას გარდა არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ თვით ცრუმარქვიანობა, ე. ი. სხვისი სახელის „მითვისება“, ზოგი ასუბეჯით კომიკურია. ეს მომენტიც საკმაოდ შესამჩნევად არის ხაზგასმული ვ. კანდელაკის კომედიით ასახულ მოქმედებაში, როცა მაია ირუკელ მეფის შეკითხვაზე უხერხულობას განიცდის და სრულიად უნებურად, უკაბოდ დასახავს თავს მათე-ბიჭს. აღნიშნულ შემთხვევაში მაიას, როგორც ქალიშვილის დამოკიდებულება კომიკურთან იმდენად ზომიერია, რომ კომედიოგრაფს მნლად თუ შეიძლება რაიმე უხერხულობაზე ვუსაყვედუროთ.

საერთოდ ცრუმარქვიანობა ისეთი თვისებისაა, რომ იგი აძლიერებს გმირის სამოქმედო შესაძლებლობას. კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაია მის მიერ გამოგონებული მათე-ბიჭის შესაფერის მოქმედებასაც ეწევა და არც იმის გაცემაზე ამბობს უარს, რაც მისთვის, როგორც ქალიშვილისათვის, საჩოთირო არ არის. აქ ცრუმარქვიანობის ხერხის გამოყენება საგრძნობლად აფართოებს გმირის პერსონალურ თვისებათა გამოხატვის შესაძლებლობებს, თუმცა ვერც იმას დავმალავთ, რომ „მაია წყნეთელი“ ეს შესაძლებ-

² როგორც ცნობილია, „კინტოს“ დადგმის გარშემო დაწერილ რეცენზიაში რ. ერისთავმა არაბუნებრივად მიიჩნია თავადის ქალი სალომეს კინტოდ გარდასახვა (რ. ერისთავი, თხზ., შ. რა. დიანის რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1937, გვ. 172).

ლობანი მისი გმირული შემართვის საილუსტრაციო უფროა. კომედიური ელემენტის გასამაღრებლად აღნიშნულ შემადგენლობათა მონარჩვევა ყოველთვის ჭეროვანდ ეფექტური არ არის.

მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინაში“ ქალი კომედიური გმირია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობს დაუღვავრო სოფელი ბიჭისთვის თვისებებით წარმოვიდგეს. იმ დრომდე, სანამ ს. ბელოუთის კომპეტურნობის თავმჯდომარის ასული თბილისში არ გაემგზავრა, იგი ნაკლებად ჰგავს ქალიშვილს. ხეებზე თავისი ტოლ-ბიჭებით დაცოცავს და ოინბაზობს. ვაჟივით მღერის, სოფლის კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდში ბიჭის მაგიერ უტარავს დოღზე. უბრალოდ რომ ვთქვათ, პიესაში მარინე ფერაჟი აღებულია მისი ცხოვრების იმ მომენტში და იმ მდგომარეობაში, როცა ქალიშვილი ჯერ კიდევ არ არის დაუფლებული მისი სქესის შესაფერის თავდაჭერილობას, მოკრძალებას, როდესაც მას ჯერ კიდევ იტაცებს ბიჭური სითამამე, თავდაუქერლობა. აქ იგი ბიჭის როლის თავისებური შემართებული გოგონაა, თავისებური ცრუმარქვიაა. ამიტომ არის გამართლებული, მარინე ფერაჟს რომ ჭრიჭინას ეძახიან. ეს მეტსახელი, თუ ზედსახელი, სწორედ იმ თვისებებს გვახსენებს, რის გამოც იგი კომედიური სახეა, რის გამოც ის ბიჭივით ცელქია და ამასთან ადვილი გასამეტებელია საცინრად ადგებისათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარინე ფერაჟე ბოლომდე როდი რჩება აღნიშნულ მდგომარეობაში. მას შემდეგ, რაც იგი სირცხვილნაქამი დაბრუნდა თბილისიდან, ჭრიჭინა „უცხაურაა განცდებმა“ დაიმორჩილა. ამიერიდან იგი იძულებულია კრიტიკულად გადასინჯოს თავისი წარსული და მომავალსაც სხვა თვალით შეხედოს. ამიერიდან ჭრიჭინა აღარაა, ის ხეებზე აღარ დახტის მხიარული სიმღერებით, იგი ბიჭური ოინბაზობით აღარ ერთობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამჯერად მარინე ფერაჟე უკვე ნამდვილი ქალიშვილური თვისებებით ხასიათდება, იგი უარს ამბობს ყველაფერზე, რის გამოც ადრე მთელი სოფლის სასაცილოდ იყო დასახული. ახლა იგი საერთოდ ან სრულებით არ არის სასაცილო ან ნაკლებად სასაცილოა. მესამე მოქმედებიდან „ჭრიჭინაში“ კომიკური ელემენტი კომპეტურნობის თავმჯდომარის ქალიშვილს ხელშეწყობით როდი ვითარდება. აღნიშნული ელემენტის განვითარების მისიას კომედიოგრაფი უკვე სხვებს აკისრებს (თუნდაც თბილისიდან ჩამოსულ ფოტორეპორტიორს და სხვ.).

თანამედროვე ქართული კომედიოგრაფიის ზოგიერთ ნაწარმოებში, რომელიც ქალთა სახეების გამაზვილებული წარმოჩენით ხსაათდება, ზოგჯერ გამოყენებულია მოლოდინის გაცრუების ეფექტზე დაფუძნებული კომიზმი.

როგორც ცნობილია, ასეთი კომიზმის არსას ახსნა კანტმა მოგვცა. მისი განსაზღვრით, ადამიანის გაცინების საბაბი ხდება ისეთი გარემოება, როდესაც იგი რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდა და ეს მოლოდინი უცებ არარაობად იქცევა.

ე. ი. ხდება დაძაბული მოლოდინის სრულიად საწინააღმდეგო რამ¹. სიცილისა და მისი გამო-

1. И. Кант. Критика способности суждения СПб, 1838, გვ. 210.

მწვევი მიზეზების ასეთი განმარტება, რა თქმა უნდა, მთლიანად არ მოიცავს აღმართულ საკითხის შინაარსს. ცალმხრივობა კახტის განსაზღვრებისა, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, საზოგადოდ ცნობილია... მაგრამ ვერც იმას უარყოფთ რომ ცალკეულ შემთხვევაში კომიზმს კანტის მიერ დასახელებული არგუმენტი უდავრსაფუძვლად.

მოლოდინის გაცრუების ეფექტი კომიკურია, მაგალითად ჯ. ბ. პრისტლის კომედიაში — „დედის დღე“ (თარგმანი ზ. გაჩეჩილაძისა): ერთ დღეს თვინიერი ბუნების მისის ენი პირსონს თავისი ანჩხილ ხასიათი გადასცა მისის ფიკურრალდმა... შინდაბრუნებულ ქმარსა და შვილებს მისის პირსონი ახლა მისთვის დამახასიათებელი მორჩილებით როდი ემსახურება, არაქედ მისის ფიკურრალდით ეურჩება, მათი თანდასწრებით მითრთმევეს მაგარ სასმელებს, ეწვევა სიგარეტს და თავი ურცხვად უჭირავს. მამაშვილები აღმფოთებულნი არიან მოულოდნელობისაგან, რასაც მაყურებელი სიცილით ეხმარება...

მოლოდინის გაცრუების ეფექტს „ჭრიჭინაც“ არ არის მოკლებული. მას შემდეგ, რაც თბილისიდან დაბრუნდა მარინე ფერაჟე უაღრესად მუყაითი და საქმიანი ხდება. ყოველივე ეს რასაც თითქმის არავინ მოელოდა, იწვევს კომიკურ გაკვირვებას და განწყობილებათა იუმორისტულ შემართებას.

მოლოდინის გაცრუების ეფექტზეა მთლიანად დამყარებული კომიზმი გ. მდივნის პიესაში „ვარდო“, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის დამახასიათებელ წინააღმდეგობასთან, ე. წ. წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის საგულეებელ წინააღმდეგობასთან დაკავშირებულ კონფლიტზეა აგებული.

არც სცენაზე მოქმედი პიერები და არც მაყურებელი არ ვარაუდობენ, რომ ყოფილი მუშა ქალი ვარდო უკეთ გაუძღვება წარმოებას, ვინემ გამოცდილი ხელმძღვანელი, მისი ყოფილი მასწავლებელი ალექსი გოლაშვილი. ეს კი სწორედ ასე ხდება: ვარდომ წარმოების მართვის არაჩვეულებრივი ტაქტი და უნარი გამოიჩინა. ყველაფერი ეს არა მარტო აღფრთოვანების, არამედ კომიკური გოცეების საბაბი ხდება. თუმცა სიცილის ელემენტის ისეთი გააღვირებისათვის, როგორიც აუცილებელია კომედიაში, იგი სასეხებით დამაკმაყოფილებელი არ არის.

სიუჟეტური სტრუქტურა ანა ალაძის კომედიისა — „შეთვალა გოგონა“ თითქმის ისეთივეა, როგორც ჩვენ მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინაზე“ დაკვირვებით ვიკით². მაყურებლის

1 „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, № 8, გვ. 76-80

2 ასეთი მოსაზრება განავითარა „შეთვალა გოგონას“ დადგმის გამო დაწერილ რეცენზიაში საქართველოს სსრ დამს. არტისტმა ვ. ნინიძემ („საბჭოთა აჭარა“, 1959, 10/VII), რომელსაც უყოყმანოდ უნდა დავეთანხმობ.

თვალწინა განებივრებული, იოლ ცხოვრებას მიჩვეული ქალიშვილი თამარ გვარაძე, რომელსაც ეს-ეს არის დაუმთავრებია საინჟინრო ინსტიტუტის კურსი. თამარის მეგობრები და მათთან ერთად მყოფი მოელიან, რომ ეს „შავ-თვალა გოგონა“ ბოლომდე ასე გზააბნეული დარჩება. პიესაში დასახული მოქმედება სწორედ ასეთი მოლოდინის საწინააღმდეგოდ იშლება, თანაკურსელებისაგან აბუჩად ავადებული ქალიშვილი გადაწყვეტს მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენოს თავი. იგი საკუთარი სურვილით მიაშურებს მთიანი რაიონის ერთ-ერთ სამშენებლო უბანს, უჩვეულო ქინით ეწაფება შრომას და მარინე ფერაძის მსგავსად („ჭრიჭინა“) გამარჯვებული გამოდის.

ყველა ის შემთხვევა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, მოასწავებს მოლოდინის გაცრუებას არა უარესი, არამედ უკეთესი, დადებითი მხრით.

წინასწარი პირობით მყოფი მოელის ცუდს. ხდება კარგი, სასიხარულო.

მოლოდინის დადებითად გაცრუება, რაც ჩვენს კომედიოგრაფთა ზოგ პიესაში კომიზმის გამოწვევია, ქმნის დადებით კომედიურ პერსონაჟთა წარმოსახვის ხელსაყრელ პირობას.

ამგვარად, ოცდაათიან-ორმოციანი წლების ქართული კომედიოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ მან დადებით გმირთა გალერეას მის მეურ გამოხატული არაერთი ქალის სახე შესძინა, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გზა გაუხსნა თავისებური კომედიური ტრიუკების (ცრუმარქვიაობა და სხვა) მომეტებულად გამოყენებას იმისათვის, რომ კომედიის დადებით გმირად ქალიც დაესახა. ამ ფორმების სრულყოფა კვლავაც ახალი წინსვლის სტიმულს მიანიჭებს ქართული საბჭოთა კომედიის ქანრს.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ნ ი

ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს თეატრალურმა საზოგადოებამ შეაჯამა საბჭოთა თემატიკის ამსახველ სპექტაკლში საუკეთესო რეჟისორული, აქტიორული (მამაკაცის, ქალის) და მხატვრის ნამუშევრისათვის ყოველწლიური (1971—1972 წლების სეზონის) კონკურსის შედეგები.

ს ა უ კ ე მ ი ე ს ო რ ე ჯ ი ს ო რ უ ლ ი ნამუშევრისათვის (თ. ჭილაძის „მოთლოდნელი სტუმარი“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში) პრემია მიენიჭა რეჟისორ **თ ი ი მ შ რ ა ზ ჩ ხ ი ძ ე ს**.

ს ა უ კ ე მ ი ე ს ო ა ქ თ ი ო რ უ ლ ი ნამუშევრისათვის პრემია მიენიჭა მსახიობ **გ ი ნ ი ბ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ს** მიტუას როლის შესრულებისათვის (ო. იოსელიანის „ექვსი შენაბერა და ერთი მამაკაცი“, ირუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი).

პრემია აქტიორული ნამუშევრისათვის (ქალის) და მხატვრის საუკეთესო ნამუშევრისათვის არავის არ მიენიჭა.



სახელოვანი იუბილარი ი ა ჰ ა ზ ი ნ ა მ ა

ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, დრამატურგსა და თეატრმცოდნეს გრიგოლ (გუგული) ვარდების ძე ბუხნიკაშვილს რთული და საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი.

თავისი მრავალფეროვანი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ქართული თეატრის განვითარებას მიუძღვნა.

თეატრალური ხელოვნების სიყვარულმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მიიყვანა სცენისმოყვარეთა წრეში. ხოლო შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობდა მწერლობაში. მისი იუმორისტული მოთხრობები და ფელეტონები იბეჭდებოდა ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „ეშმაკის მათრახი“.

ჭაბუკობაში, თეატრით გატაცებული, სურამისა და ხაშურის სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას, 1917—1920 წლებში კი თბილისის ნაძალადევის კლუბში იწყებს მუშაობას. ამ წლების შესახებ რეჟისორი ა. ბერიშვილი იგონებს: „1918—1920 წლებში მე ვიყავი ნაძალადევის (ამჟამად ლენინის რაიონი) მუშათა დრამატული წრის რეჟისორად. ეს წრე ნახევრად პროფესიონალური ხასიათისა იყო და რეგულარულად მართავდა წარმოდგენებს როგორც ნაძალადევის თეატრის (ამჟამად პლენანოვის სახ. კლუბი), ისე მუშტაიდის თეატრის შენობაში. ჩემი სარეჟისორო მუშაობის დროს, ამ წრეში მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა გ. ბუხნიკაშვილი. მას ჰქონდა საკმაო უნარი და გამოცდილება სცენაზე მუშაობისა, დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და სინდისიერად ასრულებდა“.

გ. ბუხნიკაშვილის კალამს ეკუთვნის „შეშინებული ანთიმოზი“—პირველი საბჭოთა ქართული კომედია, რომელიც ხაშურში იქნა წარმოდგენილი 1921 წელს. მომდევნო წელს მუშაობა დაამთავრა ლიბრეტოზე ოპერეტისათვის „მენშევიკები პარიზში“, რომელიც ქართული საბჭოთა ოპერეტის შექმნის ცდას წარმოადგენდა. ამას გარდა, გ. ბუხნიკაშვილი წერს მკირე ფორმის დრამატულ ნაწარმოებებს: „კოოპერაციის გზით“, „კულტურული რევოლუცია“, „სოციალისტური შეჯიბრება“, „კლუბის გამკე“ და მრავალი სხვა, რომელთა საავტორო ხასიათი ხელს უწყობდა მშრომელთა მასების იდეურ-პოლიტიკურ გათვითცნობიერებას.

გ. ბუხნიკაშვილი წერდა შინაარსით აქტუალურ პიესებს და ყოველთვის თანამედროვე ადამიანის თვალთ ხედავდა და წყვეტდა ჩვენი დროის საჭირობოტო საკითხებს. მის ნაწარმოებებს ავტორის მოქალაქეობრივი სითამამე და გულწრფელობა აძლევდა მიმზიდველობასა და მბატყრულ ძალას.

ახალგაზრდა დრამატურგის პიესებით დაინტერესდნენ ცნობილი რეჟისორები კ. მარჯანიშვილი (ქუთაისის სახ. თეატრის სცენაზე მან 1929 წ. დადგა გ. ბუხნიკაშვილის „კი, მაგრამ“) და ა. ახმეტელი (შ. რუსთაველის სახ. თეატრში 1934 წელს წარმოდგენილ იქნა მისი „ნაბიჭვარი“).

1924 წლიდან გ. ბუხნიკაშვილი ახალი საბჭოთა თეატრის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ის იყო ერთ-ერთი მონაწილე თბილისში „წითელი თეატრის“ დაარსებისა. მან 1928 წელს ჩამოა-

ყალიბა თბილისის ქართული სატირის თეატრი, 1929 წელს დააარსა სოფლის მოძრავე თეატრი ქართულ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თეატრმა მოიარა საქართველოს სოფლები, მართავდა სააგიტაციო წარმოდგენებს, ეწეოდა საკოლმეურნეო მშენებლობის პროპაგანდას. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოძრავე თეატრის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ცხინვალის ოსური პროფესიული თეატრი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა მუშაობასაც ეწევა. იგი მუშაობდა ხაშურში რეკომისის მდივნად, შემდეგ რკინიგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის მდივნად, არჩეულ იყო გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად და პასუხისმგებელ მდივნად. გორშივე დანიშნეს სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილების გამგედ და სამაზრო პარტიული კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ. 1923 წელს დანიშნა თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ და პოლიტგანათლების განყოფილების გამგედ, ხელმძღვანელობდა თბილისსა და რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. კლუბებისა და სამკითხველოების მოწყობას, დაწერილი აქვს მეთოდური სახელმძღვანელო პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ სოფლად. იყო საქართველოს პროლეტკულტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მომდევნო წლებში მუშაობდა შ. რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორად, საქართველოს დრამატურგთა საზოგადოების თავმჯდომარედ, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარედ, სამხატვრო აკადემიის დირექტორად, „მეტეხის“ მუზეუმის დირექტორად. ოცდაათ წელზე მეტია ის საქართველოს თეატრალურ მუზეუმს სათავეში უდგას.

გ. ბუხნიკაშვილის შემოქმედების მრავალფეროვნებაზე მეტყველებენ მისი პიესები, სტატიები, რეცენზიები სასცენო ხელოვნებაზე, ქართული თეატრის ცხოვრების საჭირობოტო საკითხებზე გამოქვეყნებული წიგნები და ბროშურები. მასვე ეკუთვნის რევოლუციამდელი ქართული თეატრის საინტერესო და უნიკალური რეპერტუარი (ნუსხა-ბიბლიოგრაფია).

მისი წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ა. სუმბათაშვილი და ქართული თეატრი“, „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“, „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“, „ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე“, „გორის თეატრი“, და სხვ.

გ. ბუხნიკაშვილის სახელი ქართულ თეატრალურ და ლიტერატურულ წრეებში ფართოდაა ცნობილი და პარტიისა და ხალხის მაერ ღირსეულად დაფასებული.

1950 წელს ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1972 წლის 20 მაისს გ. ბუხნიკაშვილს დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდა. ამის მიუხედავად იგი დღესაც დაუზარებლად, ახალგაზრდული ენერჯით შრომობს. მაღალი და სათნო მოხელე, მხარში უდგას ახალგაზრდებს, უხარია მათი წარმატებები, საჭირო რჩევა-დარიგებებით ამხნევენს და ეხმარება მათ.

გუსურგოთ ჩვენს საყვარელ იუბილარს მრავალი წლის სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

პაკთალი ხელოვანი მურად ხინიკაძე

ბანაორჩილი, გამხდარი, კონტად და სუფთად ჩაცმული, მუდამ გაპარსული, მსუბუქი ნაბიჯებით მოსიარულე, მოუსვენარი, მშფოთვარე, დაუღვაარი, ენერჯული, უპრეტენზიო, თავმდაბალი, უბრალო, „სუფრის თავში“ რომ არასოდეს გამოიკიბება, მუდამ ხალისიანი —

აი ასეთია მოკლედ გიორგი ეპიფანეს ძე ახვლედიანის პორტრეტი, რომელსაც დაბადების 60 წელი და სასცენო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა, მაგრამ ისეთი გრაციით ატარებს ამ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა ამ ასაკში მასე უნდა იქნებოდა.

გიორგი ახვლედიანი ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის ბალეტ-ვართავანია. აგერ 35 წელია ამ თეატრის წინსვლა-გამარჯვებების დაუცხრომელი მოამაგია და თავის სიტყვაც ბევრჯერ უთქვამს, უთქვამს მოკრძალებულად, მაგრამ დასამახსოვრებლად.

გიორგი ახვლედიანის გარეგან პორტრეტთან სრულ ჰარმონიაშია მისი შინაგანი სულიერი სამყარო. პირველყოვლასა, როგორც მოქალაქე უაღრესად კეთილშობილია. ის დიდი მოკრძალებით და პატივისცემით ეკიდება მაყურებელს — საზოგადოებას, არა მარტო როცა სცენაზეა, არამედ ყველგან. თუ ამას მიუთმატებო შინაგან დისციპლინას და საკუთარ თავისადმი დიდ მომთხოვნელობას, მაკლავთ სრულყოფილ შემოქმედს, რომელსაც მაღალი მორალური უაზნეობრივი თვისებები გააჩნია.

გ. ახვლედიანი გარკვეული ინდევიდუალობას მქონე შემოქმედია, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტალებზე მუშაობას. არასოდეს არ იმეორებს ერთ როლში მიგნებულ დეტალს მეორე როლის შესრულებისას. ჩვენ გვინახავს ბევრი მსახიობი, რომლებიც აიკვიატებენ ერთ რომელიმე მანერას, ინტონაციას ან პოზას და ასე თამაშობენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ როლებს.

გ. ახვლედიანი მაღალი პროფესიონალურ თვისებებით არის აღჭურვილი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა როლს — დიდია ის თუ ეპიზოდური. სწორედ ასეთი გულმოდგინე მუშაობით ეპიზოდურ როლებში არნახულ წარმატებებს აღწევს. გავიხსენებ ზოგიერთ მათგანს. მისი სულიერი პარტნიორი ლორიას „ნაირაში“ გარდასახვის შესანიშნავი ნიმუშია. როლისათვის მოძებნილი ჰქონდა დამახასიათებელი სიარული, თითქოს კოჭლი იყო და უბრალო კომბალი ეჭირა ხელში. მასზე დაყრდნობით აითრევდა ცალ ფეხს, ისვრიდა რეპლიკებს და შემპარავად იღიმებოდა. თითქოს ახლაც მესმის მისი მიმართვის ფორმა „ეშმაკო ჩიტო“. ან გავიხსენოთ კრების სცენა ნოდარ დუმბაძის პიესაში „მე ვხედავ მზეს“. როგორ ვაგრძელებულად და ხმის დაწვრილებით მოუწოდებდა ხალხს სიწყნარისაკენ — „შეიცადეთ“. ეს მისი თავისებურად ნათქვამი „შეიცადე“ ხალხში იყო გადასული, ქუჩაში რომ დაინახავდნენ, დაუძახებდნენ — „შეიცადე“. ასეთი მაგალითების მოყვანა მისი შემოქმედებიდან ბევრი შეიძლება.

კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას უნდა ვაღსვას ხაზი. გ. ახვლედიანი არ იფარვლება რომელიმე განსაზღვრული ამპლუთით, მას ერთნაირად ეხერხება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გმირების, აგრეთვე ტრაგიკული, კომიკური და დრამატული როლების შესრულება. იგი ყოველ როლს მოუძებნის რაღაც დამახასიათებელს. „ზოგჯერ ხასიათს მოძრაობითა და სიარულით ხსნის, ან გამოსახველ სიცილს, ფესტიკულაციას, ინტონაციას, ჩაცმულობას, გრიმს მიაგნებს და სახეს თავისებურ სიცოცხლეს უბრუნებს.

40 წლის მანძილზე გიორგი ახვლედიანს ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული. აქედან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სოფოკლეს ოდიპოს მეფეში ტერეზის როლის სრულყოფილად შესრულება, რასაც დიდი მოწონება ხვდა წაღად. ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტერეზის რაილის შემსრულებლის, მსახიობ გ. ახვლედიანის თამაში. ღრმად და აზრიანად მოფიქრებული აქვს როლი. სურათოვნად, ზომიერების ტაქტიზ განსახიერება, როლის საერთო გააზრებასთან ყოველი დეტალის შეთანხმება მსახიობს განსაკუთრებულ წარმატებას უქმნის. გ. ახვლედიანის მიერ შექმნილი ეს სახე დიდხანს დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში“.

ასეთივე წარმატება ხვდა წილად ვიქტორ გაბესკირიას „ქეთევან წამებულში“ მის მიერ ბეჟანის როლის შესრულებას. მისი ბეჟანი იყო მლიქვნელი, ვერავი, პატემოყვარე და დაუნდობელი.

ა. კაჭკაჭიშვილის მიერ ვასცენიერებულ აკაკის „ბაში აჩუკში“ ბიძინა ჩოლოყაშვილის როლი შეასრულა. მისი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო მხატვრულად დამაჯერებელი პროგრესულად მოაზროვნე და სამშობლოსათვის თავდადებული გმირი.

ვ. კანდელაკის „სარეველაში“ მეტყველი გროტესკული ფერებით დახატა კლიმენტი, რომელიც გულწრფელ სიცილს იწვევდა მაყურებელში. ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში“ მეტად კოლორიტულად წარმოგვიდგინა საზიზღარი გაიძვერა მირზას სახე. მისი მირზა ზიზღის გარდა დიდ აღშფოთებას იწვევდა მაყურებელში. სამაგიეროდ, ღრმა მოაზროვნე, დიდი სტრატეგი და პატრიოტი იყო მისი სტუვორივი ა. შერვაშიძის „გენერალ ბაგრატიონში“.

კ. გუცოვის „უბრელ აკოსტაში“ გ. ახელედნიანმა მთელი სიძლიერით წარმოგვიდგინა ბნელეთის მოციქული, ფანტიკოსი რაბინი დე სანტოსი, მხატვრულად ძლიერი და დამაჯერებელი იყო ა. ყაზბეგის „მამის მკვლელში“ — ეფხაა. შალვა დადიანის „ნინოშვილის გურიაში“ — იასონი, მისივე ისტორიულ-რევოლუციური პიქსაში „ნაპერწყლიდან“ — მოწინავე მუშა ვარდენი, ვ. დარასელის „კიკვიძეში“ — გამცემი შალანი, ს. შანშიაშვილის „იმერეთის ღამებში“ — ბერი ლორთქიფანიძე, კ. ბუჩიძის „ფაქიზ განცდებში“ — აბოლონ კინკველიძე, ვ. კანდელაკის „უშრეტ წყაროში“ — ხაკილაა.

გ. ახელედნიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სერგეი ტიულენინის სცენურ სახეს ა. ფადეევს „ახალგაზრდა გვარდიში“. ლეგენდარული ახალგაზრდა გვარდიელის როლში იმდენი სიყვარული, იმდენი პატრიოტული გრძნობა ჩააქსოვა, ისეთი აღფრთოვანებითა და ჰუმანიტარული არტისტული აღმაფრენით ჩაატარა მთელი მოქმედება, რომ ქუჩაში რომ დაინახავდნენ გ. ახელედნიანზე მიუთითებდნენ — აი სეროჟა ტიულენინო. მყურებლის მიერ მსახიობის შემოქმედების ასეთი დიდი შეფასება და პატუისცემა კარგ რეცენზიას აღუმატება.

გ. ახელედნიანის ბოლო ნამუშევრებიდან უნდა აღინიშნოს ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“. კაპიტან კუზნეცოვის როლი. მისი კაპიტანი თბილი, ჰუმანი და მზრუნველი ჯარისკაცების მიმართ. ამავე დროს გაბედული და მრისხანე მტრის მიმართ.

ა. ჩხაიძის „ხილში“ პროკურორ ირაკლი რაზმაძეს თამაშობს. ამ როლში მსახიობმა მიავნო ძუნწე, მაგრამ გამომსახველ ხერხებს გმირას შინაგანი ხასიათის გადმოსაცემად. მისი ირაკლი პატიოსანი კაცია და ცხოვრების მდიდარი გამოცდილება აქვს. ის თავდაპირველი და ფრთხილია, მაგრამ გადაამწყვეტ მომენტში გაბედულად უჭერს მხარს თავის ახალგაზრდა თანაშემწეს.

ახლანან თეატრმა წარმოადგინა ა. სამსონაას კომედია „ვაჩე ვაჩიშვილი და სხვები“. იგი ასახავს ჩვენს ლდევანდლობას. კიცხავს ჩვენს ყოფასა და საქმიანობაში შემორჩენილ მანკურ მხარეებს. ამ კომედიაში მთავარ როლს — ლევარსი ყარამანოვის ასრულებს. გაზეთ „საპოტო აპარაში“ რეცენზენტი წერს: „გ. ახელედნიანი პატარა კაცუნად წარმოგვიდგენს ლევარსი ყარამანოვის, რომელიც ყველაფერს აღწევს პურ-ღვინითა და სხვა მაქინაციებით. მსახიობს მოუძებნია თავისი გმირისათვის დამახასიათებელი შტრიხები, — სიარულის მანერა, მკვეთრი

მეტყველება, მას მუდამ მედიდურად უჭირავს თავი ხელქვეითებთან, მაგრამ საკმარისია უფროსმა ტელეფონით დარეკოს, რომ ახელედნიანი-ვაჩე არარად იქცევა“.

გიორგი ახელედნიანის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია. იგი დაიბადა 1911 წელს ქალაქ თბილისში, მაშინდელი ნაძალადევის უბანში, რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ზეინკლის ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და თანამშრომლად მოეწყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. 1930 წელს კი თეატრთან არსებულ სტუდიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები, ხოლო სტუდიის დამთავრების შემდეგ, 1933 წელს იქვე ჩაირიცხა მსახიობად. შემდეგ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებულ აპარის სექციაში განაცხადა მუშაობის სურვილი და 1937 წლიდან ღღემდე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო თეატრის ტრფიალია.

დიდი სამამულო ომის დრო — 1941 წლიდან 1945 წლამდე ფრონტზე ვატიარა.

1949 წელს მიენიჭა აპარის ასსრ დამსახურებული არტიტის საპატიო წოდება, ხოლო 1957 წელს — საქართველოს სსრ დამსახურებული არტიტის საპატიო წოდება.

1954 წელ აპარის ასსრ კულტურის სამინისტრომ და ბათუმის თეატრის კოლექტივმა გადაუხადა 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

ამ მშრალი ციფრების იქით არის შემოქმედის მშფოთიარე, დაუცხრომელი ძიების და მიღწევების აღმნიშვნელი დოკუმენტები, ესაა რეცენზიები, წერილები, სიგელები, მადლობები და სხვა სახის ჯილდოები.

იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თეატრის პარტულ ორგანიზაციას და უნარიანად რაზმავდა კომუნისტებსა და უპარტო ამხანაგებს თეატრის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

დიდ და თავდადებულ მუშაობას ეწევა სხვადასხვა ღრამატულ კოლექტივებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბათუმის რკინიგზის კლუბში მისი ხანგრძლივი მუშაობა. თეატრის შემდეგ რკინიგზის კლუბი არის მისი სამოღვაწეო ბაზა, სადაც ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია.

მართალია, გიორგი ახელედნიანმა 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ ისევ მხნედ და ხალისიანად გამოიყურება და იმდენი მოზღვავებული ენერგია აქვს, რომ მაყურებელს კიდევაც ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას მიანიჭებს.

ჯივილი 70 წლის ღრამაჯერგვი ბურამ ბათიაშვილი

გუბა ნახუცრიშვილი... მაღალ-მაღალი წელში ოღნავ მოხრილი, სათვალაიანი. თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვედებით ჩქარად მოსიარულეს. ძალიან უყვარს ჭადრაკის თამაში, უხარია, როცა იგებს, მაგრამ, საოცარია, წაგებას არ განიცდის, ღიმილით ხვდება დამარცხებას, რადგან ხვალ გამარჯვების იმედი აქვს...

ყოველივე ეს მისი გარეგნული დეტალები და ზოგადი თვისებებია. იმდენად ზოგადი, რომ ათასისაგან ვერც გამოარჩევთ, ამ დეტალებით ადამიანის აღწერა თითქმის იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ სთქვა მასზე, ამგვარი შეიძლება იყოს ასი ათასი, მილიონი. მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყოს ესოდენ პოპულარული დრამატურგი, დრამატურგი, რომლის ყოველი პიესა თითქმის ყოველი თეატრის კუთვნილებდა, ყოველი თეატრი ეტანება, რადგან მასში ხედავს სწორედ იმას, რაც თეატრს სჭირდება.

ერთი „ფიროსმანი“ იყო გამოჩენილი. 1961 წელს დაწერილ და შემდეგ რუსთაველის თეატრში დადგმულ ამ პიესას, როგორც იტყვიან, სათოფეზე არ მიეკარნენ ჩვენი თეატრები. არა და, ფიროსმანის ცხოვრების წარმომსახვეი პიესაც საქართველოში ასე ერთი, თუნდაც დიდი, მაგრამ მაინც ერთი თეატრის ამპრა რატომ უნდა დარჩენილიყო?

ჩემთვის გასაკვირია რესპუბლიკის თეატრების ასეთი დამოკიდებულება გუბა ნახუცრიშვილის „ფიროსმანისადმი“.

რუსთაველის თეატრის სცენაზე დოღო ალექსიძემ და სერგო ზაქარიაძემ იმდენად პოეტურად, ამაღლებულად წარმოგვიდგინეს გ. ნახუცრიშვილის ეს პიესა, რომ შემდეგ ბევრმა ვეღარ გაბედა მისი განხორციელება.

ბევრს, ალბათ, დღესაც ახსოვს ამ სპექტაკლის ჩინებული მიზანსცენები, სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე პოეტური ფიროსმანი...

თეატრში. ისე როგორც ხელოვნების ბევრ სხვა დარგში, ემოცია თუ მთავარი არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

„დრო გავიდა... სპექტაკლი რუსთაველის თეატრის სცენიდან ჩამოვიდა. აღრიწველი ემოციები დაცხრა, განელდა... და ჩვენი რესპუბლიკის თეატრები მიუბრუნდნენ „ფიროსმანს“.

და როცა თეატრები ათი წლის შემდეგ გაიხსენებენ პიესას, — აი, ეს მიიჩნევა მის ნამდვილ გამარჯვებად. ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითობა. ათი წელი საკმაოდ დროა მხატვრული ნაწარმოების, მითუმეტეს, პიესის გამოსაცდელად.

ერთი საღამოს განმავლობაში გამოიცნობა, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია პიესა.

გუბა ნახუცრიშვილის კალამს ეკუთვნის ძალიან ბევრი პიესა. ეს პატარა წერილი მიზნად არ ისახავს თუნდაც ზოგადად გაანალიზოს ისინი. უბრალოდ გადავხედოთ მის პიესებს. გაციხსენოთ როდეს, რისთვის იწერებოდა ისინი და როგორ გაუძღეს დროს, როგორ შეინარჩუნეს შემოქმედებითი სიცოცხლე ამ მომხიბლავი და კეთილშობილი ადამიანის პიესებმა.

ყველაფერი თითქმის უჩვეულოდ დაიწყო. მწერლობაში უბრალოდ, უბრეტუნოოდ მოვიდა ახალგაზრდა გიორგი ნახუცრიშვილი. იგი პროზაში მუშაობდა. 18 წლისამ, 1920 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ დაბეჭდა პირველი საბავშვო მოთხრობები. 31 წლისამ, 1933 წელს გამოსცა პირველი წიგნი „მამამ გამოგზავნა“. ასე ერქვა ამ მოთხრობას. მომდევნო წელს გამოსცა მეორე წიგნი, მუშაობდა რომანზე „მგელკაცა“ და რამდენიმე წლის შემდეგ ისიც გამოიცა. ასე რომ გ. ნახუცრიშვილი პროზაიკოსად ყალიბდებოდა. მაგრამ...

ზოგჯერ ერთი უბრალო შემთხვევა ადამიანის მთელ ცხოვრებას შეუცვლისო მიმართულებას, უთქვამთ. შესაძლოა ამაში იყოს რაღაც ნაწილი ქუმპარიტებისა, მაგრამ იგი სრული მაინც ვერ არის. ეს შემთხვევა ადამიანის გულსა და გონებას მიღმა ჩაივლის, თუ იგი, ეს ადამიანი თავისი ფსიქიკით, ინტელექტით, მოწოდებით შემზადებული არ იყო ამ შემთხვევიდან გამომდინარე მომავალი ცხოვრებისათვის. შემთხვევა შემთხვევად დარჩება და იგი ვერ ჰპოვებს ვერავითარ გაგრძელებას, თუ არ ესწრაფოდა მას.

ამ ორმოცდაცამეტი წლის წინათ, 1928 წელს დაარსდა თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრი. ალექსანდრე თაყაიშვილის სახით მას ბრწყინვალე რეჟისორი და მოამბე ჰყავდა. მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ კრებაზე ალექსანდრე თაყაიშვილმა ქართველ მწერლებს მოუწოდა, რომ მეტი ემუშავნათ მოზარდთა თეატრის შესაქმნელად, რადგან თარგმანებით, სხვისი ნაფიქრითა და ნაკეთებით დიდხანს ვერ ვიარსებებთო. ქართულმა მწერლობამ გულთან მიიტანა ეს ამბავი და თეატრს ხუთი საბავშვო მწერალი მიამაგრა. მათს შორის იყო გ. ნახუცრიშვილი.

ეს იყო შემთხვევა...

ასეთივე შემთხვევა იყო ეს დანარჩენი ოთხი მწერლისათვის. გ. ნახუცრიშვილთან ერთად რომ მიამაგრეს თეატრს. ბევრი მათგანისათვის ეს შემთხვევა მართლა შემთხვევად დარჩა. გ. ნა-

ხუცრიშვილი კი ჯერ ამ თეატრის მუდმივ ავტორად, ხოლო შემდგომ წლებში მთელი ქართული თეატრის სასურველ დრამატურგად იქცა. ამ შემთხვევამ ქართულ მოზარდთა დრამატურგიას მისცა მისი ერთ-ერთი მოამავე და მზრუნველი.

ეს შემთხვევა 1935 წლით თარიღდება.

1936 წელს კი მოზარდმაყურებელთა თეატრმა დადგა გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი „ნაცარქექა“. მართალია, ამ პიესის ავტორად ბატონ გუგასთან ერთად რეჟისორი ბ. გამრეკელიც იხსენიება, მაგრამ, ცხადია, გადაწყვეტი სიტყვა მაინც გ. ნახუცრიშვილს ეკუთვნოდა, როგორც მწერალს.

საინტერესო დეტალია: „ნაცარქექა“ დაიწერა და დაიდგა 1936 წელს. ამის შემდეგ იგი სცენიდან არ ჩამოსულა, და აი, ახლა ამ პატარა წერილის წერის დღეებში „ნაცარქექას“ უყურებენ მოსკოველი, ვოლგოგრადელი, ომსკელი, მაგდანელი, გროზნოელი, ტაშკენტილი, პენზელი, კუბაშვეელი და სხვა ქალაქების მოზარდები. რამდენი თაობის აღამიანების გულელებში შეაღწია რამდენ თაობას ჩაუნერგა სიყვითისა და გამარჯვებისაკენ ლტოლვა. და ვინ იცის, კიდევ რამდენი ბავშვი ნახავს გ. ნახუცრიშვილის პერსონაჟებსა სამყაროს.

მომდევნო წელს გ. ნახუცრიშვილი, კვლავ იგავე ბ. გამრეკელთან ერთად წერს პიესას „ლადო კეცხოველი“. ეს უკვე სულ სხვა თემატიკაა, სულ სხვა სამყაროა. მისი პერსონაჟებიც სრულიად განსხვავდებიან ნაცარქექიას ზღაპრული პერსონაჟებისაგან. რევოლუციურ-რომანტიკული თემატიკა უმალ შემოიჭრა გ. ნახუცრიშვილის შემოქმედებაში და ამ ერთი პიესით არ დამთავრებულა იგი, შემდგომ გაგრძელებას პოულობს ი. ბ. სტალინის საჯბუქისა და ბორის ძნელაძისადმი მიძღვნილ პიესებში, გრძელდება და ერთგვარ ვარიანტებს განიცდის ავღანბრის არალეგალურ სტამბაზე დაწერილ პიესაში „შუქი მიწიდან“, „გერერალ ლესელიძეში“ და სხვა ნაწარმოებებში.

წელი წელს მისდევს, იცვლება თეატრის სახე, დამოკიდებულება პიესებისადმი, მაყურებლის მოთხოვნილებანი, გ. ნახუცრიშვილიც დროს მიჰყვება, მისი პიესები მუდამ თანამედროვეობას სულისკვეთებით არიან გაქვნილი, მუდამ დროის სუნთქვით სულდგმულობენ.

თუ კარგად დავუკვირდებით გ. ნახუცრიშვილის შემოქმედებას, დავინახავთ, რომ ორ ნაკადად მიედინება—მისი შემოქმედების მასაზრდოებელი წყაროა ქართველი ხალხის ასლი რევოლუციური წარსული და იგავე ქართველი ხალხის მიერ შექმნილი უმდიდრესი და უჩინებულისი ფოლკლორი.

ქართული ფოლკლორი, ქართული ზღაპარი

გ. ნახუცრიშვილს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯადარი, მან იცის ამ ზღვა მასალიდან შემთავრების და მნიშვნელოვანის ისე გამოტანა, რომ იგი თეატრისათვის უაღრესად საჭიროდ და საინტერესოდ იქცეს. მან იცის, თუ როგორ უნდა გადააქციოს საინტერესო ზღაპრული სიუჟეტი თეატრალურ ეპიზოდად.

არც ერთი ქართული პიესა არ მოსდებია საბჭოთა კავშირის თეატრებს ისე, როგორც გუგა ნახუცრიშვილის პიესები. ერთ ან ორ პიესას შემთხვევითობას მივაწერდი, მაგრამ ყველა? ეს უკვე კანონზომიერებაა და კანონზომიერების მიზეზის პოვნა უთუოდ საინტერესოა.

სცენურობა, უაღრესი სცენურობა, — აი, რა ახასიათებს და განსაზღვრავს გ. ნახუცრიშვილის დრამატურგიას. ცხადია, ყველა პიესა სცენური უნდა იყოს და ეს რა ღირსებააო, შეიძლება თქვას ვინმემ, მაგრამ იგი როგორც ჩინებული ოსტატი, ისე ფლობს თავისი პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის სცენური გამოხატვის ურთულეს საიდუმლოებას. გ. ნახუცრიშვილი იშვიათად მიანდობს რეჟისორს თავისი ჩანაფიქრის სრულყოფას, იგი თვითონ ქმნის, ხვეწს, აშლაშინებს, კიდევ უფრო ხვეწს და რეჟისორს მისდის აბსოლუტურად გამზადებული მასალა, რომელიც იოლად ჯდება სცენურ კონსტრუქციებში, იგი ემორჩილება მრავალგვარ რეჟისორულ გადაწყვეტას, რადგან უწინარეს ყოვლისა, თეატრისათვისაა შექმნილი. ამიტომ აღიან მისი ზღაპრების გმირები ასე იოლად სხვადასხვა რესპუბლიკების თეატრების სცენებზე.

პარბზ ხანია ვიცი, რომ გუგა ნახუცრიშვილის პიესებს დგამენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. თვითონ უთქვამს ხოლმე „უჭირალი მივიღე „ჭინჭრაქას“ ამა და ამ ქალაქში დადგმა განუზრახავით“. მერე კი ღიმილით დასძენს:

— ხომ ხედავ, შენი მოწონებელი „ჭინჭრაქა“ სადამდე წავიდაო (1961 წელს, როცა მ. თუმანიშვილმა ბრწყინვალედ განახორციელა გ. ნახუცრიშვილის ეს ზღაპარი, მე „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოვეხმაურე ამ პიესას და სპექტაკლს. მაგრამ სხვა რეცენზენტი დადებითად აფასებდა სპექტაკლს, პიესაზე კი სხვა აზრისა იყო) იმ რეცენზენტის მოსაზრება როგორ იოლად გააბათილა დრომია.

მართლაც, ასეა—დროა ყველაფრის მსაჯული. ეს ჩინებული ქართული ზღაპარი მთელ საბჭოეთს მოედო. ეს ვიციოდი და ვთხოვე თუ არ გეზარებათ, ჩამომიწერეთ თქვენი პიესები სადა და სად იდგმება-მეთქი. მიხდოდა ცოტათი გამეოცებინა მკითხველი. სიამოვნებითო. რამდენიმე დღის შემდეგ ოთხად დაკეცილი, აკურათიულად ჩამოწერილი სია გადმომცა. გადავხედე და მე თვით დავრჩი გოცნებული. ამდენს არ ველოდი. სად არ დაუდგამთ „ჭინჭრაქა“.

„შითან ხიხო“, თუ „ნაცარქექია“. რომელი რესპუბლიკის, მხარისა თუ ოლქის მაცუტებელს არ უნახავს ისინი, რომელ კუთხეში არ შეუღწევიათ ქართული ზღაპრის მახვილგონიერ გმირებს: ციმბირი თუ ბალტიისპირეთი, შუა აზია თუ ვოლგისპირეთი. არ დარჩენილა არც ერთი რესპუბლიკის დედაქალაქი, არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ქალაქი, რომ არ დაედგათ მისი პეესები. იმ სიაში, რომელიც „ჭინჭრაქას“ დადგმის გეოგრაფიას ვეამცნობს, პრადისა და ბერლინის თეატრებიც სწერია.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მის შემოქმედებაზე სადიპლომო შრომებს წერენ ახალგაზრდები...

ასე იგრძელებენ სიცოცხლეს გ. ნახუცრიშვილის პეესის პერსონაჟები.

ამ პატარა წერილს დაწერის მიზეზი გახდა.

მსახიობი და რეჟისორი ლეონტი ჩიხლაძე

30 წელია ქართულ სასცენო ხელოვნებას უანგაროდ ემსახურება მსახიობი და რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კარლო სილოვანის ძე კალანდაძე.

— „კარგად მახსოვს, ექვსი წლისა ვიყავი, როცა მშობლიური სოფლის ბუქნარის სცენაზე გამომიყვანეს და მათქმევიწეს პატარა ლექსი ი. გოგებაშვილის „დედა-ენადან“ — „მაღლა ფოთლებში ეღვარებს“. ეს იყო ჩემი პირველი ნათლობა სოფლის პატარა სცენაზე“ — იგონებს იგი. ეს მოხდა 1912 წელს, პატარა მსახიობს, როგორც მას ეძახდნენ — ადრევე შეატყვევს შინაგანი მოწოდება და სოფლის სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად გამოჰყავდათ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში.

1921 წელს კ. კალანდაძე ამთავრებს სოფელ ნაგომარის რვაწლიან სკოლას. სწორედ ამ პერიოდში ამ სკოლის მასწავლებელთა ინიციატივითა და მონაწილეობით დაიდგა აქ წერეთლის პეესა „პატარა კახი“, დადგმა განახორციელა მსახიობმა და რეჟისორმა ა. ხინთიბიძემ. რეჟისორმა მთავარი როლის — პატარა კახის შესრულება ამავე სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეს კარლო კალანდაძეს დაავსრა.

1924 წელს კ. კალანდაძე ამთავრებს ჩოხატაურის საშუალო სკოლას. აქაც იგი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ დრამატულ წრეში და პარალელურად ხელმძღვანელობს მშობლიური სოფლის ბუქნარის ახალგაზრდულ დრამატულ წრეს.

1925 წელს 19 წლის ქაბუკი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ სწავლასთან ერთად სხვადასხვა დროს მუშაობდა ნაძა-

ის, რომ გუგა ნახუცრიშვილს 70 წელი შეუსრულდა. ახლა აუცილებელ ფრახად იქცა — მართალია, 70 წლისაა, მაგრამ მაინც ახალგაზრდულად გამოიყურება. მე ამას ვერ დავწერ, ვერა, თუნდაც იმის გამო, რომ 70 წელი მაინც 70 წელზე და დაძაბულად მშრომელი კაცისათვის ეს უკვე სერიოზული ასაკია. რაც შეეხება სულიერ ახალგაზრდობას, ამის თავდები კი ვარ, რადგან სულიერი სიჭაბუკის ერთ-ერთი ნიშანი სიხალისე და ისევე ახალგაზრდობასთან მეგობრობაა.

ზის ახლა იგი, ჩვენი ახალგაზრდობის მეგობარი, მოსკოვში და წერს პეესას იონანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით, აგერ უკვე მეორე წელია ამ პეესას წერს და მე მჯერა — როცა მოათავებს, ამ პეესასაც მისი სხვა პეესებევით საინტერესო ცხოვრება მოეღოს!

ლაღვის, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან არსებულ დრამატულ წრეებსა და თბილისის სატირის თეატრში, სადაც რეჟისორებად მუშაობდნენ: ნ. გოძიაშვილი, ო. თარალაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი (თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი), შ. მანაგაძე და სხვ.

1927 წელს კ. კალანდაძე მიღებულ იქნა რუსთაველის სახელობის თეატრში სტაჟიორად. ამ თეატრში მან მონაწილეობა მიიღო ორ სპექტაკლში: შექსპირის „ჰამლეტში“ და ლავრენიევის „რღვევაში“.

1928 წელს კ. კალანდაძე უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, გაიგზავნა, როგორც ინჟინერი, ქ. სოხუმიში სამუშაოდ. მთელ თავისუფალ დროს იგი აქაც ახმარდა თავის საყვარელ საქმეს — მონაწილეობდა სოხუმის მუშათა კლუბის დრამატულ წრეში.

1931 წლიდან კ. კალანდაძე სამუდამოდ დასახლდა ქ. ახალსენაკში და დაიწყო მუშაობა საგზაო განყოფილების ტექნიკურ ხელმძღვანელად.

1933 წელს მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით მომზადებულ იქნა ვაჟა-ფშაველას პეესა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი სასიქადლო მომღერალი რეზა შელეგა, ჩვენი ნიჭიერი მსახიობი, ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. არჩაია, კ. ფაჩულია, გ. გეგენავა, დ. ესებუა და სხვა.

1936 წელს ჩვენს ქალაქში შეიქმნა საკოლ-

მეურნეო თეატრი, რომლის ხელმძღვანელად თბილისიდან მივლინებულ იქნა მსახიობი და რეჟისორი გ. ინჯგია. პირველსავე სეზონში კ. კალანდაძემ წარმატებით განასახიერა არჩილი (გ. მდიუნის „სამშობლო“) და -ფერდინანდის (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) როლები.

1938 წლიდან ჩვენი ქალაქის თეატრალურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი რეჟისორი, მსახიობი და ორგანიზატორი, ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა ალექსის ძე მჭავანაძე. ამ ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი ქალაქის პროფესიული თეატრალური ხელოვნების მყარი საფუძვლების შექმნა.

თავისუფლების მოყვარე ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლებს მიუძღვნა თეატრმა სეზონის პირველი დადგმა, ს. ერთაწმინდელის პიესა „უკანასკნელი ვახანა“. ამ სპექტაკლში კ. კალანდაძე ასრულებდა უბანელი ხალხის ერთ-ერთი მეთაურის პერსონაჟს როლს.

1938 წლიდან 1945 წლამდე კ. კალანდაძემ ცხაკაიას სახელმწიფო თეატრში შექმნა მრავალი საინტერესო სახე: მუსიკოსი (ქოჩარაიანის „ბრმა მუსიკოსი“), დადია (შ. დადიანის „გეგეჭკორი“), დურმიშხან (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), რობინ ჰუდი (მაიაციკის „რობინჰუდი“) და სხვა.

1944 წელს ცხაკაიას სახელმწიფო თეატრში კ. კალანდაძის რეჟისორობით განხორციელდა გ. ერისთავის ისტორიული პიესა „ყვარყვარე ათაბაგის“ დადგმა, რამაც მსახიობი კ. კალანდაძე ჩვენს საზოგადოებას გააცნო როგორც ნიჭიერი რეჟისორი.

1945—1948 წლებში ჩვენი ქალაქის თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი და რეჟისორი გიორგი ლომაია. ეს წლები იყო თეატრის ა. შავლობის წლები. ამ პერიოდში ძალზე გაიზარდა, როგორც მსახიობთა, ასევე ტექნიკურ პერსონალთა რიცხვი. ამ წლებში თეატრში მოღვაწეობდა ქართული სცენის შესანიშნავი ოსტატა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი არეთა ალექსის ასული ლოლუა. ამ პერიოდში დადგმულ პიესებში კარლო კალანდაძე თითქმის ყველგან მთავარ როლს ასრულებდა. აი ზოგიერთი მათგანი: ბაში-აჩუკი (ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“), ონისე (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), გოდუნე (ლავრენიევის „რღვევა“), ქაიხოსრო (ალ. ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“), მურთოვი (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ითარბეგი (სუმბათაშვილ-აუციანის „ლალატი“) და მრავალი სხვა.

ალ. ყაზბეგის ისტორიული დრამის „ქეთევან დედოფლის“ დადგმა ცხაკაიას სახელმწიფო თეატრში განახორციელა კ. კალანდაძემ. აი რას წერდა გაზეთი „ავანგარდი“ 1949 წლის 27

იანვრის ნომერში: „ქეთევან დედოფალი“ ცხაკაიას თეატრში დადგმა მსახიობმა კ. კალანდაძემ. სპექტაკლიდან სჩანს, რომ დამდგმელს დიდი შრომა გაუწევია და კარგადაც გაუხსნია ავტორის ჩანაფიქრი. დადგმა გამოირჩევა ცალკეულ სურათთა უღაბო მხატვრული კომპოზიციით, შიზანსკენების დამუშავებით, მსახიობთა თამაშის ანსაბლურობით“.

ჩვენი ქალაქის თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1947 წელს. ამ წელს თეატრი თავისი საუკეთესო ექვსი დადგმით სავასტროლოდ ეწვია ქ. ქუთაისს, თეატრალური კულტურის ამ უძველეს ქალაქს. ეს ჩვენი თეატრისათვის დიდი გამოცდა იყო. ეს გამოცდა თეატრმა ფრიაღზე ჩააბარა. გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ 1947 წლის 15 ივლისის ნომერში წერდა:

„ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის სავასტროლო პექტაკლებმა ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ პროფესიულ თეატრთან, ყოველ ახალ დადგმას მაცურებელი ღრმა სიხარულითა და მოწონებით ღებულობს“. ქვემოთ ვკითხულობთ: „ბაში-აჩუკი პიესის ძირითადი და წამყვანი სახეა. ამ როლს დიდი წარმატებით ასრულებს ნიჭიერი მსახიობი კ. კალანდაძე, შეიძლება თამაშად ითქვას, რომ კ. კალანდაძის სახით ცხაკაიას ჰყავს მშვენიერი ხმის, ვარგებობის, უშუალო განცდის, კარგი არტისტული მონაცემების მსახიობი. კ. კალანდაძემ ყველა სცენა თანაბარი სიძლიერით ჩაატარა, რაც მთავარია, მსახიობს ესმის როლის იდეა“.

1949 წელს ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის ლიკვიდაციის შემდეგ 1959 წლამდე კ. კალანდაძე ხელმძღვანელობდა რაიონის კულტურის სახლთან არსებულ დრამატულ კოლექტივს. 10 წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ამ კოლექტივს პირველად რესპუბლიკაში მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება. სახალხო თეატრის რეჟისორად დანიშნულ იქნა კ. კალანდაძე. თეატრმა თავის პირველსავე სეზონში მაცურებელს უჩვენა მთელი რიგი საინტერესო დადგმები. მათ შორის აღსანიშნავია ვ. გუნაის „და-შმა“. შ. დადიანის „გეგეჭკორი“, აკ. დევიძის „მეუღლენი“ და სხვა.

სახალხო თეატრების პირველ რესპუბლიკურ დათვალეობებზე ჩვენი თეატრი წარსდგა აკ. დევიძის „მეუღლენით“. ამ დადგმამ დაიმსახურა მაღალი შეფასება.

1962 წელი. ცხაკაიას სახალხო თეატრმა მიიღო დიდებული სათეატრო შენობა, რომელმაც ყოველგვარი პირობა შექმნა მაცურებლისათვის ეჩვენებინათ სპექტაკლები. პროფესიული თეატრების დონეზე.

1963 წელს კ. კალანდაძის მიერ განხორციე-

ლებულ იქნა ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“. ამ პიესაში კ. კალანდაძემ საუკეთესოდ შეასრულა ხევისბერის როლი, აი რას ვკითხულობთ გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ 1963 წლის 10 სექტემბრის ნომერში: „ხევის ბერის რთული როლი განასახიერა ისეთმა ძველმა და მაღალი კულტურის მქონე მსახიობმა, როგორცაა კ. კალანდაძე. ხევის მეთაური გოჩა მისი შესრულებით ზეინვარწვერით სპეტაკი, მამულისა და ხალხის უანგარო მოყვარული მოხუცია, მყუდრებელმა გულწრფელად განიცადა სცენა, რომელიც მსახიობმა ჩაატარა ყოველგვარი იაფი ეფექტების გარეშე და ამით მოიგო კიდევ“.

1964 წელს მოეწყო სახალხო თეატრების მეორე რესპუბლიკური დათვალიერება. ამ დათვალიერებაზე ქ. თბილისში გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჩვენმა სახალხო თეატრმა უჩვენა ჩვენი ქალაქის მკვიდრის მუჟრმან ხუნწარის პიესა „კვალდაკვალ“, კ. კალანდაძის ამ სპექტაკლმა სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა და სამართლიანად მიენიჭა პირველი ადგილი და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. კ. კალანდაძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სახალხო თეატრის წარმატება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული რესპუბლიკურ და საკავშირო ფესტივალებზე 1967 წელს. ამ დიდ ღონისძიებას თეატრმა მიუძღვნა მუჟრმან ხუნწარის დადგმა „ტეხურის პირას“. ამ პიესის დადგმას თბილისის მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე დიდი წარმატება ხვდა წილად, რასაც გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ 1967 წლის 4 აპრილის ნომერში მაღალი შეფასება მისცა. უფრო დიდი იყო თბილისში გამარჯვებული თეატრის წარმატებები მოსკოვში იმავე წლის 21 მაისს. კრემლის თეატრში ამ სპექტაკლს დიდი წარმატება

ხვდა წილად. თეატრი დაჯილდოვდა ფესტივალის დიდი მედლით და პირველი ხარისხის დიპლომით. მთავარი როლების შემსრულებელ მსახიობებთან ერთად პიესის დამდგმელს კ. კალანდაძეს მიენიჭა საკავშირო ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება. ცნობილმა რუსმა რეჟისორმა ბ. ი. გურევიჩმა მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს: „რეჟისორმა პიესა სწორად წაიკითხა, მან შესძლო ყველა ელემენტის გამოყენება და მათი ერთი მიმართულებით ამუშავება... მინდა მოგილოცოთ, თქვენ ძალზე კარგად აჩვენეთ მზოური საქართველო, შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ იმის სრული შეგნებით, რომ თქვენ განადიდეთ თქვენი რესპუბლიკა“.

ასევე დიდი იყო ცხაკაიას სახალხო თეატრის წარმატება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსზე 1970 წელს. ჩვენი თეატრი ამ კონკურსზე წარსდგა ნოდარ ხუნწარის პიესით „ოხორუშა“ (დამდგელი კ. კალანდაძე). ამ სპექტაკლით ჩვენი ქალაქის სახალხო თეატრმა კ. კალანდაძის ხელმძღვანელობით მეოთხედ ზედიზედ მიიღო პირველი ადგილი და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. კ. კალანდაძეს, როგორც მსახიობს, დღემდე განსახიერებელი აქვს 100-ზე მეტი როლი, ხოლო როგორც რეჟისორს დადგმული აქვს 50-ზე მეტი პიესა. შემოქმედებით მუშაობასთან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას ლებულობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1931 წლიდან 1967 წლამდე, პენსიაზე გავსლამდე, კ. კალანდაძე მუშაობდა ცხაკაიას რაიონულ საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების ტექნიკურ ხელმძღვანელად. ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მინიჭებული აქვს „გზის საპატიო მუშაკის“ წოდება. იგი შეტანილია რაიონის შრომითი დიდების წიგნში.

ამჟამად პენსიაზე გასული 60 წელს გადაცილებული ინჟინერი — კ. კალანდაძე ახალგაზრდული გატაცებით მუშაობს რეჟისორად ქ. ცხაკაიას სახალხო თეატრში.

საქართველოს განსახიერებელი

გიორგი არაღელი-იშხნელი ქეთევან ხუციშვილი

ქართული თეატრალური ხელოვნების რჩეულთა რიცხვს ამშვენებს გიორგი არაღელი-იშხნელის სახელი. მართალია ხანმოკლე იყო მისი აქტიორული მოღვაწეობა, მაგრამ ამ მოკლე ხანში ისეთი მხატვრული, ღრმად რეალისტური სახეები შექმნა, რომ ქართული სასცენო ხელოვნების დიდოსტატთა გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

გ. იშხნელი დაჯილდოვებული იყო მსახიობისათვის საჭირო თვისებებით; მას ჰქონდა მშვენიერი სცენური გარეგნობა, ცეცხლოვანი ტემპერამენტი, მხატვრული ალღო, მდიდარი მიმიკა, პლასტიკა, სცენაზე თავდაჭერის საუცხოო უნარი. მისი ხავერდოვანი ხმა ხომ იშვიათი მოვლენა იყო. „ბევრი კარგი ხმიანი არტისტი მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ გიორგისებური ხმა ვერ სცენიდან არ გამიგია“. — წერს ნ. გვარამია.

გ. არაღელი-იშხნელის თეატრალურ ხელოვნებით გატაცება ჭაბუკობის წლებიდან დაიწყო, როდესაც გიმნაზიაში ლიტერატურულ საღამოზე წარმოდგენილ ა. ოსტროვსკის „ტყეში“ გენადი ნენჩასტლივცევისა და გოგოლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლში „რევიზორი“ ოსიპის როლი ითამაშა. მან ორივე როლით მოხიბლა მაყურებელი. ამის შემდეგ მისი მომავალი გზაც თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მის სურვილს წინ აღუდგნენ ახლობლები. გ. იშხნელი მამის სურვილს დანებდა და ოდესაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი იურიდიულ ფაკულტეტზე შედის და პარალელურად დოლინოვის თეატრალურ სასწავლებელში იწყებს მეცადინეობას.

1906 წლის 6 ნოემბერს სიბიროაკოვის თეატრში დოლინოვის სასწავლებელმა ქულავსკის პიესა „ეროსი და ფსიქეა“ წარმოადგინა, რომელშიც მთავარ როლს გ. იშხნელი თამაშობდა. მისმა თამაშმა ოდესის თეატრალურ ხელოვნათა დიდი აღიარება მოიპოვა. ისინი საჯაროდ გამოსთქვამდნენ აზრს, რომ იშხნელის სახით თეატრალურ ხელოვნებას „ემატება დიდი ტალანტი, რომ მისი ხმა საკმარისია იმისათვის, რომ ტრაგიკულ როლებში ხელოვნების მწვერვალები დაიპყროს“.

გ. იშხნელმა დოლინოვის სასწავლებლის სპექტაკლებში იმდენად დიდი აღიარება მოიპოვა, რომ ანტრეპრენიორები იწყებენ სამუშაოდ. სწორედ აქ ნახა ალ. სუმბათაშვილმა-იუჟენმა და მისი ნიჭით აღტაცებულმა მცირე თეატრში მიიწვია.

1908 წელს გ. იშხნელი საქართველოში დაბრუნდა და ალ. სუმბათაშვილის რეკომენდაციით ქართული თეატრის კარი შეაღო. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ სცენაზე მის პირველ გამოსვლებს (ლევან ხიმშიაშვილი დ. ერისთავის „სამშობლოში“, ოთარბეგი ა. სუმბათაშვილის „ღალატში“) შესაძლოა მოსალოდნელი ერთსულოვანი მოწონება არ დაუქმსახურებია, მაგრამ ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“, რომელიც ვადმოქართულებული იყო და „სალხინოს“ სახელწოდებით მიდიოდა, ლოპხინის როლმა პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა და საზოგადოებაშიც ერთსულოვნად აღიარა მისი ნიჭი. ხოლო ადოლფ შვაიერის პიესაში „ნიშანი ყოფაქცევაში“ გულზვიად არისტოკრატის ულერის როლი მისი შემოქმედების ზეიმად იქცა.

გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ გიგა ტეტიაშვილის როლის მაღალოსტატურმა თამაშმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. „იშხნელმა ქართველი გლეხის ღრმა სულიერი მღელვარება უმაღლეს ტრაგედიაში დაიყვანა“. (ნ. გვარამია).

1912-13 წლის თეატრალურ სეზონში მიხეილ ქორელი ქუთაისის თეატრში იწვევს გ. იშხნელს. პირველივე როლით (ბრუნე „სოფლის აქიმში“) ქუთაისის საზოგადოებამ იშხნელი ქუთაისის თეატრის დიდ შენაძენად ჩათვალა, ხოლო ლ. ანდრეევის პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ სტუდენტ ონუფრეს როლში მოპოვებულმა დიდმა წარმატებამ გ. იშხნელს ადგილი დაუშკვიდრა ქართველ თეატრში მსახიობთა გვერდით. ეს როლი იშხნელის სამსახიობო ოსტატობის ზეიმად და მის საგვირგვინო როლად იქცა. „ბ-ნ იშხნელის თამაშმა მოხიბლა საზოგადოება. მან გააცოცხლა „მყუდრო ოჯახის“ მოტრფიალე, ყველასათვის ცნობილი ონოფრი ნიკოლაევიჩი. გვინახავს ამ როლის კარგად შემსრულებ-

ბელნი, როგორც ქართულად, ისე რუსულად, მაგრამ ასე მოხდენილად, ასე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად რომ გინმეს ეთაშაშოს, ეს კი არ გვინახავს“. წერდა „სახალხო გაზეთი“ 1912 წლის პირველ დეკემბრის ნომერში.

გ. იშხნელის საგვირგვინო როლს წარმოადგენს ტირეზი „ოიდიპოს მეფეში“. როგორც ნუცა ჩხეიძე ივონებს, ალ. იმედაშვილას ოიდიპოსი და იშხნელის ტირეზი ორი ნიჭიერი მსახიობის შეჯიბრი იყო.

ტრაგედიის მწვერვალამდე ამაღლებული იშხნელის ტირეზი „იმედაშვილის დიდ ნიჭს გაუტოლდა“. — წერს სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მ. ქორელი.

გ. იშხნელი განცდის დიდი ოსტატი იყო. სწორედ ამ თვისებამ მოუტანა მას აღიარება და სიყვარული. იგი პარტიიორთან დამოკიდებულების სანიშნუში მაგალითს წარმოადგენდა, რაც იმ დროის ქართულ სასცენო ხელოვნებაში იშვიათი მოვლენა იყო. იშხნელის სცენური გამარჯვებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იყო მისი ეცესლოვანი ტემპერამენტი. აი, რატომ შემორჩა სამუდამოდ მისი სახელი ქართული თეატრის ისტორიას.

„დაკვირვება გვეუბნება, ბ-ნ იშხნელმა გაუსწრო ჩვენს სცენას. ბ-ნ იშხნელის ხელოვნება ჩვენს გემოვნებაზე მაღლა დგას. იგი უკრავს სკრიპკაზე, ჩვენი ყური კი ჯერ ჭიანჭის ვერ გასცილებია“ (ყურ. „თეატრი და ცხოვრება“ № 29, გვ. 5, 1915 წ.). ასეთ მაღალ და სამართლიანს შეფასებას აძლევდა ნ. შიუკაშვილი იშხნელის ხელოვნებას, რომელიც იმ დროისათვის მართლაც მოწინავე, ახალი და პროგრესული იყო.

გ. იშხნელი ეკუთვნოდა მსახიობთა იმ კატეგორიას; რომლისთვისაც დიდი და პატარა როლები არ არსებობდა. იგი პატარა როლსაც ისეთივე პასუხისმგებლობით და მორიდებით ეცილებოდა, როგორც დიდ როლს. იგი ყველა როლს გულმოდგინედ ამუშავებდა, კითხულობდა როლის გარშემო არსებულ ლიტერატურას და ამით თე-

ორიულად ემზადებოდა როლისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1910 წელს კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილ ვ. სარდუს „ნაპოლეონის სიკვდილში“ მოხუცი ჯარისკაცის როლის მომზადება. იშხნელის ნაპოლეონის ერთგული, ნამდვილი ფრანგი, მრავალი ქირაახული მოხუცი აღსაკვე იყო სცენური სისადავითა და სითბოთი.

1914-15 წლის სეზონში გ. იშხნელი დ. ერისთავის „სამშობლოში“ ქმნის სიმონ ლიონიდის საინტერესო სახეს. ალ. ზჭრთიკაშვილი გადმოგვცემს ამ სპექტაკლის დამსწრეთა აზრს, რომ ლ. მესხიშვილის (ლევან ხიმშიაშვილი) და გ. არადელი-იშხნელის (სიმონ ლიონიძე) თამაში იყო სიმფონია, სილამაზის ჰიმნი, გმირობის მღადადებელი, ქართველი ხალხის ნიჭიერების გამომხატველი.

1916 წელს 30 მაისს ალ. სუმბათაშვილის საპატევასციემოდ დაიდგა „ლალატი“. სპექტაკლში ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლი მონაწილეობდა: ლ. მესხიშვილი (სოლეიმან ხანი) ნუცა ჩხეიძე (ზეინაბი), ვ. გუნია (ოთარ-ბეგი), ვ. აბაშიძე (ბესო), ალ. იმედაშვილი (დათო), გ. არადელი-იშხნელი (ანანია), ი. ზარდალიშვილი (ერეკლე).

მანამდე ქართულ თეატრს კ. ყიფიანისა და ვ. გამყრელიძის სახით ანანიას შესანიშნავი შემსრულებლები ჰყავდა. ამიტომ ქართველი საზოგადოება იჭვიტ შეჰყურებდა გ. იშხნელის ანანიას. მაგრამ ანანიას როლი იშხნელის შემოქმედების კიდევ ერთ საგვირგვინო როლად იქცა. მისმა თამაშმა გაფანტა მაყურებელთა ეჭვი და მათ წინაშე იდგა სცენის დიდი ოსტატი, რომელიც სცენური ხელოვნების მწვერვალზე ავიდა.

გ. არადელ-იშხნელს დიდი გატაცებით უყვარდა თეატრი. ამ სიყვარულმა დასცა იგი, როგორც ჯარისკაცი ფრონტზე. მისი უკანასკნელი როლი, რომელიც გორის სპექტაკლ „ლალატში“ ითამაშა, 1920 წლის იანვარში, იყო ანანია. ეს იყო 38 წლის ვაჟაკის უკანასკნელი სცენური ამოსუნთქვა. მიმდინარე წლის 20 ივნისს მას დაბადების 90 წლისთავი შეუსრულდა.

ქართული თეატრის მემკვიდრე

კავშირე ხმალიძე

80 წლის წინათ, 1892 წლის 16 ივნისს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში დაიბადა ქართველი საბჭოთა პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული თეატრის მემკვიდრე, დიადი ერთდირებული მკვლევარი მიხეილ ვლადიმერის ძე აბრამიშვილი.

მიხეილ აბრამიშვილმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხო-

ლო 1911 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგში, შემდეგ კი გადავიდა დერპტის (ქალაქი ტარტუ, ესტონეთი) უნივერსიტეტში, სადაც ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა.

1918 წელს მიხეილ აბრამიშვილი ჩამოვიდა საქართველოში და ფართო პედაგოგიურ-სამწერლო მუშაობა გააჩაღა. იგი აქტიურად მოღვაწეობდა ჟურნალ-გაზეთებში, სისტემატურად აქვეყ-

ნება სტატიებს, ნარკვევებს, წერილებს, მონოგრაფიებს ჩვენი ხალხის კულტურული წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ფრიად საყურადღებოა მისი ნარკვევები ესთეტიკისა და პოეტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

მ. აბრამიშვილი მუშაობდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თანამშრომლობდა საქართველოს სახალხო განათლების კომისიარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტის ლიტერატურული განყოფილების ორგანიზებულ სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალში „ხელოვნება“, რომელიც გამოდიოდა 1921 წლის ივნისიდან თბილისში. მასთან ერთად ჟურნალში თანამშრომლობდნენ ობოლი მუშა (სოლომონ თავაძე), დ. თურდოსპირელი (დავით ჩხეიძე), კონსტანტინე გამსახურდია, მარჩანი, აკაკი ფალავა და სხვები.

მ. აბრამიშვილმა დაწერა გამოკვლევა „ძველი ქართული თეატრი“, რომელიც 1925 წელს დაიბეჭდა ქუთაისში ადგილობრივი მეურნეობის სტამბაში საკამო ტირაჟით (10 000 ცალი). როგორც წიგნზე აღნიშნული, ესაა ისტორიული შიმოხილვა, რომელშიც განხილულია ქართული თეატრის ჩასახვა-განვითარების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი მე-19 საუკუნემდე.

მიხეილ აბრამიშვილმა, გამოჩენილ ქართველ

საბჭოთა პედაგოგთან კონსტანტინე ვაგუასთან ერთად, შეადგინა და 1929 წელს გამოცა „მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები“, წიგნი პირველი. სახელმძღვანელო ტექნიკუმებისა და მუშაჯაკებისათვის. ამ 534 გვერდიან წიგნს, რომელიც სამიათასი ცალი ტირაჟით დაიბეჭდა, თან ახლდა დანართი: „ოიდიპოს მეფის“ ზოგიერთი სიტყვებისა და სახელწოდებების ახსნა-განმარტება“. ეს იყო ევროპის ლიტერატურის პირველი ქრესტომათია, რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში, ბევრი უცხოური ტექსტი ამ ქრესტომათიით ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის (შემდეგ წლებში სკოლებისათვის გამოცემულ იქნა გ. ქიქოძისა და კ. გამსახურდიას მიერ შედგენილი „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომათია“).

მიხეილ აბრამიშვილი გარდაიცვალა 1939 წელს, 47 წლის ასაკში, ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებულს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. მას ფართო სამუშაო გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა განხორციელების საშუალება არ მისცა.

მ. აბრამიშვილმა თავისი ორიგინალური შრომებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

ლ ე ვ ა ნ ბ უ ა ძ ე

ლ. ჩხატარაშვილი

სამტრედიის თეატრის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ლევან პავლეს ძე ბუაძის სახელთან. იგი იყო სცენის ამადგარი მუშა-მსახიობი, შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე.

ლევან ბუაძე დაიბადა 1885 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. დაწყებითი განათლება მიიღო ამავე სოფლის სამწლიან სასწავლებელში. 15 წლისამ მუშაობდა დაიწყო თბილისის ავეჯის ფაბრიკაში, საიდანაც გადადის ბათუმის როტშილდის ქარხანაში. ბათუმში უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ მუშებს. 1905 წელს მუშათა დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობისათვის ლ. ბუაძეს აპატიმრებენ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი სამტრედიის ჩამოდის, სადაც განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას, აარსებს მომღერალთა გუნდებს, რომელთაც რევოლუციურ სიმღერებს ასწავლის.

1907 წელს ლევან ბუაძე ჭიათურაში

გადადის და მუშაობას იწყებს მალაროებში. აი აქ ეზიარა პირველად თეატრალურ ცხოვრებას. იგი თეატრში მიიყვანა ლადო გვიშიანმა. მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში — „ჯერ დაიხოცნენ. მერე იქორწინეს“, რომელიც გიორგი ნუცუბიძემ დადგა. შეასრულა სერგოს როლი. ამ სპექტაკლში მასთან ერთად როლებს ასრულებდნენ: გ. ნუცუბიძე — ოსეფა, ლ. გვიშიანი — აბოლონი, ალათი დუნდუა — ელისაბედი, ეკ. შენგელია — მაშიკო და სხვ.

ეს პიესა იდგმებოდა ალევრო-საღამოებზე და შემოსავალი ხმარდებოდა რევოლუციური მუშაობის საქმეს. ამის შემდეგ ლ. ბუაძე არ მოშორებია სცენას, სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატნია სცენისათვის.

1912—1913 წლებში ლ. ბუაძე თბილისსა და ქუთაისში მოღვაწეობს. გარკვეულ პერიოდში იყო ქუთაისში გაზეთ „სიმართლის ხმის“ ფორმალური პასუ-

ხისმგებელი რედაქტორიც. 1914 წელს ლ. ბუაძეს აპატიმრებენ. 1915 წელს ისევ უბრუნდება მშობლიურ ქალაქ სამტრედიას და უანგაროდ მოღვაწეობს რკინიგზის თეატრში ა. ნ. კორძაიას ხელმძღვანელობით. ბოლოს ჩარიცხული იქნა პირველი რევოლუციური თეატრის დასში, რომელიც დააარსა ქ. სამტრედიაში დავით სტეფანეს ძე კობახიძემ. 1920 წლიდან სამტრედიაში ქარხნის კლუბის გამგეცაა.

სასცენო მოღვაწეობის ექვსი ათეული წლის მანძილზე ლ. ბუაძემ მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა ქ. სამტრედიის თეატრის სცენაზე. ლ. ბუაძის მიერ შესრულებული როლები ყოველთვის მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან. მათ შორის აღსანიშნავია დე სანტოს — „ურიელ აკოსტა“ (დადგმა ა. კორძაიასი და ლ. მესხიშვილისა). ამ სპექტაკლში

როლებს ასრულებდნენ: ურიელი — ლ. მესხიშვილი, ივდითი — მ. აბაშიძე-კაჭარავასი, დე სილვა — ა. კორძაია, ბენაკიბა — ლ. გვიშიანი და სხვ.

ვის არ ახსოვს ლ. ბუაძის მიერ შესანიშნავად შესრულებული როლები დუდუკინი („უდანაშაულო დამნაშავენი“), ბაბუ (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“), სულთან ბეგი („არშინ მალაღან“), ვატა („კოლმეურნის ქორწინება“), და სხვ.

ლ. ბუაძე ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას, რამდენჯერმე იყო არჩეული სამტრედიის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. წავიდა ჩვენგან სცენის ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მუშა-მსახიობი, რომელიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა თავისი სათაყვანებელი თეატრის კეთილდღეობისათვის.

გილოცავთ საპატიო წოდებას

საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებასთვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საპარტველოს სსრ სახალხო არტისტის

მერაბ ვლადიმერის-ძე **გეგეჭკორს** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ელსო კონსტანტინეს ასულ **ვირსალაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ლილიანა ირაკლის ასულ **მითაიშვილს** — ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

რამაზ გრიგოლის-ძე **ჩხიკვაძეს** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

საპარტველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

ქეთევან დავითის ასულ **ბაგრატიშვილს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ლეონ გერმანეს-ძე **მირცხულავას** — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

ვაიოზ ვუკოლის-ძე **ჟორდანას** — თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორს.

ოთარ დავითის-ძე **ფირალიშვილს** — ხელოვნებათმცოდნეს.

გიორგი (გია) ალექსანდრეს-ძე **ყანჩელს** — კომპოზიტორს.

საპარტველოს სსრ დამსახურებული არტისტის

მედეა სიმონის ასულ **გონგლიაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს.

ამირან სევერიანის-ძე **ებრალიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „დიელოს“ ხელმძღვანელს.

სოსო ჯევერიანის-ძე **ებრალიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ეციონათელას“ ხელმძღვანელს.

ნათელა კონსტანტინეს ასულ **მიქელაძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გიზო დიმიტრის-ძე **სიხარულიძეს** — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ვიქტორის ასულ **ჩერქეიშვილს** — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლილი შალვას ასულ **ჩიბალაშვილს** — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

გრიგოლძელები მსახიობის სახლში

საპარტველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სცენა, მყუდროებელთა დარბაზი 500-მდე კაცს იტევს.

ა. ს. გრიგოლძევის სახელობის სახელმწიფო თეატრი აგერ უკვე რამდენიმე ხანია ამ დარბაზ-

ში კვირაში ორ დღეს სისტემატურად მართავს გასვლით სპექტაკლებს. მყუდროებლებმა ამ დარბაზში უკვე ნახეს გრიგოლძელებთან სპექტაკლები: ლ. ზორინის „ვარშავის მელოდია“, ა. ბრაგინსკის და ე. რაიზანოვის „თანამომსახურენი“ და სხვა.

გორის თეატრი თბილისში

ამ უკანასკნელ ხანს ე. გრისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლები უთუოდ იქცევენ ჩვენი მყუდროებლების ყურადღებას, რადგან თეატრმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. ამის დასტური იყო გორელთა ხანმოკლე გასტროლები თბილისში. მაისის პირველ ნახევარში გორელებმა ორი სპექტაკლი გამართეს კ. მარჯანიშვილის სახე-

ლობის დრამატული თეატრის შენობაში. მათ წარმოადგინეს გ. ნახუციროშვილის „ფიროსმანი“ და ა. დენერის „დები ჟერარ“ ორივე სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. აბრამაშვილს.

სპექტაკლებმა თბილისელ მყუდროებელთა მონება დაიმსახურა.

❁ შენი კუგლიკასია ❁

უხრობი აპოსტოლური მასალა დავით უფლიაშვილი

ბაზ. „იპირისი“ 1891 წლის 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ორიოდე სიტყვა ჩვენი სცენის გამო“, სადაც აღნიშნული იყო იმის შესახებ, რომ ქართულ თეატრს შემოეცალნენ ცნობილი არტისტები: „რასაკვირველია, ყოველ მათგანს რაიმე მიზეზი ჰქონდა წასვლისა. აღარ არიან ჩვენს სცენაზე ქალები: მ. ყიფიანისა, ბ. კორინთელისა, მ. მძინაროვისა... კაცები: კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. ალექსი-მესხიშვილი, ა. ცაგარელი... გარდა ამისა, სეზონის დასაწყისიდან კიდევ ორი ადამიანი, ორი შესანიშნავი მშრომელი და მოღვაწე დააკლდა ჩვენს სცენას: ერთი ნ. გაბუნია... და მეორე ს. სვიმონიძე“.

წერილის ავტორი ამ დანაკლისის გამო გულსტკივილით დასძენს: „დიდად სამწუხარო მოვლენაა, რომ სამშობლო სცენას დღითი დღე საუკეთესო მოღვაწენი აკლდება, დამატებით კი არავინ ემატება... ისე შეცოტავდა სცენაზე მოღვაწეთა რიცხვი, რომ სამშობლო ხელოვნების ტაძარს ორიოდე დედა-ბოძლი უდგას და ის იმაგრებს, თუ ისინიც გამოეცალნენ, მერე ერთბაშად ძნელიაა ამ საქმის თავის მოვლა“.

რასაკვირველია, ქართული თეატრალური საზოგადოების კომიტეტი კარგად გრძნობდა ყოველივე ამას და 1891—1892 წლების თეატრალური სეზონისათვის ქართული თეატრალური დასის შესადგენად და მთავარ რეჟისორად მოუწვევია ცნობილი საზოგადო მოღვაწე, თეატრალური საქმის კარგი მცოდნე ნიკო ავალიშვილი, ხოლო დასის აღმინისტრატორად — ვალერიან გუნია.

ნიკო ავალიშვილი ენერგიულად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, დაიწყო მზადება სათეატრო სეზონისათვის, შეადგინა სათანადო რეპერტუარი, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი პიესების მიხედვით, თითქმის ყველა ცნობილ მსახიობს დაუგზავნა მიწვევის წერილები. ამ წერილებს ქართული თეატრის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ნ. ავალიშვილის მიერ ლადო მესხიშვილის და ნატალია გაბუნია-ცაგარელისადმი გაგზავნილ წერილებს, აგრეთვე ნატოს საპასუხო წერილებს.

მიმოწერა დატულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ნ. ავალიშვილის არქივში.

3/8. 91 წ.

ღირსპატივცემულო ძმად ლადო!

დიდად სამწუხაროა ჩვენი ქართული სცენისათვის შენი ეგრე დაშორება და გან-გან სიარული, — მეტადრე მაშინ, როდესაც იგი ფეხს იდგამს და შენისთანა ნიჭიერი და გამოცდილი არტისტები მას უფრო მეტად ესპირობიან ვითარცა სულის ჩამბერნი, ფეხზედ დამყენებელნი, წელში გამართავი, აღშზრდელ-ლალეები. რასაკვირველია, იმ გარემოებაში სცენის სამსახური რა მდგომარეობაშიც ახლა ჩვენი ქართული თეატრია, — სამსახურიც მძიმეა, ჯილდოც მცირე; ამისთანა გარემოებაში საზოგადოების სამსახური ღვაწლია უმადლოობით და ჯილდოებული. მძიმეა ამისთანა სამსახური, მაგრამ ეს სიმძიმე იმ იმედით მსუბუქდება, რომ ყველა ღვაწლს ისტორია აფასებს, მოღვაწე შთამომავლობის სათაყვანებელი და სამაგალითო ხდება. დამადლებას სიმართლე მოითხოვს,

შრომის ჯეროვან ჯილდოს ცხოვრება საჭიროებს, პურია იგი არსებისა, მაგრამ განა მარტო პურითა ცოცხალი კაცი! — მეტადრე კაცი ღვთიური ნიჭით მორჭმული?! ნიჭიერი მესხის გვაროსანი საზოგადოდ და კერძოდ თბილისელი მესხნი მუდამ თავიანთ სამშობლოს მსახურებდნენ და დიდებულ არსცა მათი სახელი!

შენ კი, მათი ნიჭიერი შთამომავალი გადახევილხარ სადაც ტაშვენტში, აქო და არსებითი პური უფრო ბლომიაო. უშენოდაც ბევრი მოიპოვებინ უზარმაზარ რუსეთში მაგ როლის მანდ ამსრულებლად, აქ შენი სამშობლო შენისთანა საქმის მომქმედებს სთვლის და სათვალავში ბევრი აკლდება, — და ამიტომაც ყველა საქმეში უკან რჩება. მანდ მომავალში არავისაც არ მოაგონდები და აქ კი ქართული თეატრის საქმეში პირველებში დაიჭერ ადგილს.

შრომის დაჯილდოებაც, თუ ესლა არის მცირე, მალე გაორ-სამკვეცდება, რაკი ნიჭიერნი ერთად იმოქმედებდით და ფესვებს გადამდით, გაამკვიდრებდით ახლად აღორძინებული თეატრის საქმეს. ასე ორ საქმეს ერთად აღასრულებდით: პირადსაც და საზოგადოსაც და მით უფრო მეტ სამსახურსაც გაუწევდით კაცობრიობას.

ამ ფილოსოფიით თავი შეგაწყინე, მაგრამ ნუ დამძრახავ იმიტომ, რომ გულით ვწუხვარ შენს გადახვეწას და ქართულ სცენაზედ დაშორებას. რომ შემეძლოს რას არ ვიზამდი შენ დასაბრუნებლად. მაგრამ სამწუხაროდ არა შემეძლიან რა. ეს კი შემეძლიან გითხრა, ჩემი გამოცდილებით, რომ ნიჭს ამართლებს ბრძოლა და ამასთან იმედის ქონა, რომ მისი ბრძოლა ნაყოფს მოიტანს თავისთვისაც და სხვისთვისაც. აი ამ დაჯერებით რომ აღიჭურვო და აქეთვე ჰქნა პირი, ღმერთმანი, არას წააგებ, თუ არა მოიგე რა. სად უცხოეთი და სად საშობლო მხარე? აქ შენ ყველას გაახარებ შენი ნიჭით, და შენც გაიხარებ ამით; მანდ კი ვის რად ექაშნიკები: ბრავოს გეტყვიან და გაათავებენ. არა, ლაღი, მანდ არ არის შენი ნიჭის ასპარეზი და შენი მოქმედების ბინა. დიდი ხანია მსურდა ამ საუბრის გამართვა შენთან, მაგრამ ესლა ძლივს მომეცა ამისი მიზეზი. ეს მიზეზი ის არის, რომ ამ სეზონში ტრუპის შედგენა და მართვა კომიტეტმა მე მომანდო, და აი ვისწრაფი დიდი ხნის გულის პასუხი ავისრულო, თუმცა კი აქ ბევრნი მეუბნებიან, რომ არაფერი ჩვენთვის სასარგებლო შედეგი ექნება ამ ჩემს გამოლაპარაკებას. მე მაინც ჩემი გულის წადილს ვისრულებ და შენ შენი იცი. მაინც უნდა გთხოვო მიიღო ამ სეზონში ჩვენ დასში მონაწილეობა და კვალად დაგვატყბო შენი ნიჭით. სეზონის წარმოდგენები დაიწყება 15 ენკენისთვეს და გათავდება, ხომ იცი როდესაც (ყველიერის კვირას). წლევანდლით არ გათავდება საქმე: ესლა ქართული თეატრი სამუდამო საქმედ გადაიქცა და საზოგადოებისათვისაც მოთხოვნილებად შეიქმნა თეატრი.

გაპბეღე წამოსვლა და შენი პირობები შემატყობინე, რა პირობით მიიღებ მონაწილეობას, რა ჯამაგირს მოითხოვ და სხვ.

ამასაც ვიტყვი, რომ თუკი მოგესურვება და ზაფხულობით ქართულ სცენაზედ საქმე აღარ გექნება, მაშინ შეიძლება ისევ რუსულ ტრუპაში მიიღო ხოლმე მონაწილეობა. აბა პასუხი მომწერე და რაც შეიძლება ჩქარა, და თუ გასჭრა ამ ჩემმა თხოვნამ — დიდ ბედნიერად ჩავთვლი თავს. პასუხს ველი მოუთმენლად. შენი პატივისმცემელი **ნ. ავალიშვილი.**

30/8-91 წ.

**ღრმად პატივისცემული
დაო ნატალია!**

გავგონებთ, რომ ამ სეზონში ქართული დასის გაძლოლა კომიტეტმა იკისრა და რეჟისრობაც მე მომანდო. რადგან დიდად სასურველია დასში თქვენგან მონაწილეობის მიღება, ამიტომ იმავთავითვე მინდოდა გამოგლაპარაკებოდი ამ სავანზედ, მაგრამ აქეთ-იქიდან დამარწმუნეს, რომ შეუძლობის გამო ვერასგზით ვერ იკისრებდით ამას. მეც გავჩუმდი, მაგრამ ესლა კი მინდა ვსცადო — ეგების ისე შეუქლოთ არ იყო, რომ თუ მუდამ არა, ხანდახან გაჭირვებაში მაინც ვერ მოახერხებდეთ ჩვენს დახმარებას. გთხოვთ შემატყობინოთ რაგვარად შეიძლება ჩვენს დასში მონაწილეობის მიღებას, მუდამ თუ დროგამოშვებით, და სახელდობრ თვეში რამდენჯერ, და ამასთანავე რა პირობით, ე. ი. რა სასყიდელს და პატივს მოგვთხოვთ ამისათვის.

ამას გარდა გთხოვთ ასიკოს ჩემგან დიდი სალაში გადასცეთ და მასთანვე სთხოვთ ჩემს მაგერად, რომ პიესების შემომაწიოს ამ ჩემს გაჭირვებულ სეზონში.

გთხოვთ პასუხი ჩქარა შემატყობინოთ.

თქვენი პატივისმცემელი უმორჩილესი მონა
ნ. ავალიშვილი.

19 სექ. 1891 წელი
ქვირდამირი!

ძვირფასო ქაო ნიო!

ბოღიშს ვიხდი, რომ ამდენი ხანი დაგივიახეთ თქვენი წერილის პასუხი. მიზეზი ეს იყო, რომ ასიკო მყავდა ძალიან ავით და აღარა გამეგებოდა რა. დღეს ღვთის მადლით უკეთ არის, თუმცა ისეთი გამხდარია რომ ველარ იცნობთ.

თქვენ კარგად იცით, რომ ცოლსაც და ქმარსაც როგორ გვიყვარს ეს საქმე; რაცკი შეგვძლება ორივეს შეძლებისდაგვარად გვიშრომია დაუზარებლად, ესლა დიდად და დიდად ვწუხვართ, რომ კიდევაც კვლავინდებურად არ შეგვიძლიან ამ სიშორიდან ხშირად დავეხმაროთ ქართულს თეატრს. ევეც იღბალი, რომ ჩემს დროს ეგ მეხი არ დასცემია თეატრს, რომ თქვენისთანა კაცი ჰყოლოდა მართველად, რომელზედაც დარწმუნებული უნდა ვიყოთ ყველა, რომ არა პირადი ნაცნობობა ვერ დაგძლევთ და ყველას სამართლიანად გაარჩევთ. მე მიზეზი არა მაქვს რა იმის მეტი, რომ შორს ვარ და ხშირად ვერ დაგპირდებით. ნიკო, გვეცივებით სინდისს, რომ ეგ თქვენა ხართ მიზეზი, რომ მაბედვინებთ და

¹ დედანში ასე სწერია. უნდა იყოს ქურდამირი. დ. შ.

გპირდებით. მხოლოდ ათი დღით წინეთ უნდა შემატუბინოთ ხოლმე, რომ ბილეთების გამოწერა მოვასწრო თავის დროს. სულ შემძლიან ვითამაშო ან სამჯერ, გაჭირდა — ოთხჯერ ამ სეზონში. ესეც იქონიეთ სახეში. რომ ესლა პალეთი მუქით აღარა გვაქვს?, — ცოლებმაც უნდა ვაძლიოთ მეოთხედი რაც ღირს ბილეთი, ასე რომ აქედამ და მანდედამ მე შემხედება მისაცემი ბილეთის სარგებელი რვა მანეთი. თუ რა მერგება ჩემი შრომის ფასი ეგ თქვენთვის მომინდვია. თავის დღეში მე არც ერთი თეატრის მართველთან არ მივაჭრია, ხშირად ჩემი შრომის ფასი ნახევარიც არ მიმიღია, და თქვენ რომელზედ დარწმუნებული ვარ გეხსომებათ მაინც რამდენი ვის რა შეხედება. რამდენი შეეძლება ან თეატრს და ან მართველობას ჩემი დაჯილდოება გთხოვთ მომწეროთ თქვენა.

ბენეფისის ღირსი არ ვიქნები მგონი, რადგანაც სულ ოთხჯერ-სამჯერ მომიხდება თამაშობა.

ასიკომ პატივისცემით მოგიერთხათ. ამასაც გულით უხარია, რომ თქვენ გაკისრებინეს თეატრის საქმე. ძველი ხომ ხელში გაქვთ ამის პიესები და ახალსაც შემოგაწევთ, როგორც ვატყობ.

ველი თქვენგან პასუხს. პატარები—თქვენი შვილები დამიკოცნეთ.

მარადის თქვენი გულით პატივისმცემელი
ნატალია ვაბუნი-ცაგარელისა.

20/9-91.

**ღირსპატივცემულ
დაო ნატალია!**

ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი თანხმობა დასაშინი მონაწილეობის მიღებაზედ და მინდა ამით ახლავე ვისარგებლო; მხოლოდ ამისი მეშინიან, ვაი თუ საკმარისად არ მიიჩნით ის გადასახადი, რომელიც შეუძლიან ჩვენმა კომიტეტმა მოგართოსთ, სახელდობრ — 25 მანეთი. მაგრამ რადგან კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი თეატრი ჯერაც საქველმოქმედო საქმეა, ამიტომ იმედო მაქვს, მარტო ამისთანა მცირე გადასახადის მიზეზით არ იუარებთ ქართული თეატრის დახმარებას. მით უფრო რომ ამ საქმისა შორეული არა ხართ.

მამ ნება მომეცით გადაწყვეტილად ჩავთვალო ჩვენი მორიგება და გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ მომავალ კვირას (29 ნოემბრისთვის) წარმოდგენაში. იმ დღისათვის ვაპირებთ ახალი

² ნატო ვაბუნიას მეუღლე, ცნობილი დრამატურგი ავქსენტო ცაგარელი მსახურობდა ქურდამირის რკინიგზის მოხელედ და ნატოს ადრე რკინიგზით მგზავრობის უფასო ბილეთი ჰქონია. დ. შ.

პიესის თამაშობას, სახელდობრ ოსტროვსკის «Бедная невеста»-დან თქვენი უმორჩილესი მონისაგან ვადმოქართულდებულს „ღარიბი სარძლოს“. ჩემთვის დიდად სასურველია, რომ ქალის დედის როლი თქვენ გეთამაშნათ. ხომ მოგეხსენებათ, რომ ახალ პიესას ძალიან ფრთხილად უნდა მოკიდება! რაც უნდა კარგიც იყოს, უხეირო თამაშით შეიძლება მთლად ასაბარგებელიც გახდეს სცენიდან, ხოლო კარგი თამაშობა, — რაც არის იმაზედ ერთი ორად მეტ სახელსა სდებს პიესასაც და იმის გამკეთებელსაც. მეც, ამ საქმეში პირველი ნაბიჯის ვადამდემელს, მინდოდა ჩემი გაკეთებული პიესა ძალიან კარგად წაშლიყო, და ეს კი მხოლოდ თქვენი მონაწილეობით მოხერხდება. თუ ამ მონაწილეობას არა დაგიშლით რა, გთხოვთ ექვსი დღით მაინც ადრე ჩამოხვიდეთ, რადგან ბევრი რეპეტიციები და მზადება დაგეჭირდება და თვითონ როლიც კარგად დიდია.

ამასთანავე ასიკოს მეგობრულ სალაშს მოგახსენებ, ამთავითვე ვმადლობ დაპირებული ახალი პიესისათვის და ვთხოვ როგორმე სადმე მოძებნოს, შავად მაინც ექნება „მონატრის ზღუდეთა შორის“ თარგმანი და გამოგვიგზავნოს, რაც შეიძლება ჩქარა. აქ აღარსად მოიპოვება. არ დაუკარგავ.

ნ. ავალიშვილი

26/9-91

ღირსპატივცემულ დაო ნატო!

ამ თვის ოცდაპირველში წერილი გამოგიგზავნეთ და გთხოვთ მომავალ კვირის წარმოდგენაში (29 ნოემბ.) მონაწილეობა მიველოთ; თანაც შეგატყობინეთ, რომ ახალ პიესას ვითამაშობთ მეტი, ღარიბი სასძლოს, ოსტროვსკის ბედნაია ნევესტიდან ვადმოკეთებულს.


რადგან თქვენგან პასუხი ჯერ არ მიმიღია, ამიტომ არ ვიცი იმედი შეიძლება თქვენი, თუ არა. დანიშნული როლი (სასძლოს დედისა), საკმაოდ დიდია, თუმცა კი ადვილად დასახსომებელი, რადგან ძალიან ადვილი ენით არის დაწერილი. თუ შეიძლება მოსვლას, კარგი იქნებოდა წარმოდგენამდის ხუთი დღით მაინც ადრე მოსულიყავით. ამ წერილის მიღებისთანავე რომ წამობრძანდეთ, სწორედ ისე მოვა, რადგან მეტი ღონე არ იყო იმ პიესის წარმოდგენა სათქმულობათოდ გადავდე (2 დღისაშობითვე).

ასიკოს მეგობრული სალაში გადაეცეთ ჩემს მაგიერ და სთხოვეთ რაც შეიძლება ჩქარა მოგვაშველოს თავისი თარგმანი „მონატრის ზღუდეთა შორის“. აქ აღარსად მოიპოვება.

გთხოვთ ამის პასუხი პირველი ფორმით შემატუბინოთ.

თქვენი დიდად პატივისმცემელი

ნ. ავალიშვილი



შალვა მაჭავარიანი

ქართული კულტურის მოღვაწეთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ჯანდონითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, საკმაოდ ერუდირებული თეატრალური კრიტიკოსი და ამკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი შალვა ვლადიმერის ძე მაჭავარიანი. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი. ახალგაზრდობიდანვე იგი გაიტაცა ჯერ ყურნალისტის პროფესიამ და შემდეგ სამეცნიერო მოღვაწეობამ. შალვა იყო თავდადებული მუსიკი, უყვარდა თავისი საქმე და თავდავიწყებით ეძლეოდა მას. არ უყვარდა იოლი გზით სიარული, შავ სამუშაოსაც გულმოდგინედ ეკიდებოდა და თავის წარუშლელ კვალს აჩენდა. ამის საილუსტრაციოდ მართო ისიც კმარა, რომ მან ერთმა პირველმა მოჰკიდა ხელი ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის შესწავლა-დამუშავებას, გამოსცა ორი საკმაოდ სქელტანიანი წიგნი, რომელიც ყურადღებას იქცევს მასალის მოპოვების სიუხვითაც და ანალიზის თავისებურებითაც. მაშინ, როცა ქართული საბჭოთა თეატრის წარსულის მასალები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ თავმოყრილი, შესწავლილი, პირველი ხნულის გამყვანთ აუცილებლად ნაკლიც ექნებათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისეთი შრომის გარეშე, როგორც შალვა მაჭავარიანმა გასწია, წინსვლა შეუძლებელია. შალვა მაჭავარიანის „სულით და გულით მიძღვნილი ეს მცირედიც შეიწირების“ და მუდამ შეინარჩუნებს თავის ღირებულებას.

შალვა მაჭავარიანი დაიბადა 1921 წელს, სამტრედიის რაიონში, სოფ. საჯავახოში, რკინიგზელის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედის და წარმატებით ამთავრებს ფილო-

ლოგიის ფაკულტეტს. სტუდენტობის წლებიდანვე შალვამ დიდი შრომისმოყვარეობა გამოამჟღავნა, სწავლის პარალელურად იგი თანამშრომლობდა ქართულ გაზეთებში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შალვა მაჭავარიანი მთელი არსებით გადაეშვა შემოქმედებით შრომაში. 1942—1947 წლებში მუშაობდა მცხეთის რაიონული გაზეთის რედაქტორად, საქართველოს რადიოკომიტეტის პოლიტიკურ გადაცემათა მორიგ და საბავშვო გადაცემათა პასუხისმგებელ რედაქტორად, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორად, გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ. 1947—1954 წლებში იგი განაგრებდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სამხატვრო აღზრდის განყოფილებას, შემდეგ თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი იყო.

1958—1960 წლებში შალვა მაჭავარიანი საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში სამეცნიერო-შემოქმედებით განყოფილებას ედგა სათავეში და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. თეატრალური საზოგადოებიდან იგი თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში გადავიდა, მთელი ათი წლის მანძილზე თეატრის ისტორიის კურსს კითხულობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და პარტიულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო ინსტიტუტის პარტიული მდივანი.

შალვა მაჭავარიანი გახლდათ ავტორი მრავალი სამეცნიერო შრომისა და კრიტიკული სტატიისა, მისი თეატრმცოდნე-

ობითი ნარკვევები იბეჭდებოდა ცალკე წიგნებად და ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში, აქტიურად თანამშრომლობდა ყურნალ-გაზეთებში. შალვა მაჭავარიანის შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია ორ წიგნად, „ოტელო-ხორავა“, „მარჯანიშვილი და ახმეტელი“, „ნინო ჩხეიძე“ და სხვა.

შალვა მაჭავარიანი, როგორც მეცნიერი, პატივისცემით სარგებლობდა, მის ცოდნასა და გამოცდილებას ყველგან დიდ ანგარიშს უწევდნენ. იგი თეატრალური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის, თეატრალური მუზეუმის, ლიტერატურისა და ხელოვნე-

ბის ცენტრალური არქივის სამეცნიერო საბჭოების წევრი იყო.

შალვა მაჭავარიანის ღვაწლი ჯერონად დააფასა პარტიამ და მთავრობამ, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

შალვა მაჭავარიანის ნაადრევი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი თეატრალური და სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის. მისი სახით დაგკარგეთ თეატრალური ახალგაზრდობის ნიჭიერი აღმზრდელი, ერუდირებული მკვლევარი, გულითადი ადამიანი. შალვა მაჭავარიანის სახელს ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ მისი აღზრდილები და მეგობრები.

ამხანაგების ჯგუფი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის საკითხი. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასა და მწერალთა კავშირთან ერთად დასახულია საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის ღონისძიებანი.

• მოკავშირე რესპუბლიკების დრამატურგიის დათვალეობა-კონკურსი ტარდება 1972 წ. სექტემბრიდან 1973 წ. 31 მარტამდე.

დათვალეობა-კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლებას მოიპოვებენ მოძმე ხალხთა ის პაესები, რომლებიც განხორციელებენ საქართველოს თეატრებში 1972 წლის სექტემბრიდან 1973 წ. 1 თებერვლამდე.

დათვალეობა-კონკურსში მონაწილეობს ყველა დრამატული, მოზარდმაყურებელთა და თოჯინების თეატრი, რომლებსაც დათვალეობის პერიოდში დადგმული აქვთ მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებები (რუსულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენაზე მომუშავე თეატრალური კოლექტივები დათვალეობა-კონკურსში მონაწილეობენ იმავე პრინციპით, როგორც ქართული თეატრები).

დათვალეობა-კონკურსი ტარდება ორ ეტაპად.

რესპუბლიკური კომისია 1973 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე ატარებს დათვალეობაში მონაწილე სპექტაკლების განხილვას და შედეგს აქვეყნებს პრესაში ამავე წლის 15 აპრილამდე.

შექმნილია დათვალეობა-კონკურსის რესპუბლიკური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ვ. კიკნაძე (თავმჯდომარე), დ. ანთაძე, მ. ბარათაშვილი, გ. ბარამიძე, ე. გუგუშვილი, მ. გოგოლაშვილი, ვ. კანდელაკი, ა. წულუკიძე, ნ. შენგვირაძე, ა. შალუტაშვილი, ა. ტრაპაიძე, თ. ჯანელიძე.

დრამატული თეატრებისადმი ხელმძღვანე-

ლობის სრულყოფისა და მომთხოვნელობის შემდგომი გაზრდის მიზნით, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში შეიქმნა სამხატვრო საბჭო (59 კაცის შემადგენლობით) დრამატული თეატრების განხრით. საბჭოს თავმჯდომარეა ა. დვალისვილი, მოადგილე — დ. ალექსიძე.

1972 წლის საზაფხულო გასტროლები რესპუბლიკის თეატრებში იგეგმება შემდეგნაირად: რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი 27 ივნისიდან ივლისის დამლევამდე გამართავს წარმოდგენებს ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ქუთაისში, ცხაქაიაში, ლანჩხუთში, სამტრედიოში, ვანში, წულუკიძეში, წყალტუბოში, მაიაკოვსკოში, ტყუბულში, ზესტაფონში, თერჯოლაში, ორჯონიკიძეში, ქიათურაში.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი — 14 ვლისიდან 30 ივლისამდე — მოსკოვში, 2 აგვისტოდან 13 აგვისტომდე — ლენინგრადში.

ლ. მეხსიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრი — 16 ივლისიდან 1 აგვისტომდე — ბათუმში.

ი. ქავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო თეატრი — 16 ივლისიდან 1 აგვისტომდე — ქუთაისში.

ვ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრი პირველი ივლისიდან 20 ივლისამდე მახარაქში.

ა. წულუწავას სახ. მახარაქის სახელმწიფო თეატრი — 1 ივლისიდან 15 ივლისამდე — გორში, 15 ივლისიდან 20 ივლისამდე ცხინვალში.

ვ. გუნიას სახ. ფოთის სახელმწიფო თეატრი — 1 ივლისიდან 11 ივლისამდე — აბაშაში, 12 ივლისიდან 21 ივლისამდე — ხობში.

მესხეთის სახელმწიფო თეატრი — 5 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე — თელავში, ახმეტაში, ყვარელში, ლაგოდეხში, წითელწყაროში, გურჯაანში.

თელავის სახელმწიფო თეატრი — 5 სექტემ-

ბრიდან თვის დამლევამდე — ახალციხეში, აღი-
გენში, ასპინძაში, ბორჯომში, ხაშურში.
რუსთავის სახელმწიფო თეატრი — 17 ივლი-

სიდან 31 ივლისამდე — ზუგდიდში, 1-დან 12
ავვისტომდე — ქუთაისში, 13 ავისტოდან 23
ავვისტომდე — ბათუმში.

რეპისორთა რესპუბლიკური სონფერენსია

მიმდინარე წლის 12 და 13 მაისს საქართვე-
ლოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის
სახლში გაიმართა რეისორთა რესპუბლიკური
კონფერენცია.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სა-
ქართველოს თეატრალური საზოგადოების თავ-
მჯდომარემ დოდო ანთაძემ.

თავის შესავალი სიტყვაში დ. ანთაძემ მოკლედ
ილაპარაკა ქართული რეისორების საჭირობოტო
საკითხებზე და სიტყვა მოხსენებისათვის მისცა
რესპუბლიკის სახალხო არტისტს, გრიბოდოვის
თეატრის მთავარ რეისორს გიგა ლორთქიფანი-
ძეს.

თავის მოხსენებაში გ. ლორთქიფანიძემ უმ-
თავრესად ყურადღება გაამახვილა ქართული
თეატრის რეისორის აქტუალურ საკითხებზე,
ილაპარაკა თეატრში რეისორთა კადრების დე-
ნადობაზე, აღნიშნა, რომ რესპუბლიკის წამყვან
თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელთა ხშირი
ცვლა უარყოფითად მოქმედებს თეატრის შემოქ-
მედებით მუშაობაზე, განსაკუთრებით შეჩერდა
რეპერტუარის უპრობლემობაზე. მან თქვა:

— ჩემთვის თეატრი პირველ რიგში არის აზ-
რის ტრიბუნა, ახალი ფიქრის და ოცნების ტრი-
ბუნა. და თუ ეს ასე არ იქნება, — თუ თეატრმა
ეს ამოცანა ვერ დასძლია, იგი კარგავს თავის
ფუნქციას.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ავ-
რეთვე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი
ალექსიძე.

დ. ალექსიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა რე-
ისორთა კადრების აღზრდის პრობლემებს. მან
წამოაყენა მთელი რიგი საკითხებისა, რომელ-
თა გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მო-

მავალი რეისორების აღზრდის საქმეში. ამას-
თან ერთად მიმოიხილავს ახალგაზრდა რეის-
ორების დადგმებს.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონა-
წილეობა მიიღეს: სსრ კავშირის სახალხო არ-
ტისტმა აკაკი ვასაძემ, თეატრმცოდნემ ვახტანგ
ქართველიშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არ-
ტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების
ლაურეატმა, ლენინგრადის მ. გორკის სახელო-
ბის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატ-
ვრო ხელმძღვანელმა გიორგი ტოვსტონოვოვმა,
რეისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა, თეატრ-
მცოდნემ ნათელა ურუშაძემ, ბათუმის სახელ-
მწიფო დრამატული თეატრის მთავარმა რეი-
სორმა გოგი ქავთარაძემ, რესპუბლიკის სახალ-
ხო არტისტმა ოთარ ალექსიშვილმა, ხელოვნე-
ბათმცოდნეობის დოქტორმა ეთერ გუგუ-
შვილმა, ზუგდიდის შ. დადიანის სახ. სა-
ხელმწიფო თეატრის მთავარმა რეისორმა,
ხელოვნების დამს. მოღვაწემ გრიგოლ ლა-
ლიძემ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემი-
ური თეატრის რეისორებმა რობერტ სტურუამ
და თემურ ჩხეიძემ, ს. ჭანბას სახ. სოხუმის სა-
ხელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა
ნელი ეშბამ, მოზარდმაცურებელთა ქართული
თეატრის მთავარმა რეისორმა თენგიზ მალა-
შვილმა, დრამატურგმა ლევან მილორავამ, კ.
მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული
თეატრის რეისორებმა მუდეა კუჭუხიძემ და
სანდრო მრეკლიშვილმა, გრიბოდოვის სახელო-
ბის თეატრის რეისორმა ლერი პაქსაშვილმა,
თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ, ხელოვნების
დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ, თე-
ატრალურმა კრიტიკოსმა იური რიბაკოვმა.

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა გ. ლორთქიფა-
ნიძემ.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი

სამეცნიერო სესია

სამ დღეს მიმდინარეობდა შ. რუსთაველის
სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატ-
რალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლე-
ბელთა სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის
რექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქ-
ტორმა ილია თავაძემ.

მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის უმ-

ცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნათია ამირე-
ჯიბი — „ქართული ნოვატორული კინოს დასაწ-
ყისი“, უფროსი მასწავლებელი ჟანა თოიძე —
„კ. სტანისლავსკის სისტემის გამოყენების სა-
კითხისათვის ვიკალურ შემსრულებლობაში“,
დოცენტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამ-
სახურებელი მოღვაწე ივანე პატარიძე — „კო-
ტე მარჯანიშვილი კორექტურულ რეჟეტიციაზე

რუსთაველის სახელობის თეატრში“, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ბარბაღენიკოლიაშვილი — „სასცენო მეტყველების ტექნიკის გამომუშავებაში კომპლექსური სავარჯიშოების გამოყენების მეთოდური საფუძვლები“, უმცროსი მეცნიერი მუშაკი ვახტანგ ქართველიშვილი — „ტრაგიკული ურთიერთობისათვის ამადლებულთან“, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლილი გვარამაძე — „ძველი საბერძნეთის საცეკვაო ხელოვნების საწყისები“, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვთერ გუგუშვილი — „ორი აფუენტი ოვეხუნას“ კოტე მარჯანიშვილის დადგმა“ და უფროსი მასწავლებელი ვენე-

რა ანდრონიკაშვილი — „რეჟისორის შემოქმედებითი წარმოსახვის სპეციფიკურობის შესახებ“.

მოსხენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრკ სახალხო არტისტმა, პროფესორმა ა. ვასაძემ, პროფესორებმა მ. მრევლიშვილმა, დ. ჯანელიძემ და ს. ენუქაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ყვარელაშვილმა, დოცენტმა ო. ფირალიშვილმა, უფროსმა მასწავლებელმა მ. კილაძემ და უფროსმა ლაბორანტმა ე. პოპოვამ.

სესიის მუშაობა შეაჯამა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ილია თავაძემ.

ელიზბარ შათირიშვილის შემოქმედებითი სალამო

მიმდინარე წლის 3 ივნისს, თბილისში, გორკის სახელობის კულტურის სახლში, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმომქმედებას რესპუბლიკურმა სახლმა და გორკის სახელობის კულტურის სახლს გამგეობამ დაბადების 70, სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მოუწყეს სახალხო თეატრის ღვაწლმოსილ მსახიობს, ელიზბარ შათირიშვილს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ, რომელმაც ილაპარაკა ელიზბარ შათირიშვილის სცენისმოყვარეთა წრეებსა და სახალხო თეატრებში ნაყოფიერ შემოქმედებაზე, აღნიშნა მისი თვალსაჩინო დამსახურება ქართული თეატრის წინაშე.

ელიზბარ შათირიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ნიკო კველიშვილი. მოხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ ღვაწლზე, რომელიც ელიზბარ შათირიშვილს, და, საერთოდ, მათ ოჯახს — მამას, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და პატრიოტს გიორგი შათირიშვილს, ელიზბარის ძმებს, არჩილს და შალვას, მიუძღვით ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

— ღვაწლმოსილ მსახიობს, — დასძინა მომხსენებელმა, — 55 წლის სასცენო მოღვაწეობის მანძილზე განსახიერებელი აქვს 100-მდე დიდი და პატარა როლი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე — ალ. ყაზბეგის „არსენაში“, ვანო — ი. გვედევანიშვილის „მსხვერპლში“,

პატარა კახი — ავ. წერეთლის ამავე სახელწოდების პიესაში, კოტე—ავტ. ცაგარლის „ხანუმაში“, გერმანი — შილერის „ყაჩაღებში“ და სხვა.

ელიზბარ შათირიშვილი, გარდა იმისა, რომ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სახალხო თეატრის სცენაზე, აგრეთვე გატაცებით მოღვაწეობს მუსიკალური კულტურის სფეროშიც. იგი ავტორია 18 მუსიკალური ნაწარმოებისა. შათირიშვილი დაუღალავი საზოგადოებრივი მოღვაწეა. 55 წლის მანძილზე არ ყოფილა არცერთი საქველმოქმედო საქმე, რომელშიაც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. ელ. შათირიშვილი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დღესაც ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს მუშაობას გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ სახალხო თეატრის კოლექტივში.

საღამოზე იუბილარს მიულოცეს და გულთბილი სიტყვებით მიმართეს: აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მიხ. ჭიაურელმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯავარიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა რ. ლალიძემ, გ. დარისპანაშვილმა, ხელ. დამსახურებულმა მოღვაწეებმა ო. ევაძემ, დ. ჩხეიძემ, მიხ. ჩირინაშვილმა და ს. ავჩიანმა, რესპ. დამსახ. არტისტმა შ. კიქნაძემ, დრამატურგმა ავ. დევიძემ, ეთ. ღორთქლიშვილმა (კვების მრეწველობის პროფ. კავშირის რესპ. კაბინეტი), ს. აბაიშვილმა, დ. ჩაჩანიძემ, ელ. ჯორჯიაშვილმა, მ. თავართქილაძემ, ა. ჯვარელმა და სახალხო მოქმედმა ს. ჩანგაშვილმა.

დასასრულ იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ალ. ყაზბეგის „არსენადან“ მესამე მოქმედება.

СО Д Е Р Ж А Н И Е

Этери Гугушвили — Высокое назначение критики	3
Акакий Алексеевич Хорава	8

У театральной афиши республики

Гига Лордкипанидзе — Спектакли осетинской труппы Цхинвальского театра	11
Алеко Шалуташвили — Коротко о режиссере и режиссуре	14
Нестан Квейдзе — Премьера народного театра	18

К 100-летию со дня рождения Котэ Марджанишвили

Георгий Самхарадзе — Котэ Марджанишвили в Кутаиси	19
Димитрий Иовашвили — Специфика отображения женских образов в комедийных произведениях	21

Наши юбиляры

Иа Кабзинадзе — Славный юбиляр	25
Мурад Хиникадзе — Правдивый творец	26
Гурам Батиашвили — Этюд о семидесятилетнем драматурге	29
Леонтий Чихладзе — Актер и режиссер	31

Вспомним заслуженных

Кетеван Хуцишвили — Георгий Арадели-Ишхнели	34
Павле Хмаладзе — Летописец грузинского театра	35
Л. Чхатарашвили — Леван Буадзе	36

Наша публикация

Давид Шуглиашвили — Неизвестные эпистолярные материалы	39
Шалва Мачавариани (некролог)	42
Хроника	44

В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1972
№ 3 (67)

ფასი 25 კპ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 12/VI-72 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-72 წ.

შეკვეთა 1883

უე 11590

ტ. 1.000.

საქართველოს თეატრალური საზ-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3